დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2025 წლის 16 - 22 ივნისი

N 25 1596

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ორგვამიზებული დანაშაული,

რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ქართული ჯარის წინააღმდეგ ჩაიდინა!

12






გენერალი ამხელს!

## ჯონდი ბაღათურია:

ხელისუფლებამ არ უნდა ისარგებლოს ჩვენი სიჩუმით. ხალხსაც უნდა ცხოვრება!

19





## მათეს ახირება




ეს ხაზარაძეთა, ჯაფარიძეთა, გვარამიათა, ვაშაძეთა, ბოკუჩავათა, სამადაშვილთა და ხოშტარიათა კისერზეა!

2

## კობა არაბული: ვინ ზელს ამ უზნეობის ტალახს?

7



## მაყვალა ბერიანიძე: ზურაბ, შენი შვილი გააჩერე!


4

5

8-9






## «ყინწვისის საქმე»,

ანუ ჯოჯოხეთი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისს დაატრიალა

## ნატა ყაზახაშვილი:

იკვეთება დამაფიქრებელი და საგანგაშო ტენდენცია – მედიკამენტური აბორტი!




22

## ფრთხილად, დონალდ ტრუსიკია!



პოლიციელებზე თავდასხმისათვის დაკავებული დემონსტრანტი მათე დევიძე სასამართლო პროცესზე. 2025 წლის ივნისი

# მათეს ახირება

***წინამდებარე წერილის სათაური „მათეს ახირება“ ალუზიურად ეხმიანება ახალი აღთქმის პირველ წიგნს — მათეს სახარებას, რომლის ავტორიც იესო ქრისტეს მოციქული, ყოფილი კაპერნაუმელი მებაჟე მათე მახარებელი გახლავთ.***

**მათეს სახარება,** რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის პირველ ნახევარში ებრაული ენის არამეულ დიალექტზეა დაწერილი, **ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთ მთავარ ნიშანსვეტს წარმოადგენს,** ხოლო, რაც შეეხება **მათეს ახირებას, ეს გახლავთ ამბავი 21 წლის მათე დევიძისა,** რომელიც თავისმა **ახირებამ,** აქაოდა — საქართველოს ევროკავშირში შესაყვანად უნდა ვიბრძოლოო, **ევროკავშირის მაგივრად ციხეში შეიყვანა!**

საქმე ის არის, რომ ნაცლიბერალური საპროტესტო აქციების მონაწილე **მათე დევიძეს,** რომელიც 2024 წლის 22 ნოემბერს თბილისში **პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს,** 2025 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ **4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

საგამოძიებო ორგანომ **მათე დევიძის** დაკავებისთანავე გაავრცელა ვიდეომტკიცებულება, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ **21 წლის რადიკალი აქტივისტი ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევს და დროშის ტარს ურტყამს სამართლდამცავებს,** რომლებიც მცირერიცხოვან მომიტინგეთა მიერ გადაკეტილი გზის გახსნასა და მეპროტესტეთა ტროტუარზე გადაყვანას ცდილობენ.

მიუხედავად იმისა, რომ **მათე დევიძის** ქმედება — **სამი პოლიციელისათვის დროშის ტარით ფიზიკური დაზიანებების მიყენება** — პირდაპირ ჯდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც **პოლიციელზე თავდასხმისათვის 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,** კოლექტიური ნაცლიბერალური სექტა მაინც გაბმულად გაჰკივის — **მათე დევიძე რეჟიმის პოლიტიკური პატიმარიაო!**



მათე დევიძის დაკავება მას შემდეგ, რაც პოლიციელებს დროშის ტარი ჩაარტყა. 2024 წლის ნოემბერი

## მათეს ახირებამ ისევ მათე დააზარალა და 4,5 წლით ციხეში გაუშვა,

### მის ამჩირებლებს კი არც არაფერი დაჰკლებიათ და არც არაფერი ანაღვლებთ — ზოგი მათგანი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადება, ზოგი კი პოლიტიკურ ველზე დასარჩენად ხელისუფლებასთან სარფიანი ვაჭრობისა და გარიგების გზებს ეძებს!

იგივე ნაცლიბერალები **მათე დევიძეს** შიგადაშიგ **სინდისის პატიმარსაც** უწოდებენ **დასალომე ზურაბიშვილმა ღირსებიც სიმბოლოც** კი დაარქვა!

**არადა, ღმერთი რატომ არ გაიცინებს, როცა უზნეო, უპრინციპო, უსინდისო, უღირსებო და უცხოურ გრანტებზე სამშობლოს გამყიდველი ნაცლიბერალები, სალომე ზურაბიშვილის თავქალობით, სინდისსა და ღირსებაზე ლაპარაკობენ!**

რასაც **სალომე ზურაბიშვილი, სალომე სამადაშვილი, თინა ბოკუჩავა, მამუკა ხაზარაძე, ჭუჭუ ვაშაძე და ნიკუტუ გვარამია სინდისსა და ღირსებას** ეძახიან, ის, სინამდვილეში, **უსინდისო-**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



2030 წლისთვის **საქართველო მზად იქნება ევროკავშირში გასაწევრიანებლად.** ოპოზიციის ვიზიტები მიმართულია იმისკენ, რომ **რამენაირად ხელი შეუშალონ ევროკავშირთან ურთიერთობის გადატვირთვას.**

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



საქართველოს ხელისუფლება მზად არის **მეგობრობისთვის, პარტნიორობისთვის,** მაგრამ ყველამ უნდა გაითავისოს ის, რომ **საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა, სუვერენული სახელმწიფო** და, პირველ რიგში, ჩვენს დამოუკიდებლობასა და **ქართველ ხალხს უნდა სცენ პატივი.**

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ოპოზიციას თავმოყვარეობა არა აქვს,** შეუძლიათ, იძახონ — **არ შევალთ პარლამენტშიო და შემდეგ პუფებივით შედიან;** არ მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებშიო და **პუფებივით მიიღონ მონაწილეობა.**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



გვაქვს მოლოდინი, რომ **აშშ-თან ურთიერთობები ისეთ ფაზაში გადავა,** როცა **სახვეწარი აღარ გაგვიხდება** საქართველოს მოქალაქეებისთვის **ვიზები, პირდაპირი ფრენები, თავისუფალი ვაჭრობა.**

„პირველი არხი“

# 21 წლის მათე დევიძისათვის მისჯილი 4,5-წლიანი პატიმრობა თავიდან ბოლომდე ხაზარაძეთა, ჯაფარიძეთა, გვარამიათა, ვაშაძეთა, ბოკუჩავათა, სამადაშვილთა და ხოშტარიათა კისერზეა!

**ბა და უღირსობაა,** რისთვისაც **21 წლის მათე დევიძე** ნაღდად არ გვიმეტება!

ჰოდა, იმედი გვაქვს, რომ **21 წლის მათე დევიძე,** რომელიც თავისმა **ახირებამ** ციხეში ჩასვა, იმ სტანდარტებში მაინც არ ჯდება, რომლითაც **უსამშობლო ნაცლიბერალები** სინდისსა და ღირსებას ზომავენ!

რაც შეეხება პოლიტიკურ პატიმრობას...

**თუ რამენაირად შეიძლება, მათე დევიძეს პოლიტიკური პატიმარი ეწოდოს, მაშინ იგი იმ პოლიტიკის პატიმარი და იმ პროპაგანდის ტყვეა,** რომელსაც ნაცლიბერალების აგენტურული სექტა ქართული სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ აწარმოებს!

კი, **21 წლის მათე დევიძეს** და სხვა მისნაირ **„მათე დევიძეებსაც"** ჭკუა და თავგზა სწორედ იმ პოლიტიკამ და პროპაგანდამ აურია, რომლის მიხედვითაც **საქართველოს უფლება არა აქვს, საკუთარი ეროვნული ინტერესები გააჩნდეს და მხოლოდ ბრიუსელისა თუ ვაშინგტონის ინტერესებით უნდა მოქმედებდეს!**

ჰო, სწორედ ნაცლიბერალური სექტის მიერ წარმოებული, მაზომბირებელი და ტვინის გამომრეცხავი პროპაგანდის შედეგია ის, რომ **მათე დევიძესა** და მისნაირ ახალგაზრდებს ბრმად სჯერათ — **კუბილიუსებსა და იუკნევიჩიენეებს, კალასებსა და ფონ დერ ლაიენებს, რიშებსა და შაჰინებს თავიანთი ინტერესები კი არ ამოძრავებთ, არამედ საქართველოს უპირობო კეთილისმყოფელები არიან, რომლებსაც ქართველმა ხალხმა ასევე უპირობოდ უნდა მისდიოს და დაუჯეროს!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **მათე დევიძის ახირებას** — საქართველოს ევროპული მომავლის დასაცავად უნდა ვიბრძოლოო — კვებავს და ასაზრდოებს ყოფილი სახალხო დამცველის **ნინო ლომჯარიას** ყოფილი მოადგილის **გიორგი ბურჯანაძის** ცნობილი სიტყვები — **თუ ევროპიდან გვეტყვიან, რომ ერთი კვირის განმავლობაში ცალ ფეხზე დავდგეთ, მაშინ უნდა დავდგეთო!**

**მათე დევიძის ახირებას – ევროპული მომავლისთვის ვიბრძოლებ და თუ დამჭირდა, პოლიციელებს დროშის ტარითაც დავერევიო – ბიძგი მისცა იმანაც, რომ პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილების" მსროლელი და საკუთარი მამის უკანალში დამჭრელი ლაზარე გრიგორიადისი ნაცლიბერალურმა სექტამ გმირად შერაცხა, სალომე ზურაბიშვილმა კი შეიწყალა და ციხიდან გამოუშვა.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **21 წლის მათე დევიძისათვის მისჯილი 4,5-წლიანი პატიმრობა** თავიდან ბოლომდე **ხაზარაძეთა, ჯაფარიძეთა, გვარამიათა, ვაშაძეთა, ბოკუჩავათა, სამადაშვილთა და ხოშტარიათა** კისერზეა!

**21 წლის მათე დევიძეც** და სხვა არაერთი ახალგაზრდაც, რომელსაც შესაძლოა, მართლა ჰგონია, რომ საქართველოს ევროპული მომავლისათვის იბრძვის, რეალურად, სახარჯი მასალა და პოლიტიკური საზარბაზნე ხორცია **ხაზარაძეთა, ჯაფარიძეთა, გვარამიათა, ვაშაძეთა, ბოკუჩავათა, სამადაშვილთა და ხოშტარიათათვის,** რომლებსაც ერთადერთი მიზანი — **არასაარჩევნო და არაკონსტიტუციური გზებით ძალაუფლების ხელში ჩაგდება ამოძრავებთ!**

საბოლოო ჯამში, **მათეს ახირებამ ისევ მათე დააზარალა და 4,5 წლით ციხეში გაუშვა,** მის ამხირებლებს კი არც არაფერი დაჰკლებიათ და არც არაფერი ანაღვლებთ — **ზოგი მათგანი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადება, ზოგი კი პოლიტიკურ ველზე დასარჩენად ხელისუფლებასთან სარფიანი ვაჭრობისა და გარიგების გზებს ეძებს!**

**21 წლის მათე დევიძე,** რომელიც თავისმა **ახირებამ** განსაცდელში ჩააგდო, გულწრფელად გვეცოდება და პატიმრობიდან მალე გათავისუფლებას ვუსურვებთ, რაც, ალბათ, **დანაშაულის აღიარებისა და მონანიების გზით** იქნება შესაძლებელი!

უკეთ თუ ვიტყვით, თავისუფლებააღკვეთილი **მათე დევიძე** თავისუფლებას მაშინ დაიბრუნებს, როცა თავის **ახირებას** მოერევა და მიხვდება, რომ **მკვლელებთან, მწამებლებთან, გამაუპატიურებლებთან, ხანდაზმულ თაღლითებთან და უსამშობლო აგენტებთან** ერთად აქციებზე დგომით ვერც ევროპულ მომავალს დაიცავს და საკუთარ მომავალსაც წირვას გამოუყვანს!

**ჟაბა ხუბუა**

# უკომენტაროდ!

*ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე* ***ძალადობრივი დემონსტრაციების მონაწილეებს,*** *რომლებიც არალეგალი მიგრანტების მიმართ ტრამპის ადმინისტრაციის გამკაცრებულ პოლიტიკას აპროტესტებენ და* ***სამართალდამცველებს პეტარდებსა და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებს ესვრიან,*** *ფლორიდის შტატის ბრევარდის ოლქის* ***შერიფი უეინ აივი*** *აფრთხილებს:*



თუ კანონიერ ბრძანებებს დაუპირისპირდებით, **ციხეში მოხვდებით!** თუ დაკავების დროს გაიქცევით, **დაგიჭერთ და ციხეში ჩაგსვამთ!** თუ რომელიმე ჩვენგანს დაარტყამთ, **საავადმყოფოსა და ციხეში აღმოჩნდებით** და, დიდი ალბათობით, **ჩვენი დიდი, ლამაზი ძაღლებიდან ერთ-ერთი გიკბენთ!** თუ ჩვენს რომელიმე თანამშრომელს ცეცხლგამჩენ ბომბს ესვრით ან იარაღს დაუმიზნებთ, **თქვენს ოჯახებს შევატყობინებთ, სად შეაგროვონ თქვენი ნეშტი!** მოგკლავთ!



ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე **ძალადობრივი დემონსტრაციების ფონზე,** ფლორიდის **გუბერნატორი რონ დესანტისი** მოსახლეობას მიმართავს:

თუ თქვენ მოძრაობთ ქუჩაზე, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობს და **ბრბო თქვენს მანქანას ალყაში მოაქცევს და გემუქრებათ, თქვენ გაქვთ უფლება, საფრთხეს თავი დააღწიოთ. თუ თქვენ დაძრავთ მანქანას და დაარტყამთ რომელიმე ამ ადამიანს, ეს მათი ბრალი იქნება,** რადგან ისინი ხელს გიშლიდნენ. თქვენ არ გევალებათ, უძრავად იჯდეთ და ბრბოს უფლება მისცეთ, რომ მანქანიდან გადმოგიყვანოთ და ქუჩებში გათრიოთ. **თქვენ გაქვთ უფლება, დაიცვათ თავი ფლორიდაში!**



აშშ. 2025 წლის ივნისი

## კვირგვინოსნები

**გიგლა ბარამიძე**
*ადამიანის უფლებადამცველი, პოლიტიკოსი*



**ქართველ გრანტიჭამია რადიკალ-უსამშობლოთა ყალბი ვარამი და ზეხელოვნურობა** ფარსის ყველა ზღვარს **ჩამოსცდა.** რენეგატობა სამარცხვინოა, ხშირ შემთხვევაში — დასჯადი. **ცქირის შთამომავალნო,** განაგდეთ გზა ღალატისა!

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის" ლიდერი*



როდესაც **ე.წ. ოპოზიციის ლიდერებად 3 მაჯლაჯუნას ხედავ** — შუაში **სალომე ზურაბიშვილს,** მარჯვნივ **ბოკერია-ჩერგოლეიშვილს,** მარცხნივ **ხოშტარიას** და **ცნობილ მევახშეს** — ნებისმიერ ნორმალურ ქართველს მოგაწვება სიტყვები — **წადით, თქვენი უჯიშო და გენეტიკურად მოღალატე...** იმისთვის, რომ **იყოს სასიკეთო ცვლილება,** პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს ოპოზიცია. ოპოზიცია უნდა იყოს ოპოზიცია და არა **საქართველოს გარყვნილი მტრები.**

„ფეისბუქი"

**სკოტ პორტონი**
*ამერიკელი ჟურნალისტი*



ვიცი, რომ ჩემი — ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება **90-ანი წლებიდან ერევა საქართველოს საქმეებში,** ანაწილებს გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს, იძლევა დაპირებებს და იწვევს დიდ პრობლემებს.

„იმედინიუსი"

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



ამიერიდან **საპროტესტო აქციებზე ნიღბების ტარება** აკრძალული იქნება.

„რეზონანსი"



## „თეა წულუკიანის კომისია შუაზე რომ გასკდეს, ვერ მოიძიებს იმ ფაქტებს, რაც 2004 წლისა და 2008 წლის აგვისტოს ომების შესახებ მაქვს მოგროვებული!“

### მაყვალა ბერიანიძე:

# ზურაბ, შენი შვილი გააჩერე!









ზურაბ და ნანული (ნანუკა) ჟორჟოლიანები

*ჟურნალისტი*
*მაყვალა ბერიანიძე*
***პირობას დებს, რომ, რაკი ამ ხელისუფლების პირობებში სამართალი ვერ იპოვა და კანონი ვერ აღასრულა, სამართალს პირადად აღასრულებს:***

— ვიდრე დღევანდელ არეულ მსოფლიოზე მოგახსენებდეთ, მოვუწოდებ წყალტუბოს კომკავშირის კომიტეტის ყოფილ მდივანს, **ნანუკა ჟორჟოლიანის მამას — ზურაბ ჟორჟოლიანს:** ზურაბ, შენი შვილი გააჩერე! მახსოვს, ცხონებულმა **ეროსი კიწმარიშვილმა** ნანუკა ჟორჟოლიანს გუდაურში რაღაც ცუდი სიტყვები უთხრა და ამის გამო შენსა და ეროსის შორის ცემა-ტყეპა ატყდა. რატომ გგონია, რომ უწესიერეს და უგანათლებულეს ახალგაზრდას, დედას და პარლამენტარს **მარიამ ლაშხს,** რომელიც მცირეწლოვან შვილებთან ერთად კაფეში იყო და ეს გარეწრები 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს, მიუვარდნენ, პატრონი და დამცველი არა ჰყავს? სხვათაშორის, **მარიამ ლაშხი** წლების წინათ გავიცანი და მისით ისე მოვიხიბლე, ვუთხარი — ღმერთმა ქნას, შენნაირი ახალგაზრდები პარლამენტში მოხვდნენ-მეთქი! ფაქტია, რომ ღმერთმა ჩემი ისმინა... მეორე — ძალიან გამიხარდა თბილისის პოლიცმაისტერად **ვაჟა სირაძის** დანიშვნა. ეს ახალგაზრდა ადრე კასპში იყო პოლიციის უფროსი და ბრწყინვალე რეპუტაციით სარგებლობდა. მესამე და მთავარი — რაკი ამ ხელისუფლების პირობებში სამართალი ვერ ვიპოვე და კანონი ვერ აღვასრულე, პირობას ვდებ, რომ სამართალს პირადად აღვასრულებ!

რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, დღევანდელ მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ფიგურალურად თუ შევაფასებთ, გეტყვით, რომ **მსოფლიოს შხამიანი ვაშლი ჩაკბიჩა!** პრეზიდენტ **ტრამპის** სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთისა და უკრაინის საკითხებში, სამვარსკვლავიანმა გენერალმა **კით კელოგმა** 2025 წლის 30 მაისს განაცხადა, რომ რუსეთის შეშფოთება ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით სამართლიანია! აქედან გამომდინარე მე ვკითხულობ — **თუ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება რუსეთისთვის უსაფრთხოების საკითხად ითვლებოდა, ამერიკელებმა რატომ გვაომეს 2008 წლის აგვისტოში და რატომ დაგვანგრიეს, როცა რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარა?** რას ერჩოდნენ უკრაინას, რომლისგანაც, ფაქტობრივად, აღარაფერია დარჩენილი?

„ნატო-ნატოს“ ძახილით წელიწადში ორჯერ მაინც რატომ ცდილობდნენ გადატრიალების მოწყობას და რატომ ჩაგვაწერინეს კონსტიტუციაში, რომ საქართველოს უზენაესი მიზანი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებაა? **თუ რუსეთის შეშფოთება სამართლიანი იყო, ამ სიგიჟეებს სააკაშვილს რატომ აკეთებინებდნენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე ასეთ ზეწოლას რატომ ახდენდნენ?** თუკი ამერიკის შეერთებული შტატები იძულებულია, რუსეთის სტრატეგიული ინტერესები გაითვალისწინოს და ნატოს გაფართოება შეაჩეროს, გამოდის, რომ ნატოს გაფართოებაც ამერიკას დაუწყია და ჩვენ რა დავაშავეთ?

ხაზგასმით ვაცხადებ და უკვე მერამდენედ ვიმეორებ:

## „ნიკა გვარამიას გირაოს გადახდა უნდოდა, რათა ციხეში არ ჩავმჯდარიყო, მაგრამ ნიკა მელიამ გამოიძახა და გვერდით მოისვა!“



პარტია „ახალის“ თანათავმჯდომარეები – ნიკა ანზორის ძე მელია და ნიკა ანზორის ძე გვარამია

**1991 წლის ზაფხულში სოხუმში ბინ ლადენის საიდუმლო ვითარებაში ჩამოსვლა დაკავშირებულია ამერიკის სპეც-სამსახურებთან!**

**შამილ ბასაევი** და მისი ბანდფორმირება, რომლებიც საქართველოს მთლიანობას აფხაზეთში ებრძოდნენ, თავიდან ბოლომდე დაკავშირებული იყვნენ ამერიკის სპეცსამსახურებთან. ეს ჯგუფები ამერიკელებმა მოამზადეს, შეაიარაღეს, აურაცხელი ფული მისცეს და ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომი დაიწყეს! **ვინ აგებს ამ ყველაფერზე პასუხს?**

**— თქვენ ამბობთ, რომ აფხაზეთის ომი შევარდნაძეს ამერიკელებმა დააწყებინეს?**

— ამას არავითარ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, **ზვიად**

## კვირგვინოსნები

**ბენიამინ ნეთანიაჰუ**
*ისრაელის პრემიერ-მინისტრი*



**ისრაელი ირანელ ხალხს არ ებრძვის. ჩვენი ბრძოლა არის მკვლელი ისლამური რეჟიმის წინააღმდეგ,** რომელიც გავიწროებთ და გაღარიბებთ. დადგა დრო, რომ **ირანელი ხალხი გაერთიანდეს თავისი დროშისა და ისტორიული მემკვიდრეობის გარშემო,** რათა დაიცვას თავისი თავისუფლება **ბოროტი და მჩაგვრელი რეჟიმისგან.**

„იმედინიუსი“

**აიათოლა ალი ხამენეი**
*ირანის უზენაესი ლიდერი*



**ისრაელმა ომი დაიწყო** და მას არ მიეცემა საშუალება განახორციელოს **„დაარტყი და გაიქეცი“** ტიპის თავდასხმები სერიოზული შედეგების გარეშე.

„იმედინიუსი“

**სოსო მანჯავიძე**
*ისტორიკოსი*



**მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე დგას.** ვინც ქვეყნის დესტაბილიზაციას ხელს უწყობს, **უნდა განეიტრალდეს,** დაიწყოს მოლაპარაკებები სამეზობლოსთან უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ, **გამკაცრდეს კონტროლი საზღვრებზე.**

„იმედინიუსი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ვფიქრობ, რომ **რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით** და ევროპა ძლიერი უნდა იყოს. **რუსეთთან სტრატეგიული შეთანხმება საჭიროა,** მაგრამ ამას მხოლოდ ძლიერი ევროპა შეძლებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# «როდემდე ეს სპექტაკლები?»

**გამსახურდია** გრძნობდა, რომ საქართველოს რაღაც საშინელებას უმზადებდნენ და ამიტომაც ჩქარობდა!

1991 წლის 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმი, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ზვიადი მართლაც ჩქარობდა.

**— ეს ზვიად გამსახურდიამ, სხვათაშორის, დევნილობის დროს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუშიც აღიარა — ვიცოდი, რასაც გვიპირებდნენ და ამიტომაც ვჩქარობდით!**

— სააკაშვილი **პუტინს** შეხვდა 2008 წლის 21 თებერვალს, როცა იგი არალეგიტიმური პრეზიდენტი იყო, რადგან გააყალბა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები და სისხლში ჩაახშო 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქცია. ამ შეხვედრაზე სააკაშვილმა **პუტინს** უთხრა — **მე პლებისციტი ჩავატარე და ქართველების 77 პროცენტს ნატოში შესვლა უნდაო!** როგორც სააკაშვილმა 2013 წელს „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა, **პუტინმა** მაშინ მას უთხრა, რომ პლებისციტის ჩატარება საქართველოსთვის ცუდი იდეა იყო, რადგან ამით საქართველო კიდევ უფრო ახლოს აღმოჩნდებოდა **კოსოვოს პრეცედენტთან!** ამის პასუხად სააკაშვილმა მას უთხრა, რომ **პუტინის** ჯინაზე შევიდოდა ნატოში! საბოლოოდ პუტინი სააკაშვილს დაემუქრა — **თუ ასეა, მაშინ შენ აფხაზეთსა და ცხინვალს დაკარგავ!**

როგორც სააკაშვილი იხსენებდა, 2008 წლის აპრილში მან წერილი გაუგზავნა **პუტინს,** სადაც უარს ამბობდა ნატოზე და სანაცვლოდ ითხოვდა ტერიტორიების დაბრუნებას. ამის პასუხად **პუტინს** სააკაშვილისთვის უკითხავს — **აბა, იმ პლებისციტს რატომ ატარებდი და რატომ მარწმუნებდი, რომ ქართველების 77 პროცენტი ნატოში გაწევრიანების მომხრეა?**







**„რომ არა ძლიერი კავშირი ტრამპს, ჯეი დი ვენსსა და ბიძინა ივანიშვილს შორის, დიფ სთეითის აგენტს რობინ დანიგანს საქართველოდან არავინ მოაშორებდა!“**



**„არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზეთის ომი შევარდნაძეს ამერიკელებმა დააწყებინეს!“**

**პლებისციტი იმიტომ ჩაატარეთ, რომ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ ნატოში მაინც შეგათრევენ?**

მთელი ეს პრეისტორია იმიტომ გავიხსენე, რომ საქართველო და უკრაინა გახვიეს დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში და დაანგრიეს! არავის დაგვავიწყდეს, რომ ნატოს 2024 წლის ანგარიშიდან ჩანაწერი საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების შესახებ ამოღებულია.

**— ირან-ისრაელის კონფლიქტის შესახებ რას იტყვით? რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, რაზე მეტყველებს?**

— ესეც დიდი გეოპოლიტიკური თამაშია! როგორც **ტრამპმა** განაცხადა, მან იცოდა, ისრაელი ირანს რომ დაარტყამდა, მაგრამ ამერიკას ამ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც ჩანს, **პუტინმაც** იცოდა, რომ ეს თავდასხმა იგეგმებოდა...

**— ეს საიდან ჩანს?**

— როცა ირანსა და ისრაელს შორის ომი დაიწყო და ნავთობზე ფასები 7-8 პროცენტით გაიზარდა, **პუტინმა** ხელი მოაწერა უპრეცედენტო განკარგულებას, რომლის მიხედვითაც მან დასავლეთ ევროპისთვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტას დაუჭირა მხარი და რუსული ენერგომატარებლები ძირითადად ჩინეთისკენ მიმართა. ირან-ისრაელის კონფლიქტში, არავინ იცის, რას იზამს თურქეთი, რომელსაც მილიონიანი კბილებამდე შეიარაღებული არმია ჰყავს. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, თურქეთის გაგრძელებაა რეგიონში.

ცნობისათვის, ჩრდილოეთ ირანში დაახლოებით 22 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სომხეთსა და ირანს შორის ტრადიციულად კარგი ურთიერთობებია. ამდენად, საქართველო მოქცეულია ისლამურ გარემოცვაში და ღმერთმა უწყის, როგორ განვითარდება პროცესები. ფაქტობრივად, რუსეთიც ისლამური რკალით არის გარშემორტყმული და ამ მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს ქვეყნის შიგნითაც.

**— რა ხდება ოპოზიციაში, რომლის ლიდერებიც ერთმანეთის მიყოლებით მიდიან ციხეში?**

— შიდაარეულობა საქართველოს აქილევსის ქუსლია... გახსოვთ, წინა ინტერვიუში მკითხეთ, თუ ირაკლი კობახიძის მიერ ტრამპისადმი გაგზავნილ წერილს არავითარი რეაგირება არ მოჰყვება, მაშინ რა იქნებაო? მე გიპასუხეთ, რომ, თუ არა დიდი ზურგი და იმედი, ასეთი წერილი არ დაიწერებოდა-მეთქი! **გავიხსენოთ, რა მოხდა 2025 წლის 26 მაისს, როცა საქართველოში ამერიკიდან ორი მისალოცი წერილი გამოგზავნეს.** ერთი ეკუთვნოდა **მარკო რუბიოს,** ხოლო მეორე — **პრეზიდენტ ტრამპს.** რუბიომ 26 მაისი მიულოცა მხოლოდ ქართველ ხალხს, ხოლო პრეზიდენტმა ტრამპმა — **პრეზიდენტ ყაველაშვილსა** და მთელ ქართველ ერს. ამით იმის თქმა მინდა, რომ **პრეზიდენტ ტრამპს** საკუთარ ადმინისტრაციაში აქვს პრობლემები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა — **ამერიკის ელჩი რობინ დანიგანი, რომელმაც პრეზიდენტ ტრამპის მილოცვის ბარათი, ფაქტობრივად, დამალა და საელჩოს ვებ-გვერდზე რამდენიმე დღის განმავლობაში არ ატვირთა, მარკო რუბიოს კადრი იყო?** ახლა კი მეორე მხრიდან შევხედოთ ამ ყველაფერს! აი, ამის ჩამდენი ელჩი, რომელმაც ათეულობით მილიონი ამერიკელის მიერ არჩეული პრეზიდენტის მისალოცი ბარათი დამალა, არ მიიღო

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჩვენი ხელისუფლება შუა ევროპაში **მეგობრობასა და მშვიდობაზე** აწერს ხელს! **ჩვენ ყველა ბრძოლას მოვიგებთ!** გაიგეთ — ქართველი ხალხი **ვერ ეგუება ჩაგვრას, ზიზღს, უსამართლობას, უსამშობლობას, ძალადობას** — ფიზიკურს თუ მორალურს.

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



დედას იფიცებდნენ, რომ **თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ,** ახლა **ხაზარაძის** გეგმა არჩევნებში მონაწილეობაა — „ნიჩურტი“ გვქონდა, როცა ვიფიცებდითო.

წელს ის წელი იქნება, როცა **ნაციონალური მოძრაობა თავისი ფილიალებით პოლიტიკურად აუცილებლად დასრულდება.**

„პირველი არხი“

**პაატა სალია**
*იუსტიციის მინისტრი*



2012 წლის შემდგომ **არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა,** რომელიც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში **პატიმრების უფლებების დარღვევას** შეეხებოდა.

„რუსთავი-2“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიცია საკუთარ მომხრეებთან ერთად **თავის გზაზე ანადგურებს ყველაფერს.** ისინი არიან **მაოხრებელი გზირები,** ამიტომ მათ **ქვეყანა არ უნდა ავაოხრებინოთ.**

„იმედინიუსი“

# მაყვალა ბერიანიძე:

# როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდია გრძნობდა, რომ საქართველოს რაღაც საშინელებას უმზადებდნენ და ამიტომაც ჩქარობდა!



## დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილმა! **ბატონი ბიძინა რობინ დანიგანს არ შეხვდა და თავი არ გაუყადრა. როგორ ფიქრობთ, ეს რაზე მეტყველებს?**

**— თქვენ რას ფიქრობთ?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რაც წინა ინტერვიუში მოგახსენეთ — **ბიძინა ივანიშვილს ძალიან მაგარი ზურგი აქვს!**

**— და ეს ზურგი დონალდ ტრამპია?**

— ცხადია! რომ არა ძლიერი კავშირი **ტრამპს, ჯეი დი ვენსსა და ბიძინა ივანიშვილს** შორის, დიფ სთეითის აგენტს **რობინ დანიგანს** საქართველოდან არავინ მოაშორებდა! როგორც ჩანს, არის ისეთი ძალა, კავშირი და ზურგი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აძლევს უფლებას, დაუპირისპირდეს ბრიტანეთის მთავრობას, საფრანგეთის ხელისუფლებას და ამხილოს ყველა ის უკეთურება, რასაც უცხო ქვეყნის ელჩები და მათი ადგილობრივი აგენტები საქართველოში აგერ უკვე რამდენი ხანია სჩადიან. გითხარით თუ არა, რომ გვარამიას ნიკა მელია აქეთ გამოიყენებს-მეთქი? **აბა, ერთი გაებედა, გვარამიას გირაო გადაეხადა და გარეთ დარჩენილიყო!**

**— გვარამიას გირაოს გადახდა უნდოდა?**

— ცხადია, **ნიკა გვარამიას** გირაოს გადახდა უნდოდა, რათა ციხეში არ ჩამჯდარიყო, მაგრამ **ნიკა მელიამ** გამოიძახა და გვერდით მოისვა. არ წავიდოდა და კარგ ჩიტსაც დაიჭერდა! კიდევ ერთხელ გეუბნებით — **მელიას უშიშროების აკადემია აქვს დამთავრებული და ეს თამაშები დიდი ხნის წინ აქვს გავლილი და ჩაბარებული.** ციხეში წასვლა იყო არჩევანი, რომელიც **ნიკა მელიამ** აირჩია და **გვარამიასაც** აარჩევინა. ეს მათ სჭირდებოდათ მინავლებული და, ფაქტობრივად, მიწასთან გასწორებული პოლიტიკური პროტესტის გამოსაფხიზლებლად. აქედან გამომდინარე, ის, რაც მათ გააკეთეს, იყო არჩევანი კარიერისთვის. **ნიკა მელიაც და ნიკა გვარამიაც** არიან მილიონერები. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დაუმორჩილებლობისა და კანონის ფეხებზე დაკიდების შემთხვევაში, წავიდოდნენ ციხეში. რაკი ციხეში წავიდნენ, ეს მათი არჩევანია, რაც კარიერისთვის სჭირდებათ, რათა 14 კაცის მიერ ქუჩის გადაკეტვას ცოტა უფრო მეტი ტონალობა და წივილ-კივილი შესძინონ!

ძალიან სწორი აქცენტები გააკეთა **იაგო ხვიჩიამ** თქვენს გაზეთში, როცა იკითხა — **ნიკა გვარამიას 10 მილიონი ვინ მისცა?** ისიც თქვა, რომ არაოფიციალურად 40 მილიონზე იყო ლაპარაკი, მაგრამ კარგი, იმ 10 მილიონის წარმომავლობა გაგვიშიფრონ!

**თეა წულუკიანის კომისია შუაზე რომ გასკდეს, ვერ მოიძიებს იმ ფაქტებს, რაც 2004 წლისა და 2008 წლის აგვისტოს ომების შესახებ მაქვს მოგროვებული.** პირველწყაროები მყავს დაკითხული და იმ ხალხის ნაწილი დღეს გარდაცვლილია... ამდენი ხანია, ვიხვეწები — ეს ყველაფერი წიგნად გამომაცემინეთ-მეთქი! — მაგრამ არა და არა. **მე კაპიკები ვერ ვიშოვე და ნიკა გვარამიას ვინ მისცა 40 მილიონი? როდემდე ეს სპექტაკლები?**

და კიდევ: **ჩემთვის ისიც გაუგებარია, როდემდე უნდა იჯდეს თხუთმეტი მაიმუნი რუსთაველის პროსპექტზე და კეტავდეს ქუჩას?!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



***პოეტი, ეთნოკულტურათა მკვლევარი, მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი კობა არაბული არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს აფასებს და მამა-პაპათა ანდრეზების მოშველიებით ხელისუფლებას მნიშვნელოვან რჩევას აძლევს:***

— დიდი ხანია, ხევსურეთს წინასწარმეტყველი არ ჰყოლია. გამოჩნდა კაცი, რომელიც აყრილი, დაცლილი სოფლების სალოცავებში შედის და სანთლებს ანთებს. ლოცულობს განუწყვეტლად. რომელიმე სანდო ოჯახში წმინდა კელიას იღებს და 10 დღე რჩება ლოცვაში. მერე გადადის სხვა თემში და იქ ქადაგებს, რომ დგება სახიფათო დრო, ქალაქებს „თეთრი ობი" დაესერება და შთანთქავს. ყველა უნდა დაბრუნდეს და შევიდეს ნოეს კიდობანში, რათა გადარჩეს. **ხევსურეთი ერთი დიდი ნოეს კიდობანია, მთებს შორის მისი კარი იკეტება და იქ შეიძლება გადარჩენა. ყველამ უნდა მოასწროს შესვლა საკუთარი ისტორიის ჩაკეტილ სივრცეში. დაბრუნების ჟამი დადგა!**

რაღაც ბედისწერულად მენიშნა— 50-იანი წლების მერე ქადაგი არ ჰყოლია ფხოვის თემს — ისიც იმავეს ამბობდა, იმის წინაც — ჯერ დაიცლება და მერე დაბრუნდება ხალხიო. მართლაც დაიცალა და მოსვლის დროც დადგა. ქადაგის სიტყვა — **„თეთრი ობი დაეყრება ქალაქებს"** — ცხადდება!

**— მოდით, პოლიტიკურ ჭრილშიც განვიხილოთ ქადაგის სიტყვები, რა ხდება ქვეყანაზე და მსოფლიოში?**

— ხოცვა-ჟლეტა, ვითარცა პირუტყვისა, უბედურება, ტირილი და გოდება! აქოთებულ-აჭრილია მსოფლიო, სულის და ზნეობის კრიზისია. ერები განდევნილია საკუთარი სამწყსო-სამყოფელიდან, მრისხანებს ომი!

ალბათ, იკითხავთ, ვინ ან რამ აადუღა ბოროტების ეს მძვინვარე ოკეანე? უფალმა თუ სატანამ, თუ ორივემ ერთად კაცთა მოდგმის სულიერი გარდაქმნისთვის, აღდგომისთვის? ან იქნებ, ბოლო დღისთვის, რომელიც აღარ თენდება?! **ვინ ამზადებს ამ წარღვნას კიდევ და მერამდენედ?** ვიდრე ამ ვითარებას განვჭვრეტთ, ჩავიხედოთ ჩვენს ერში, ჩვენს სამშობლოში, სახელმწიფოში, რასა ვიქმთ და როგორ ვართ?! რა ვითარებაა და როგორ შეიძლება ამ კოლაფსიდან თავის დაღწევა.

**— საინტერესოა, თქვენი პასუხი რა არის თქვენ მიერვე დასმულ შეკითხვებზე?**

— პირველი და მთავარი — **სახეზეა დემოგრაფიული კრიზისი, ერის გასვლა საკუთარი სკიდან. როგორც ფუტკრები გადიან**



# კობა არაბული:

# ქართულმა სახელმწიფომ ერთი-ერთში უნდა გაიმეოროს ის, რასაც ტრამპი აკეთებს!



## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები გახდება ის **უკანასკნელი განსასვენებელი კოლექტიური ნაციონალური მოძრაობისა,** სადაც დაამთავრებენ სიცრუეზე აწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

„იმედინიუსი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



განა **ბოკუჩავა** არ გვარწმუნებს, რომ მისი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დემოკრატია ყვაოდა? **ქალბატონო თინა,** აუხსენით თქვენს კრეტინებს, **მიშა დემოკრატიის შუქურა იყო თუ მონათმფლობელური სისტემის შემოქმედი.**

„იმედინიუსი"

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



ჩვენთვის **ნატო-სთან ურთიერთობის ფორმა** არის მნიშვნელოვანი, რომელზეც არასდროს გვითქვამს უარი, ჩვენი კონსტიტუციით განსაზღვრულ **საგარეო მიმართულებას არ ვცვლით.**

„პირველი არხი"

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციური პარტიების **გარე უფროსები** მიხვდნენ, რომ **ნაცმოძრაობა იმდენად სამარცხვინოა,** მათზე ფსონის დადება არ შეიძლება.

„რეზონანსი"

**ვატო შაქარიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" თანადამფუძნებელი*



**მადლობა და პატივისცემა თითოეულ პოლიციელს,** ვინც ხანგრძლივი მასობრივი არეულობები ისე დაასრულა, რომ **ჩვენი ქვეყნის მტრების ოცნება არ ახდა — ვერ მიიღეს მსხვერპლი.**

„იმედინიუსი"

**და უკან აღარ ბრუნდებიან, ქართველი ერიც გადის თავისი სახლიდან და უკან აღარ ბრუნდება!**

სამაგიეროდ, მოდის ვიღაც **მონღოლოიდი თუ ანგლოსაქსი** და ის იკავებს მის ადგილს. დილით გაღვიძებულს უცხო მასპინძელი გადგას თავზე ყავით, კოკაინით, კანაფით ხელში და სასთუმალთან გიჯდება. შენი მტერი შენი „მოყვარე მტერი“ და მასპინძელი ხდება — **შენ ამ ქვეყნიდან გარბიხარ, ის მოდის და მკვიდრდება.** შენს ადგილს, შესაძლო სამსახურს ჩიქორთული ენით მოუბარი სტუმარი იკავებს.

აბა, გამოიძახეთ ტაქსი, მძღოლთა დიდი ნაწილი უცხოელია, რომელმაც არც ქართული ენა იცის და არც მისამართი, სადაც მიჰყავხარ.

ერმა, ბერმა და ხელისუფლებამ ამ კრიზისის დაძლევის მოდელი უნდა შექმნას, თორემ შეუქცევად დემოგრაფიულ კოლაფსში აღმოვჩნდებით, რომელსაც აღარაფერი უშველის უქართველო ქვეყანაში. ემიგრანტებმა მსოფლიოს ისეთ ქვეყნებს შეუქმნეს პრობლემა, როგორიც საფრანგეთი, გერმანია და თვით ამერიკაა. იქ ლტოლვილები ლამის უკვე მკვიდრ მოსახლეობას დევნიან. **ერდოღანსაც** წამოსცდა — ჩვენ ევროპასთან ომი არ გვინდა, ისედაც ავიღებთო. როგორ მოგწონთ? წარმოგიდგენიათ, საქართველოს რა ემუქრება?!

არანაკლებ დიდი პრობლემაა — ერზე ზნეობრივი ძალადობა, მორალური კოლაფსი, ბრიყვი „მორჟების“ რევოლუცია, ერის მენტალური დაშლის ვირუსი და უმორალო, უღმრთო, ლიბერასტი ჰომოსექსუალების აღორძინება, სარეველას ამოყრა ერის ისტორიულ ნიადაგზე.

ასევე განადგურებული ინტელექტი და ჩარეცხილი ინტელიგენცია, დაშლილი საგანმანათლებლო სისტემა, განდევნილი ნამდვილი მწერლობა და უნიტაზის მწერლები. ვითარება საკმაოდ მძიმეა! ერთმა სააკაშვილმა შეძლო ერის სულიერი და მატერიალური სამყაროს განადგურება და დაშლა იმდენად და ისე, რომ მისი აღდგენა ვეღარ ხერხდება!

**— მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებას“ ნიურნბერგის პროცესი აქვს გამოცხადებული და საგამოძიებო კომისია აქტიურად მუშაობს?**

— დიახ, მიუხედავად იმ ნიურნბერგის პროცესისა, რომელსაც ბრწყინვალე ქალბატონი **თეა წულუკიანი** იუპიტერის ნათებით, „კეთილშობილი სიმკაცრით“ და გამჭრიახობით წარმართავს! **კომისიის მუშაობას არ ექნება აზრი, დროულად თუ არ დადგება შედეგი. ბოლომდე არ მივა საქმე და ქართველთა სამართლის 21-ე საუკუნის ვერდიქტად არ იქცევა!** ქართველი ერის ცნობიერებიდან არ ამოიძირკვება ის ბოროტება, რომელმაც ერი საპყრობილეთა მორგებში შეიყვანა, აწამა და სხეულის ნაწილები ამოაჭრა. მადლობა უფალს, რომ ამ დაჩეხილმა სხეულმა **ივანიშვილის და პატრიარქის მეოხებით** დაიწყო სუნთქვა. ეს ორი გენიალური პიროვნება რომ არ მოევლინა უფალს, ჩვენი ერი სამუდამოდ იყო განწირული ნაცფაშისტების და დამპალი ევროპისგან, თუმცა, ბრძოლა ჯერ არ დასრულება.

საგამოძიებო კომისია, რომელსაც **თეა წულუკიანი** წარმართავს, მსოფლიო ამფითეატრის დრამაა, უნიკალური ფატალური მოვლენებით და ეპიზოდებით, ადამიანთა ტრაგიკული ბედისწერით. ეს არის დიდი სისხლიანი ფილმის თუ თეატრის დრამატურგია, რომელსაც ერთი სატანის მოციქული ქმნიდა. **მრავალ ეპიზოდთა შორის გამოსარჩევია ყინწვისის დრამა, 24 უდანაშაულო ახალგაზრდის დასჯის პროცესი, რომელთაც აიძულებდნენ, ჩვენება მიეცათ საპატრიარქოს მიერ თითქოსდა სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების შესახებ.** შემაძრწუნებელია **ნიკოლოზ გოგუაძის,** პროფესორ **ბესარიონ ხვინთელიანის** და სხვების ჩვენება, მათი წამების სურათი. დავიჯერო, დაბრმავებული ევროპა ამას ვერ ხედავს, უტიფრად რომ მოქმედებენ საქართველოში ახალი სახელმწიფო გადატრიალებისთვის?!

ვერც არაბებმა და ვერც მონღოლებმა ვერ წაგვართვეს ენა და სარწმუნოება. ვერ დაანგრიეს ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტი. დღევანდელი ინდო-ევროპული მასონების მცდელობაც კრახით დასრულდება.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?**

— ამას განსაზღვრავს ამერიკაში მიმდინარე პროცესები — ნგრევა ძველი სოროსული, კოლონიალური, რეაქტიული სისტემის, ტრანსფორმირება ფსევდოდემოკრატიისა და ოლიგარქიის.

ახლა ამერიკაში იგივე ხდება, რაც ჩვენთან. იქაც აჯანყებული ლიბერასტები ანგრევენ და ამტვრევენ ირგვლივ ყველაფერს, უტევენ პოლიციას, რაზეც **ტრამპმა** გასაგებად თქვა, რომ ეს არის ამბოხი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ფინანსდება ვიღაცის მიერ, როგორც აქ, ჩვენთან.

**ქართულმა სახელმწიფომ, ხელისუფლებამ ერთი-ერთში უნდა გაიმეოროს ის, რასაც ტრამპი აკეთებს — უზღუდავს დაფინანსებას უკრაინას! უპირისპირდება „ომის პარტიას“! აუქმებს იუსაიდებს, წყვეტს აგენტურებისთვის დაფინანსებას და ა.შ.** ეს გენიალური მოქმედებაა კაცის, რომელიც მსოფლიოს ამერიკიდან მოევლინა. ზოგიერთებს ეგონათ, ტრამპი გაჩერდა ან გააჩერებენ, მაგრამ ის ასრულებს საკუთარ სიტყვას, ფიცს ერისა და უფლის წინაშე. მან უფალი დაიყენა გვერდით ამ ბრძოლაში!

ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ და ასეც ხდება — ჩვენი სახელმწიფო და ეკლესია ერთად დადგა. საქართველოს პარლამენტიც ეკლესიისა და ერის მხარეზეა!

თუმცა, ხაზგასმით ვამბობ, ამ ბრძოლის დაძლევა გაჭირდება, თუ ხელისუფლება კიდევ ერთ მთავარ პრობლემას არ გადაწყვეტს.

**— კერძოდ?**

— **ხელისუფლებამ ერისა და სახელმწიფოს დამცავი მეხამრიდი უნდა შექმნას მსოფლიოს ფაშისტ-ლიბერალური ძალადობის წინააღმდეგ.** მწერლობა და მისი ძლიერი ინსტიტუტი აღადგინოს და დააბრუნოს ერის სულიერ სივრცეში, მწერლური ინტელექტუალური სინერგიებით. ეს იქნება მწერალთა აკადემია, ანალოგი გელათის, ათონის და სხვა მწიგნობრულ-მისიონერული ცენტრების, რომელსაც ქართველთა დიდი მეფენი ქმნიდნენ და რომლის შექმნითაც, მე-19 საუკუნის მიწურულს, გენიალურმა **ილია ჭავჭავაძემ** არამხოლოდ მაშინდელი, არამედ დღევანდელი საქართველოც გადაარჩინა!

ჩვენ შევთავაზეთ ამის მოდელი საქართველოს მთავრობას. თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ ვთხოვ პრემიერ **ირაკლი კობახიძეს,** მხარი დაგვიჭიროს! გადმოდგას ნაბიჯი აქეთ. შექმნას მწერალთა დაცვის დეპარტამენტი. მხოლოდ ასე თუ დაიწყებს ჩვენი ჭეშმარიტი მწერლობა ერის, სახელმწიფოს სულიერი და ინტელექტუალური დაცვისა და გადარჩენის მისიონერულ მისიას, დაიცავს ერისა და სახელმწიფოს საარსებო ინტერესს!

# «ვინ ზელს ამ უზნეობის ტალახს?»

ჩვენ უნდა გამოვცეთ, დავბეჭდოთ დიპლომატების ქცევის კოდექსი, რისი კეთება, ქმედება არ შეუძლია და ეკრძალება საქართველოში, რომ ის უცხო ქვეყნის ჯაშუშად არ იქცეს.

ახალმა კანონმა უნდა შეძლოს ყოველი მათგანის დასჯა, რომელიც განუწყვეტლად და უტიფრად, უმიზეზოდ შეურაცხყოფს ქართველი ერის ღირსებას, მის რჩეულ ისტორიულ პიროვნებებს, დღევანდელი საქართველოს სახელოვან ადამიანებს, სპორტსმენებს, მწერლებს, მოღვაწეებს.

**ნაძირალებს არ უნდა ჰქონდეთ კვარას, დვალიშვილის, ტალახაძის და სხვათა შეურაცხყოფის საშუალება მასმედიით თუ ფეისბუქით.**



თუ პრემიერი ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს, პირველი, რასაც გავაკეთებთ, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სახელით წერილ-ეპისტოლეებს დავუგზავნით ამერიკის, ინგლისის და გერმანიის საელჩოებსა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შეკითხვებით — იცით თუ არა, რომელ ცივილიზაციას მიეკუთვნება ჩვენი ერი? ან რომელი ქვეყანაა თვით ევროკავშირი? და, საერთოდ, ვინ ზელს ამ უზნეობის ტალახს!?

**— თავად რა პასუხი გაქვთ ამ შეკითხვაზე?**

— დღეს ევროკავშირი ინგრევა როგორც ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად, ასევე პოლიტიკურად. ის გაიჭედა უკრაინის ომში, ჩაიძირა ლიბერალურ ფაშიზმში და უღმერთობის ეპიდემიაში. და აი, ამ დროს ჩვენ აღმოვჩნდით დედამიწის შუა სამანზე, იქ, სადაც, ქადაგის სიტყვებით, გადარჩენა და საყრდენი წერტილის პოვნა შეიძლება!

*ესაუბრა* ***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



ვფიქრობ, ხელისუფლებამ თვალებში უნდა ჩახედოს რეალობას და ჯერ გახსნას საჯარო დისკუსია საკითხზე — **ნატო თუ ნეიტრალიტეტი?** ხოლო შემდეგ **ამ თემაზე ჩაატაროს რეფერენდუმი** და იმოქმედოს იმის მიხედვით, რასაც იტყვის ჩვენი ხალხი.

„რეპორტიორი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*ევროკავშირის ელჩი საქართველოში*



წევრ სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს დისკუსიები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და **ერთ-ერთ იდეას უვიზო რეჟიმის შეჩერება წარმოადგენს.** ამ ეტაპზე წევრი სახელმწიფოების **უმრავლესობა ამას ეწინააღმდეგება.**

„იმედინიუსი“

**გიორგი სოსიაშვილი**
*პარლამენტარი*



თუ არჩევნებში შემოვლენ, **იგემებენ სასტიკ მარცხს ჩვენი ხალხისგან,** თუ არ შემოვლენ არჩევნებში, **პატრონებისგან სასტიკად დაისჯებიან.**

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ქვეყნის სიძულვილში გაერთიანებული რადიკალები** ერთიანი პოზიციით ვერ იქნებიან — **ოპოზიცია 64-ვე ოლქში კიდევ ერთხელ დამარცხდება.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



ოპოზიციას უკვე მეათედ, საიუბილეოდ ექნება **64-ვე მუნიციპალიტეტში გამანადგურებელი ანგარიში.** იმედია, მათი პატრონები მიხვდებიან, **რა რესურსი აქვს აგენტურას საქართველოში.**

„პირველი არხი“

# «ყინწვისის საქმე»,

## ანუ ჯოჯოხეთი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისს დაატრიალა

***2011 წლის 26 მაისს, იმ დროს, როცა ნაცსექტის მამამთავარი და „პრეზიდენტად“ წოდებული რეზიდენტი სააკაშვილი სისხლით მორწყულ რუსთაველზე პარადს იბარებდა და მედლებს არიგებდა, ყინწვისის მონასტერში ჩატარდა ე.წ. სპეცოპერაცია და დააპატიმრეს 24 კაცი, რომლებსაც თავიდან დახვრეტა დაუპირეს, თუმცა, შემდეგ გეგმა შეცვალეს და თითოეული მათგანი ფაშისტური მეთოდებით აწამეს. მაგალითად, ერთ-ერთი დაპატიმრებული — ჯემალ სურამელაშვილი სამარშრუტო მანქანას გამოაბეს და მონასტრიდან ცენტრალურ გზამდე ათრიეს...***

*დაპატიმრებულთა უმოწყალოდ ცემა და წამება ქარელის პოლიციაში, პოლიციის მთავარ სამმართველოსა და სააკაშვილის საკონცენტრაციო ბანაკებში გაგრძელდა.*

*მოგვიანებით, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ე.წ. ყინწვისის საქმის გადახედვისას, დადგინდა, რომ ეს პირები უდანაშაულო იყვნენ. ამავე საქმეზე 2019 წლის 27 ივნისს გამოქვეყნდა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების უამრავი დარღვევა გამოვლინდა.*

***სწორედ „ყინწვისის საქმეს“ მიეძღვნა 2025 წლის 9 ივნისს, ორშაბათს, საქართველოს პარლამენტში გამართული საგამოძიებო კომისიის სხდომა, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს.*** *კომისიის წინაშე წარდგნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები —* ***ნიკოლოზ გოგუაძე*** *და* ***ზაზა გვიმრაძე, რომლებმაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ უმძიმესი ფაქტები გაახმაურეს!***

***ნიკოლოზ გოგუაძემ*** *იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც ის და მისი მეგობრები სააკაშვილისა და ნაცრეჟიმის ჯალათების თვალთახედვის არეში მოექცნენ! აი, რა გაიხსენა მან:*

— ჩვენი ისტორია 11 მაისამდე ცოტა ადრე დაიწყო, მაგრამ 11 მაისი იყო ის დღე, როცა ჩვენმა ორგანიზაციამ, რომელსაც „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა“ ერქვა, გავაკეთეთ პრეზენტაცია. უამრავი სტუმარი გვყავდა მოწვეული. მე ვიყავი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე და შემქმნელი.

**თეა წულუკიანი: — ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იყო?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ჩვენ პარტიად გვინდოდა გარდაქმნა, მაგრამ ვინ გვაცალა?! როგორც კი გავაჟღერეთ ჩვენი არსებობის და მიზნების შესახებ, ჩვენ მიმართ მაშინვე დაიწყო დევნა-მუქარა. პრეზენტაციის შემდეგ, პრაქტიკულად, ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა — სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურიდან ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი ხალხი რეკავდა და სერიოზულად მემუქრებოდა. მაშინ **ნინო ბურჯანაძე** ქუჩაში აწყობდა მიტინგებს და ამ პერიოდს დაემთხვა ეს ყველაფერი... მხარდამჭერებს და მეგობრებს, ვინც ამ პერიოდში ჩვენ გარშემო იყვნენ, გაუგებარი ბრალდებებით გზადაგზა იჭერდნენ. 24 მაისს წავედით... თავიდან სადღაც ექვსი ადამიანი გავეცალეთ თბილისს, რადგან უკვე ისეთი მუქარები იყო, ვხვდებოდით, დაჭერას ვერ ავცდებოდით.

**თეა წულუკიანი: — მუქარების შინაარსის შესახებაც რომ გვითხრათ!**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — მუქარების შინაარსი იყო ასეთი — დაგხოცავთ, დედას გიტირებთ! მართალია, სიტყვა „დაჭერა“ არავის უხსენებია, მაგრამ ვვარაუდობდით, რომ დაგვიჭერდნენ. გვემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით. მუქარები მოდიოდა ძალოვანი სტრუქტურებიდან. საერთოდ, **სოდ**-ის უწყებიდან მოდიოდა ეს ყველაფერი. 2011 წლის 24 მაისს წავედით რამდენიმე ადამიანი... შემდეგ ისე მოხდა, რომ მეგობრები ერთმანეთს ურეკავდნენ და კითხულობდნენ, თუ სად ვიყავით. გაიგეს, რომ ყინწვისის სამონასტრო კომპლექსში მივდიოდით... საბოლოო ჯამში, 23 ადამიანი აღმოვჩნდით ყინწვისის სამონასტრო კომპლექსთან. ჩვეულებრივად თავს ვაფარებდით... გვინდოდა **მეუფე იობის** ნახვა. თავს ბევრად დაცულად ვგრძნობდით იქ. მოკლედ, 24 მაისს წავედით და 26 მაისს, გამთენიისას, ჩაატარეს სპეცოპერაცია. სხვადასხვა სპეცრაზმი იღებდა მონაწილეობას ამ სპეცოპერაციაში. ალყა გვქონდა შემორტყმული. მოვარდნენ მიკროავტობუსებით, ზოგი ტყიდან ჩამოვარდა... ისეთი ადგილია, რაღაც ჩაღრმავება იყო, ერთი გზა ამოდიოდა და ერთიც — ჩადიოდა. ის ერთი გზა იყო გადაკეტილი მიკროავტობუსებით, სპეცრაზმით და აბსოლუტურად ყველა მხრიდან ავტომატიანმა ხალხმა დაგვარტყა წრე. ეს ხდებოდა ზუსტად მონასტრის პირდაპირ...

**თეა წულუკიანი: — ვინ იმყოფებოდა ამ დროს მონასტერში?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ამ დროს მონასტერში იყვნენ მღვდლები. **მეუფე იობი** ადგილზე არ იმყოფებოდა. შემდეგ გავარკვიეთ, რომ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვენი ჩაცხრილვა ტერიტორიაზე. იქაც იგრძნობოდა ეს... ჩვენ თბილისისკენ წამოსვლას ვაპირებდით, რადგან იქ უკვე დაშლილი იყო მიტინგი. 26 მაისს სასტიკი დაშლა და ხალხის კვლა რომ მოხდა, იმას ვგულისხმობ. ჩვენთან ერთად გარეთ გამოსული იყვნენ მამაოები და გვემშვიდობებოდნენ. ბევრი მამაო იმყოფებოდა იქ და, ეტყობა, გასროლა ამიტომ ვერ შეძლეს ან, უბრალოდ, არ ისროლეს. ყველანი დაგვყარეს მიწაზე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, **მეგის ქარდავა** როგორ გამოიყურებოდა ან ვინ იყო საერთოდ. **მეგის ქარდავა** მოვიდა — **გოგუაძე** რომელიაო? ვუთხარი — მე ვარ-მეთქი! მოვიდა თუ არა, კონდახი ჩამარტყა თავში და გავითიშე. შემდეგ ამწია და შემაგდო მიკროავტობუსში, სადაც მითხრა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩემთვის ესროლა. პირდაპირ მითხრა — ახლა ვაპირებ შენს მოკვლასო!

**თეა წულუკიანი: — მეგის ქარდავამ გითხრათ ეს?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — კი, ბატონო!

**თეა წულუკიანი: — მაინც როგორ გითხრათ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — აი, ამ მარშრუტკაში დაგტოვებო! მოშვერილი მქონდა ავტომატი. თვითონ მეგის ქარდავა მიშვერდა ავტომატს. ერთ ხელში ტელეფონი ეჭირა და მუხლზე ავტომატი ედო. აიღებდა ტელეფონს, სადღაც დარეკავდა და ეკითხებოდა — წინ მიზის და დავამთავროო? ეს საუბარი მესმოდა. შემდეგ ის გაუთიშავდა ყურმილს. ამ დროს მე ვიყავი ხელბორკილდადებული, უკანა სკამზე... „ჟგუტებით“ მქონდა ხელები შეკრული, უკვე დაპატიმრებული ვიყავი. რომ დაურეკა, ეტყობა, იქიდან უთხრეს — გადმოგვირეკავთო! — ახლა წყდება შენი ბედი! — მითხრა **მეგის ქარდავამ.** რამდენიმე წუთი ველოდებოდით ზარს. რომ დაურეკეს, სახე შეეცვალა, გამწარდა და მითხრა — გადარჩიო! ამის შემდეგ შემაგინა... ეტყობა, იქიდან უთხრეს — არ გაისროლოთო! ამის შემდეგ **მეგის ქარდავა** ჩავიდა დაბლა და შემდეგ ნელ-ნელა ყველანი გადაგვანაწილეს სხვადასხვა მიკროავტობუსში. იქ უკვე ჩანდა, რომ ჩვენი დაკავება მათ ინტერესში არ შედიოდა. არ იცოდნენ, რა ექნათ ჩვენთვის. ყველა სადღაც რეკავდა და კითხულობდნენ — რა ვქნათო? დიდ გაურკვევლობაში იყვნენ...

***ნიკოლოზ გოგუაძემ*** *ისიც გაიხსენა, თუ როგორ ათრიეს* ***მეგის ქარდავამ*** *და მისმა ჯალათებმა მათი მეგობარი* ***ჯემალ სურამელაშვილი,*** *რომელიც თოკით მანქანას გამოაბეს.*

*აი, რა უამბო მან ამ საშინელების შესახებ კომისიას:*

— ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი იყო **ჯემალ სურამელაშვილი.** ჩვენ რომ მანქანებში გადაგვანაწილეს, რატომ მოინდომეს მასთან ასეთი ანგარიშსწორება გაუგებარი იყო, მაგრამ **ჯემალი** ჩააბეს მიკროავტობუსზე და ათრიეს. ვუყურებდით ამას მთელი გზა, ყინწვისის მონასტრიდან სანამ ცენტრალურ გზამდე ჩახვიდოდი. ყველას გვეუბნებოდნენ, თავები დაბლა გქონდეთ დაწეულიო და, სჯობდა, ალბათ, თავები არც აგვეწია, მაგრამ მე ეს დავინახე...

**თეა წულუკიანი: — როცა თქვენი მეგობარი მანქანას ჩააბეს, სასულიერო პირებს, ალბათ, რეაქცია ჰქონდათ!**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — საერთოდ, ჩვენი დაკავებისას სასულიერო პირებს რეაქცია ჰქონდათ და ისინი სპეცრაზმელებს გაოგნებული მიმართავდნენ — რას შვრებითო?! როგორც კი ბერები გამოგვესარჩლნენ, მათაც მოხვდათ. მარტივად რომ ვთქვათ, ბერებსაც სცემა სპეცრაზმმა. კონკრეტულად, ვინ ურტყამდა, მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან **მეგის ქარდავა** და კიდევ ერთი ადამიანი იყვნენ ნიღბის გარეშე, თორემ დანარჩენს ყველას ნიღაბი ეკეთა. ყველამ დავინახეთ, რომ ბე-



### ნიკოლოზ გოგუაძე:

## 31 წელი ისე ვიცხოვრე, რომ კაცის ტირილი ნანახი არ მქონდა და გლდანის ციხეში ვნახე!

## „რამაზ ღვალაძე „მოდულის“ შენობაში დენზე შეაერთეს და გულის შეტევა დაემართა!“

### კვირგვინოსნები

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



დასავლეთის უსიტყვო მორჩილების დრო დამთავრდა. **ივანიშვილი,** ფაქტობრივად, **სანქციების ქვეშ იმყოფება.** თავად განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 2008 წლიდან მას **გარკვეული შეზღუდვები ჰქონდა ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებით.** როგორ შეიძლება მან მიიღოს **ულტიმატუმი და შანტაჟი,** როდესაც საუბარია ქვეყნის ბედზე?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



სამწუხაროდ, **ახლა ევროპა უსამშობლო სახელმწიფოების გაერთიანებას უფრო ჰგავს**. ებრძვიან ყველაფერს **ეროვნულს, ტრადიციულს და ფასეულს.**

„საერთო გაზეთი“

**სოსო შატბერაშვილი**
*„მემარცხენე ალიანსის“ დამფუძნებელი*



ერთადერთი, რაც **ელჩებს** საქართველოსგან აინტერესებთ, **რუსეთთან ომის დაწყებაა.**

„საერთო გაზეთი“

**გია იაკობაშვილი**
*FOR.GE-ს დამფუძნებელი, მთავარი რედაქტორი*



**ამ ოპოპარტიულ ტელევიზიებს მედიასაშუალებებად არ მივიჩნევ** და არც იქ მომუშავე ადამიანები მგონია ჟურნალისტები. ამას წინათ ერთ-ერთმა ე.წ. ჟურნალისტმა განაცხადა — **„ქართულმა ოცნებამ“ ქალაქში რუსული საცობები შექმნაო.** ამაზე ვთქვი — ამ საქმეს **ბიბი უგულავა** სჭირდება, ყველას დაერევა, **მანქანებს ჩამოართმევს და თვითონ ივლის-მეთქი.**

„საერთო გაზეთი“

# «ამ არაადამიანებს თქვენი ხელისუფლება ჰუმანურად ექცევა!»

რები სცემეს... მართალია, უმოწყალოდ არ უცემიათ, მაგრამ სპეცრაზმელებმა ბერებს ურტყეს და სუყველა ძირს დაყარეს!

**თეა წულუკიანი: — როცა ცენტრალურ გზაზე ჩამოხვედით, ბატონი ჯემალ სურამელაშვილი ამ დროს ცოცხალი იყო?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ქარელის პოლიციის შენობაში რომ მიგვიყვანეს, **ჯემალ სურამელაშვილი** იქ იდგა, თუ იმას დგომა შეიძლება დავარქვათ. მას ზურგსა და მხრებზე დაზიანებები ჰქონდა. მე, **ჯემალ გუნდიშვილი, რამაზ ღვალაძე, მიხეილ ცილიკიშვილი** ქარელის პოლიციის შენობის სხვადასხვა ოთახებში გადაგვანაწილეს... ამის შემდეგ სპეცრაზმმა პოლიციელები შენობიდან გაყარა და აი, იქ დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წამება. **ჯემალ გუნდიშვილმა** ცემის შედეგად ინფარქტი მიიღო. **გუნდიშვილი** გარდაცვლილი ეგონათ და, მგონი, გორის სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ამ სასწრაფოს ეკიპაჟმა ჩემს პროცესზე, როცა გავმართლდი, ჩვენება მისცა. ექიმებმა **ჯემალ გუნდიშვილის** შესახებ სპეცრაზმელებს კატეგორიულად უთხრეს — ამის ასე დატოვება არ შეიძლება, კლინიკაში უნდა გადავიყვანოთო!

**თეა წულუკიანი: — ეს თქვენ გესმოდათ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — არა, ეს მე არ მესმოდა, ამის შესახებ მერე მიამბო სასწრაფო დახმარების ექიმმა.

**ირაკლი ქადაგიშვილი: — ექიმის სახელი და გვარი ხომ არ გახსოვთ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — საქმის მასალებში არის!

**თეა წულუკიანი: — იყო დაკითხული?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — თქვენი ხელისუფლების პირობებში ეს ექიმი იყო დაკითხული! სპეცრაზმმა სასწრაფოს უფლება არ მისცა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, ინფარქტიანი **ჯემალ გუნდიშვილი** საავადმყოფოში გადაეყვანათ და ისიც ბრძანეს, რომ არ გაეფორმებინათ არავითარი დოკუმენტი, რომელიც იქ სასწრაფოს მოსვლას დაადასტურებდა. ერთ-ერთმა ექიმმა გოგონამ, მუქარის მიუხედავად, გააფორმა, რომ ქარელის პოლიციის შენობაში სასწრაფო ნამდვილად იყო მისული. მთელი ეს პერიოდი ცუდად მახსოვს, რადგან უმოწყალო ცემისგან გონებას ხშირად ვკარგავდი. საღამო ხანს ქარელის პოლიციიდან თბილისში, პოლიციის მთავარ სამმართველოში წამოგვიყვანეს. სხვათაშორის, 2011 წლის 26 მაისს **საააკაშვილის ალლუმზე** გამოსვლას სწორედ ქარელის პოლიციაში გვაყურებინეს... **მეგის ქარდავა** და კიდევ ერთი სპეცრაზმელი ქარელის პოლიციის შენობაში უმოწყალოდ მცემდნენ, თან თავს მაღლა მაწევინებდნენ და ტელევიზორს მაყურებინებდნენ — **მიშას კარგად მოუსმინეო!**

**სოზარ სუბარი: — გონებას ვკარგავდითო და მონასტრის ეზოდან დაწყებული, ვინ და როგორ გცემათ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — მონასტრის ეზოში მე, **რამაზ ღვალაძე და მიხეილ ცილიკიშვილი** სასტიკად გვცემეს. მე იარაღის კონდახები მირტყეს... ქარელში უმოწყალოდ გაგვისწორდნენ. სპეცრაზმმა ჩემს ზურგსა და მუცელზე იმდენი იხტუნავა, რომ მუცლის ბადე ჩამეშალა, ხერხემალი დამიზიანდა... მიწაზე დაყრილები ვიყავით, ოთხი ადამიანი გვიჭერდა და დანარჩენები ჩვენს სხეულზე დახტოდნენ... პირადად მე ამ ცემის შედეგად გონება დავკარგე. დარწმუნებული ვარ, სხვებიც ამ დღეში იქნებოდნენ!

**ალუდა ღუდუშაური: — მაგ დროს ვინმე დაიმახსოვრეთ, ვინც გცემდათ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ჩემთან მიმართებაში განსაკუთრებით აგრესიული და აქტიური იყო **მეგის ქარდავა** და კიდევ ერთი ადამიანი, ვისი სახელიც და გვარიც ვიცი, მაგრამ თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან, რადგან მის წინააღმდეგ ახლაც მიდის საგამოძიებო მოქმედებები და არ მინდა, გამოძიებას ხელი შევუშალო! ისე, ეთერს მიღმა შემიძლია მისი ვინაობა დაგისახელოთ!

**თეა წულუკიანი: — უკან დავბრუნდეთ... მონასტრის ტერიტორიაზე რომელიმე თქვენგანს ცეცხლსასროლი იარაღი ხომ არ ჰქონდა?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ჩემს მეგობარს **მიხეილ ცილიკიშვილს,** როგორც მე ვიცი, ჰქონდა **ტტ**-ის სისტემის იარაღი, რომლის ტარების უფლებაც მას აქვს, რადგან ყოფილი პოლიციელია. მაგ იარაღთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო რამ მოხდა — **მიხეილ ცილიკიშვილმა** რომ დაინახა, მონასტრის ტერიტორიაზე ჩვენს დასახოცად ამოვარდნენ, იარაღი მოისროლა და გადააგდო. ეს იარაღი იპოვეს და ოფიციალურ საბუთებში ისე გააფორმეს, თითქოს, **ტტ**-ის სისტემის პისტოლეტი ამოიღეს **მიხეილ ცილიკიშვილის** თბილისის სახლიდან; ასევე შეთითხნეს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც იმავე ნომრის მქონე იარაღი ჩემი მანქანიდანაც ამოიღეს. საერთოდ, ოფიციალურ საბუთებში ყინწვისის სპეცოპერაცია არსად ფიგურირებს. იქ წერია, რომ თითქოს ჩვენ, მე და ჩემი მეგობრები, დაგვიბარეს მთავარ სამმართველოში, სადაც მივედით და ვაღიარეთ, რომ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას! ოფიციალურ საბუთებში წერია, თითქოს ჩვენ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რისთვისაც საქართველოში უნდა შემოგვეყვანა ქართულად მოლაპარაკე 2 ათასი რუსი სპეცრაზმელი!

**თეა წულუკიანი: — მერე სად უნდა წაგეყვანათ ეს სპეცრაზმელებიო?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ალბათ, თბილისი უნდა აგვეღო... ეს რომ გავაპროტესტე და ვთქვი — რა სისულელეს წერთ და ხელს რაზე გვაწერინებთ, რა 2 ათასი ქართულად მოლაპარაკე რუსი სპეცრაზმელი-მეთქი? — ისე გაბრაზდნენ, საშინლად მცემეს!

**ირაკლი ქადაგიშვილი: — მთელი ამ ხნის განმავლობაში, გარეთ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან საელჩოებმა თქვენი სასტიკი წამებისა და მოპყრობის გამო საპროტესტო აქცია თუ მოაწყო, განცხადება თუ გაავრცელა?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — არავითარი პროტესტი და მსგავსი რამ არ ყოფილა. ერთადერთი, „წითელი ჯვარი“ შემოვიდა, მაგრამ იმ ოთახში, სადაც დამელაპარაკნენ, არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან ყველაფერი იწერებოდა და გაფრთხილებული ვიყავი — როგორც კი ზედმეტ რამეს იტყვი, იმ ღამეს ვერ გადაიტანო!

**ალუდა ღუდუშაური: — პარალელურად, თქვენი, დაკავებულების ოჯახის წევრების მიმართ რა ხდებოდა?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — ჩემს თანამებრძოლებს — **რამაზ ღვალაძესა და ბაქარ და ბადრი ჩიგოგიძეებს,** რომლებსაც ბინები იპოთეკით ჰქონდათ დატვირთული და ყველაფერს პატიოსნად იხდიდნენ, ოჯახები სახლებიდან გამოუყარეს. მაგალითად, **რამაზ ღვალაძეს** სულ ფანჯრიდან გადმოუყარეს საოჯახო ნივთები... ასაკოვან კაცს — ბატონ **ოლეგ კეშელავას** ყინწვისიდან დავურეკე და მხოლოდ ამის გამო დაიჭირეს. **კეშელავას** შვილები — პირველი კურსის სტუდენტები, უნივერსიტეტიდან გამოყარეს. ჩემს მეგობარს **მიხეილ ცილიკიშვილს** არასრულწლოვანი ქალიშვილის გაუპატიურებით დაემუქრნენ, თუ აღიარებით ჩვენებას არ მისცემდა. კიდევ ერთი პატიმარი — **თემურ ცამბაია** ციხიდან გამოსვლიდან ძალიან მალე გარდაიცვალა, რადგან ცემისგან თავში სიმსივნე გაუჩნდა. მაგათ ჰქონდათ ასეთი ჩვევა — ერთსა და იმავე ადგილზე ყოველდღე გირტყამდნენ. წარმოიდგინეთ, ორი წლის განმავლობაში რას გვიზამდნენ...

**თეა წულუკიანი: — სამმართველოში კიდევ რა მოხდა?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — სამმართველოში თითები და ფრჩხილები დამამტვრიეს. ამდენი ცემისა და წამებისგან ისე ვიყავი, მთავარი სამმართველოდან გამოსვლის შემდეგ ფეხზე ვერ ვდგებოდი, ამიტომ გადამიკიდებდნენ და ისე დამატარებდნენ. მაგალითად, გაგიკვირდებათ, მაგრამ გეტყვით, რომ მთავარი სამმართველოს „კაპეზემ“ ჩემ მიღებაზე უარი განაცხადა — მოკვდებაო! არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი. ციხეშიც, **გლდანის მე-8 დაწესებულებაშიც** იგივე პრობლემა იყო — ვერ მივიღებთ, მოკვდებაო!

**თეა წულუკიანი: — ასე ვიცი, რომ მთავარ სამმართველოში რომელიღაც თქვენგანს აყურებინეს ერთ-ერთი თქვენი თანამებრძოლის წამება? არის თუ არა ეს სიმართლე? გვარები არ გვინდა!**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — სრული სიმართლეა! მე რომ გლდანის ციხეზე მიმიყვანეს, **რამაზ ღვალაძე** „მოდულის“ შენობაში დენზე შეაერთეს და გულის შეტევა დაემართა!

**თეა წულუკიანი: — მაინც რას ნიშნავს დენზე შეერთება, ზოგიერთ ახალგაზრდას რომ აუხსნათ?**

**ნიკოლოზ გოგუაძე:** — წნევის აპარატი ხომ გინახავთ, ზუსტად ასე უკეთებდნენ მანჟეტს ყელზე და ხელზე. ამის შემდეგ ჩართავდნენ აპარატს და აწამებდნენ... გლდანის ციხის კარანტინში რვაკაციან საკანში ორმოცი კაცი ვიყავით. ჩემსავით ნაცემ-ნაგვემი იქ არავინ ყოფილა... პატიმრებმა მაშინვე დამითმეს საწოლი და დამაწვინეს. კარანტინის დაშლის დროს ცემას გადავურჩი, რადგან ფეხზე ვერ ვდგებოდი და ჩემ ცემას აზრიც არ ჰქონდა. ორმა ოფიცერმა რომ მიმიყვანა იმ წრეზე, სადაც ხალხს სცემდნენ და ეს ციხის კადრებშიც კარგად ჩანს, ჩემზე ხელი ჩაიქნიეს და სადღაც გადამისროლეს... მგონი, **რამაზ ღვალაძეც** გადაურჩა მაშინ ცემას, რადგან ისიც საშინელ დღეში იყო. საკანში ოფიცრები დამემუქრნენ — დღე-დღეზე გაგგუდავთო! სულ მოლოდინში

გაგრძელება მე-10 გვერდზე



მეგის ქარდავა

> „მეგის ქარდავა და კიდევ ერთი სპეცრაზმელი ქარელის პოლიციის შენობაში უმოწყალოდ მცემდნენ, თან თავს მაღლა მაწევინებდნენ და ტელევიზორს მაყურებინებდნენ — მიშას კარგად მოუსმინეო!“

## „სამმართველოში თითები და ფრჩხილები დამამტვრიეს!“

### კვირგვინოსნები



**სოზარ სუბარი**, „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე

როდესაც საგამოძიებო კომისიაზე ისმენ, **რა წამება გაიარეს ადამიანებმა,** ხვდები, რომ **ნაციონალური ხელისუფლება** არ იყო უბრალოდ სასტიკი რეჟიმი, არამედ **ისინი იყვნენ ერთად შეკრებილი სადისტები.**

„აიპრესი“



**ლევან ლორთქიფანიძე**, პოლიტოლოგი

**ნაციონალური მოძრაობა** არის პარტია, რომელიც **ბელადზე არის დამოკიდებული.** მარტივი გზა ამ პარტიისთვის არის **მიწოლა, ზეწოლა, დაპირისპირება, რევოლუცია.** რუტინული სამუშაო მათთვის თავის ტკივილია.

„ახალი თაობა“



**ლევან ალაფიშვილი**, კონსტიტუციონალისტი

ოპოზიციამ ძვირფასი დრო **ფუჭად და უნაყოფოდ** დაკარგა.

„ახალი თაობა“



**მაია ბითაძე**, პარლამენტარი

მკაცრი სანქცია იქნება ყველა იმ მეპატრონისთვის, რომელიც **უკონტროლოდ ამრავლებს ცხოველებს,** შემდეგ კი იშორებს და **ქუჩაში ყრის.**

„პირველი არხი“

# «ცინწვისის საქმე», ანუ ჯოჯოხეთი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისს დაატრიალა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვიყავი, რომ მომკლავდნენ. ჩემი ფანჯრებიდან პირდაპირ ვუყურებდი ციხის მთავარ კარებს, ანუ ვახტას და კვირაში რამდენჯერმე მიცვალებულის ფეხებს ვხედავდი, რომელიც სპეციალური მანქანით გაჰყავდათ. ჩემ თვალწინ კაცი ცემით მოკლეს... მოპირდაპირე კამერაში შევარდნენ, სადაც ერთი ასაკოვანი კაცი იყო და მეორე სართულზე იწვა. ოფიცრები რომ შევარდნენ მის კამერაში, მოხუცმა პატიმარმა მეორე სართულიდან უცბად ჩამოსვლა და ფეხზე დადგომა ვერ შეძლო... წესი იყო ასეთი — **საკანში რომ შემოვიდოდნენ, რა დროც გინდა ყოფილიყო, ხელები უკან უნდა გქონოდა, ხოლო თავი — ჩაღუნული.** რადგან იმ კაცმა ძირს ჩამოსვლა ვერ მოასწრო, პირდაპირ გადმოაგდეს საწოლიდან. მოხუცმა პატიმარმა იატაკზე თავი დაარტყა და იქვე მოკვდა...

**ალეკო ტაბატაძე: — ხომ არ იცით, რა გვარი იყო?**

ნიკოლოზ გოგუაძე: — არა, არ ვიცი, მაგრამ შეიძლება ამის გაგება, რადგან მე ვიცი, ის რომელ კამერაშიც იჯდა. 31 წელი ისე ვიცხოვრე, რომ კაცის ტირილი ნანახი არ მქონდა და გლდანის ციხეში ვნახე. ყოველღამე გლდანის ციხეში კაცები მასიურად, ხმით ტიროდნენ!

**თეა წულუკიანი: — ბატონო ნიკოლოზ, აშკარად განათლებული ადამიანი ხართ და თქვენი თავისთვის არ გიკითხავთ, რატომ ჰყავდა სააკაშვილის რეჟიმს ალექსანდრე მუხაძისა და მეგის ქარდავას მსგავსი ჯალათები და რატომ ატირა იმ რეჟიმმა ქართველი კაცები?**

ნიკოლოზ გოგუაძე: — ისინი არიან არაადამიანები, მათ სძულდათ ქართველი კაცი და იმიტომ! ამ არაადამიანებს თქვენი ხელისუფლება ჰუმანურად ექცევა!

**გურამ მაჭარაშვილი: — მაშინდელი სახალხო დამცველი — გიორგი ტუღუში, საელჩოები, ენჯეოსექტორი, ოდესმე დაინტერესებულან იმ ჯოჯოხეთით, რაც თქვენ ქარელის პოლიციაში, სამმართველოსა და ციხეში გაიარეთ?**

ნიკოლოზ გოგუაძე: — არა, არასოდეს!

**გურამ მაჭარაშვილი: — ოთხი თვეა, კომისიის სხდომები მიმდინარეობს და არცერთ საელჩოს და, განსაკუთრებით, ევროკავშირის ელჩს, ერთი კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ იმის შესახებ, რაც აქ ხდება. არადა, ამ დროს, ევროკავშირის საელჩო აცხადებს, რომ ის რეჟიმი — ნაცმოძრაობა, რომელიც ამ საშინელებებს სჩადიოდა, თურმე, „ევროპული ღირებულების პარტიაა“! ეს არის ქართველი ხალხის შეურაცხყოფა. ალარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს, რომელიც იყო ამ ყველაფრის შემოქმედი, ოთხი რეზოლუცია მიუძღვნა ევროსაბჭომ და მის გათავისუფლებას ითხოვს!**

ნიკოლოზ გოგუაძე: — მე, მაგალითად, არ მესმის, რატომ უნდა იყოს **სააკაშვილი** „ვივამედში“ და არ უნდა იყოს ციხეში?!

**თეა წულუკიანი: — გეთანხმებით!**

*ნიკოლოზ გოგუაძემ კომისიას ისიც უთხრა, რომ „დილით გლდანის ციხის ვახტაზე ოფიცრები რომ შემოდიოდნენ, ერთმანეთში გეგმებს აწყობდნენ — მოდით, ახლა ამა და ამ კამერაში შევუვარდეთ პატიმრებს და დავლეწოთ, კარგა ხანია, არ გვიცემიაო! საკმარისი იყო, მიმხვდარიყვნენ, რომ მათ საუბარს ვუსმენდი, დალეწვასა და ძვლებში დამტვრევას ჩემით დაიწყებდნენ!“*

*ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე **თეა წულუკიანმა** საგანგებოდ მიმართა გერმანიის ელჩს საქართველოში **პეტერ ფიშერს** და ასეთი რამ განაცხადა:*

— **გერმანიის ელჩი, ბატონი ფიშერი** — გვარი ხომ არ მეშლება? — როგორც ჩანს, არის მოცლილი, რადგან პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების სასამართლო პროცესებს არ აცდენს. რომელიმე მათგანი თუ მოხვდა საპატიმროში, ნამდვილად საუკეთესო პირობებში უწევთ ყოფნა. გაგვაკრიტიკეს კიდეც — **ზედმეტად ჰუმანურები ხართო!** როგორც ჩანს, მას სცალია, ბევრი თავისუფალი დრო აქვს და მინდა, შევთავაზო გერმანიის ელჩს — **ბატონო ელჩო, მობრძანდით, ჩვენი კარი ღიაა! ჩვენ ვიმსჯელებთ, მივიღებთ გადაწყვეტილებას და მოგცემთ უფლებას, რომ ამ სხდომებს დაესწროთ თქვენს თარჯიმანთან ერთად. მოუსმინეთ, რას ყვება ბატონი ნიკოლოზ გოგუაძე დღეს ცინწვისის სპეცოპერაციის საქმეზე. როგორ სცემეს, როგორ იხტუნავეს ცოცხალ ადამიანებზე, როგორ დაუმტვრიეს ხერხემალი, აწამეს. როგორ აყურებინეს ერთ-ერთ მათგანს მეორე მათგანის წამება, რის შემდეგაც ყველას მოუწია აღიარებითი ჩვენების მიცემა, როგორ აწამებდნენ გლდანში პატიმრებს და შემდეგ გააკეთეთ შეფასებები, ბატონო ელჩებო!** განზრახ არ გვინდა, დავაკონკრეტოთ გვარები და წამების შინაარსი, რადგან, სააკაშვილისგან განსხვავებით, ვიცავთ პირადი ცხოვრებისა და პირადი ღირსების ხელშეუხებლობის უფლებას. ჩვენს კომისიაზე არის ადგილი, დაბრძანდით და მხოლოდ უსმინეთ, შემდეგ უკვე გააკეთებთ ინფორმირებულ შეფასებებს იმასთან დაკავშირებით, **ვინ იყო სააკაშვილი!** როგორც **ბატონმა ნიკოლოზმა** ბრძანა, ვერავინ მოახერხა, **სააკაშვილის** გარდა, რომ ეტირებინა ქართველი კაცები ხმით. ეს მან მოახერხა...

*ამის შემდეგ **ნიკოლოზ გოგუაძემ** კომისიას სკანდალური რამ განუცხადა... მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როცა პოლიტპატიმრების სიები დგებოდა, საქართველოს პარლამენტიდან და, მათ შორის, **ეკა ბესელიას კაბინეტიდან, ე.წ. ცინწვისის საქმის მასალები ორჯერ მოიპარეს!** **გოგუაძემ** კომისიას არც ის დაუმალა, რომ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აიძულებდნენ, **მეუფე იობისთვის** ხელი დაედო, რათა ის სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით ციხეში გაეშვათ!*

***კომისიაზე მეხის გავარდნასავით გაისმა ნიკოლოზ გოგუაძის ბრალდება ამ ხელისუფლებისადმი** — „ჩემი საქმის პროკურორები დღესაც თანამდებობაზე არიან“!*

***სოზარ სუბარის** თქმით,*



## ნიკოლოზ გოგუაძე:

### დილით გლდანის ციხის ვახტაზე ოფიცრები რომ შემოდიოდნენ, ერთმანეთში გეგმებს აწყობდნენ — მოდით, ახლა ამა და ამ კამერაში შევუვარდეთ პატიმრებს და დავლეწოთ, კარგა ხანია, არ გვიცემიაო!

## ზაზა გვიმრაძე:

### მითხრეს — ხელი დაადე, რომ მეუფე იობი და საპატრიარქო იარაღს გაძლევდათო!



## კვირგვინოსნები

**ბესო დონაძე**
*პარტია „ახალი — კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი*



**გახარიამ, „ლელომ“** და **ნაციონალურმა მოძრაობამ** დაფინანსება აიღეს. პარტია „ლელოს“ **დღემდე ჰყავს დანიშნული თავისი წევრი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.** გახარიას **სიები ჩახსნილი არ აქვს და არც მანდატებზე აქვს უარი ნათქვამი.**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



ნაციონალები ჯერ ხელისუფლებაში იყვნენ და **მაშინ ჩამოშალეს სახელმწიფო** და ახლა, როცა ოპოზიციაში არიან, **საკუთარი პარტია ეშლებათ.** ნაცმოძრაობას ჰყოფნის თავხედობა, სხვას შეუტიოს და სხვას ასწავლოს ჭკუა. **გამაოგნებელია ეს ალვირახსნილი ბოლშევიზმი, რასაც ვერაფრით ვერ იცილებს ნაციონალური მოძრაობა** და იქიდან გამოსული ფიგურები.

„ახალი თაობა“

**მურმან დუმბაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ირაკლი ოქრუაშვილი ძალიან ღირსეულად წავიდა ციხეში.** ძალიან მიკვირს, რატომ არ ახსენებენ. მოქმედი პარტია რომ არა აქვს, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ **ოპოზიციური ლიდერი არ არის?!**

„ახალი თაობა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ლევან იოსელიანს** მოვუწოდებ, **სახალხო დამცველის პოსტი დატოვოს,** წინააღმდეგ შემთხვევაში, სამწუხაროდ, **ყველაზე სამარცხვინო სახალხო დამცველი იქნება ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში.**

„ახალი თაობა“

# «ჩემი საქმის პროკურორები დღესაც თანამდებობაზე არიან!»

## „ოფიციალურ საბუთებში წერია, თითქოს ჩვენ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რისთვისაც საქართველოში უნდა შემოგვეყვანა ქართულად მოლაპარაკე 2 ათასი რუსი სპეცრაზმელი!“

*მაშინ სახალხო დამცველი იყო და სააკაშვილის ციხეში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ყველა ელჩმა ყველაფერი იცოდა... განსაკუთრებით აღშფოთებული იყო წმინდა საყდრის ელჩი საქართველოში* ***კლაუდიო გუჯეროტი,*** *რომელიც წუხილით აცხადებდა, რომ თავისი სახელმწიფოსგან ამაზე ხმამაღლა საუბარი აკრძალული ჰქონდა!*

***ნიკოლოზ გოგუაძის*** *შემდეგ კომისიის წინაშე წარდგა „ყინწვისის სპეცოპერაციის“ კიდევ ერთი მსხვერპლი და სააკაშვილის საკონცენტრაციო ბანაკებში ნაცემ-ნაგვემი და ნაწამები, ყოფილი პოლიტპატიმარი* ***ზაზა გვიმრაძე.*** *მან დეტალურად გაიხსენა 2011 წლის 26 მაისი, როცა სააკაშვილის ჯალათები ყინწვისის მონასტერთან მხოლოდ იმ მიზნით მიიჭრნენ, რომ იქ თავშეფარებული ოპოზიციონერები დაეხვრიტათ, მაგრამ დროში „აიჭრნენ“ და 24 კაცის ფიზიკური ლიკვიდაცია ვეღარ შეძლეს.*

*აი, რა მოუთხრო* ***ზაზა გვიმრაძემ*** *კომისიას:*

— აწ გარდაცვლილ **მამა საბას** ვეუბნებოდი — ნახე, მამაო, ორი ავტობუსი მოდის, ალბათ, ტურისტები მოდიან მონასტრის კომპლექსის მოსანახულებლად-მეთქი! უცებ გადმოხტნენ ნიღბიანები — დაწექით, თქვენი დედა, თქვე სამშობლოს მოღალატეებოო! — ვინ არის სამშობლოს მოღალატე-მეთქი? ამის თქმა იყო და, მომხვდა ავტომატის ტარი. „აკა-ეს-ებით“ იყვნენ შეიარაღებული, რომელსაც რკინის ტარი აქვს და დამაგდეს. მამაოებმა უთხრეს სპეცრაზმელებს — რას შვრებით, ეს როგორ შეიძლება, ამ ხალხთან რა გინდათ, არაფერი დაუშავებიათო! პირდაპირ ეუბნებოდნენ მამაოებს — ჩვენი ნება რომ იყოს, თქვენც დაგიჭერთ, მაგრამ ჯერ თქვენი დაჭერის უფლება არ გვაქვსო! დაგვყარეს, ტელეფონები ამოგვიღეს, უკვე დამჯდარიც იყო... წიხლებს გვირტყამდნენ სამხედრო ჩექმებით. შემდეგ ჩაგვსვეს მანქანაში. ჯარში ნამყოფი კაცი ვარ და ვხედავ, რომ იარაღის ყუთები დევს ამ მანქანაში. ესე იგი, უნდოდათ, დავეხოცეთ, მერე ეს იარაღები დაეწყოთ და კარგი კინოც გადაეღოთ — სამშობლოს მოღალატეები აჯანყებას აწყობდნენო!

სპეცრაზმელებს ვეკითხებოდი — რატომ გვიჭერთ-მეთქი? ერთი ძალიან ცუდი კაცი იყო და ისე დამარტყა, საშინელი ტკივილი ვიგრძენი. დიდხანს მოუნდნენ ქარელის პოლიციამდე ჩაყვანას, რადგან ტელეფონზე საუბრობდნენ, ვიღაცებს რაღაცებს ეკითხებოდნენ. ჩვენ სრულ გაურკვევლობაში ვიყავით. რაღაც ხომ უნდა ჩაიდინო, რომ ასეთი რაღაც დაგემართოს და დაგიჭირონ? თან „სამშობლოს მოღალატეს გიწოდებენ... ეს მოქმედებს ჩემზე, რადგან ვიცი, რაც არის **სამშობლოს ღალატი.** რასაც ესენი აკეთებდნენ, ეს იყო **სამშობლოს ღალატი.** 2008 წელს რაც გააკეთეს, ეს **სამშობლოს ღალატი** იყო. **სამშობლოს ღალატია,** რაც პარლამენტმა ჩაიდინა, როცა კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა და ახალი ავტონომიური ოლქი შექმნა ცხინვალში!“

***ზაზა გვიმრაძემ*** *დეტალურად გაიხსენა ციხეში გადატანილი საშინელი ცემა და ტანჯვა-წამება. კომისიაზე განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ერთმა ამბავმა, რომელიც მას თავს გადახდა:*

— ყველაფერზე მცემდნენ. **ბიძინა ივანიშვილი** როცა ჩაერთო პოლიტიკაში, მაშინ კიდევ უფრო გააძლიერეს ცემა. შემდეგ გვეუბნებოდნენ — **ოჯახს დაურეკეთ, არჩევნებში ხმა სააკაშვილს მისცენო!** მე რომ ოჯახში ვრეკავდი, ვეუბნებოდი — **ყველა გააფრთხილეთ, წავიდნენ, „ქართული ოცნება“ შემოხაზონ-მეთქი!** ამაზე კიდევ გვცემდნენ. ვუთხარი — რისი იმედი გაქვთ-მეთქი?! ჯერ 17 სექტემბერი არ იყო მოსული... მაშინ აიჭრნენ, ის კადრები რომ გავრცელდა. ერთხელ შემიყვანეს ოფიცრის ოთახში და ხელები დამაწყობინეს. ორი კაცი ჩამოჯდა მაგიდაზე და ორივემ ერთობლივად მოიქნია მუხლი და ჩამარტყეს გვერდებში. სუნთქვა გადამეკეტა, სკამიდან გადავვარდი, თავი დავარტყი. ზემოდან ოფიცერი მადგა, ჯვარზე, თავზე მაფურთხებდა და თავის ბინძურ ფეხს მისვამდა თავზე.

***ზაზა გვიმრაძის*** *განცხადებით, თბილისის მთავარ სამმართველოში სთხოვდნენ, რომ ხელი მოეწერა აღიარებით ჩვენებაზე, რომლის თანახმადაც* ***მეუფე იობი*** *და საპატრიარქო იარაღს აძლევდათ, რათა 26 მაისს გამართულ მიტინგს დახმარებოდნენ! აი, რა გაიხსენა მან:*

— თბილისის მთავარ სამმართველოში შემიყვანეს კაბინეტში გამომძიებელთან. ერთი გოგო იყო და ერთი ახალგაზრდა ბიჭი — იმის სახეს რა დამავიწყებს... **მთხოვდნენ — ხელი მოაწერე აღიარებით ჩვენებასო!** — რა ვაღიარო-მეთქი? — ვკითხე. ასეთი რამ მითხრეს — ხელი დაადე, რომ **მეუფე იობი** და საპატრიარქო იარაღს გაძლევდათ, რათა 26 მაისის მიტინგს დახმარებოდით და ზონაზე გადაგიყვანთო! მე ვუთხარი — გაგიჟდით საერთოდ? რას ლაპარაკობთ-მეთქი? ამის თქმა იყო და, უკნიდან პოლიციელმა ჩამცხო — რასაც გელაპარაკებიან, დაწერეო! არ მოვაწერე ხელი... ამის გამო იმდენი მცემეს სამმართველოში, გული წამივიდა... ვეხვეწებოდი — წამალი მომეცით, შეიძლება, წავიქცე-მეთქი! არც მაგას აკეთებდნენ... საპირფარეშოშიც არ გავყავდით, ისეთ ცუდ დღეში ვიყავით სამმართველოში. პირდაპირ მომთხოვეს — **დაადე ხელი მეუფეს და გიშვებთო!**

*პოლიტპატიმარ* ***რამაზ ღვალაძის*** *წამებისა და დენზე მიერთების ფაქტი* ***ზაზა გვიმრაძემაც*** *დაადასტურა! აი, რა უთხრა მან კომისიას:*

— ჩამიყვანეს სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში. იქ ჩემთან ერთად კამერაში **რამაზ ღვალაძეც** მოხვდა. გაიყვანეს კამერიდან **რამაზ ღვალაძე** და 4-5 საათის შემდეგ შემოიყვანეს. რამაზს დამწვარი ჰქონდა ხელები და ფეხები — დენზე შემაერთეს, აღიარებას ითხოვდნენო! ვკითხე — დენზე როგორ შეგაერთეს-მეთქი? — აღიარებას ითხოვდნენ და უარი ვუთხარიო! **კუდ**-ი სადაც იყო, „მოდულის“ შენობაში, **ახალაიები** სადაც ისხდნენ, მანდ აწამეს **რამაზ ღვალაძე.** ღვთის წყალობით, დღეს ცოცხალია. საერთოდ, დაჭერილებიდან ორი კაცი დაგვაკლდა — **ჯემალ სურამელაშვილი და ცამბაია თემური,** რომელიც სიმსივნით გარდაიცვალა.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, ისეთი წამება მე არ მინახავს... „გესტაპოზე“ რომ ძველად კინოებს იღებდნენ და „გესტაპოელები“ რომ ხალხს აწამებდნენ, ამათთან ისინიც კი მონაგონი იყო. ფრჩხილები არ ამაძვრეს, თორემ, სულ მცემდნენ!

*კომისიაზე განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა* ***ზაზა გვიმრაძის*** *ნაამბობი, როცა მან 2012 წლის 17 სექტემბერი — ციხის კადრების გავრცელების დღე გაიხსენა. მისი თქმით, ხალხი რომ ციხისკენ დაიძრა, ციხის ჯალათები ისე იყვნენ შეშინებული, ერთ-ერთი ოფიცერი მასთან მივარდა და ჰკითხა —* ***თავის გადასარჩენად რომელი ლოცვა წავიკითხოო?***

*კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საშინელი განსაცდელისა და ამდენი უბედურების გადატანის შემდეგ,* ***ზაზა გვიმრაძე*** *მაინც პოზიტიურ ადამიანად დარჩა!*

***ზაზა გვიმრაძემ კომისიას არაერთხელ გაუმეორა, რომ ღმერთის განსაკუთრებული შემწეობის გარეშე, იმ საშინელებასა და ბოროტებას, რასაც სააკაშვილი და მისი რეჟიმი ერქვა, ბიძინა ივანიშვილი ვერ დაამარცხებდა!***

მოამზადა
***დიტო ჩუბინიძე***






## თეა წულუკიანი:

# ბატონო ელჩო,

**მობრძანდით, მოუსმინეთ, რას ყვება ბატონი ნიკოლოზ გოგუაძე დღეს ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეზე. როგორ სცემეს, როგორ იხტუნავეს ცოცხალ ადამიანებზე, როგორ დაუმტვრიეს ხერხემალი, აწამეს. როგორ აყურებინეს ერთ-ერთ მათგანს მეორე მათგანის წამება, რის შემდეგაც ყველას მოუწია აღიარებითი ჩვენების მიცემა, როგორ აწამებდნენ გლდანში პატიმრებს და შემდეგ გააკეთეთ შეფასებები!**

## კვირგვინოსნები



**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*

ევროპელების პოლიტიკა **კავკასიის და, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ,** ყოველთვის ყალიბდებოდა და დღესაც ყალიბდება **ამერიკელების გავლენით.** თუ აშშ-ში ჩამოყალიბდებოდა **„ქართული ოცნების“ მიმართ ლოიალური მიდგომა,** დარწმუნებული ვარ, ევროპელების პოზიციაც შერბილდებოდა.

„კვირის პალიტრა“



**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*

**სალომე ზურაბიშვილი** აპირებს **მეორედ დაიხრჩოს თავი იმ მდინარეში, რომელშიც ერთხელ უკვე დაიხრჩო.** უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ამ არჩევნების შედეგად ხელისუფლება არ შეიცვლება,** სულ რომ ოპოზიციამ მოიგოს. **თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლებას არ ცვლის.** ოპოზიციის სრული ბოიკოტი ნიშნავს **საკუთარი უძლურების აღიარებას.**

„კვირის პალიტრა“



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

გასაგებია, რომ უსამართლო გარემოა და **ხელისუფლება უწესოდ ითამაშებს,** მაგრამ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ **ვიღაც გარედან შეგვიცვლის ხელისუფლებას.**

„კვირის პალიტრა“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*

დღეს ქვეყანაში **არც რევოლუციური განწყობაა და არც ოპოზიციას აქვს რესურსი,** რომ პერმანენტული აქციები გამართოს და დაუმორჩილებლობა გამოაცხადოს.

„კვირის პალიტრა“

# ორგვამიზებული დანაშაული, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ქართული ჯარის წინააღმდეგ ჩაიდინა!

***2025 წლის 11 ივნისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ გამოჰკითხა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2009 წლის 5 მაისს ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმეზე დააკავა და იმდენად აბსურდული ბრალდება შეუთითხნა, რომ ნაცმოძრაობის ჯიბის სასამართლოც კი იძულებული გახდა, მისთვის გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა.*** *კერძოდ,* ***მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა გენერალი კობალაძე*** *სამხედრო ამბოხის ორგანიზებისა და შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო, მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისათვის გაამტყუნა და 2010 წლის 11 იანვარს, 8-თვიანი პატიმრობის შემდეგ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. სამაგიეროდ,* ***ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმეზე*** *დამნაშავედ ცნეს და უმკაცრესი სასჯელი განუსაზღვრეს იმ დროისათვის ყოფილ და მოქმედ სამხედრო პირებს —* ***კობა ოთანაძეს*** *(29 წლით თავისუფლების აღკვეთა),* ***ლევან ამირიძეს*** *(28 წლით თავისუფლების აღკვეთა) და* ***შოთა გორგიაშვილს*** *(19 წლით თავისუფლების აღკვეთა). რაც შეეხება* ***ე.წ. მუხროვანის ამბოხის*** *საქმის კიდევ ერთ ფიგურანტს — პოლკოვნიკ* ***გიორგი (გია) კრიალაშვილს,*** *მან სასამართლო პროცესამდეც ვერ მიაღწია, რადგან* ***სააკაშვილის რეჟიმმა 2009 წლის 20 მაისს გლდანის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციისას დახვრიტა.***
*სანამ პარლამენტის საგამოძიებო კომისია გენერალ-მაიორ* ***კობა კობალაძის*** *გამოკითხვას შეუდგებოდა, კომისიის თავმჯდომარის —* ***თეა წულუკიანის*** *ინიციატივით, ტელემონიტორზე გაუშვეს ცნობილი ვიდეო, რომელიც 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ბაზაზეა გადაღებული და რომელშიც იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი* ***ვანო მერაბიშვილი*** *თავის ხელქვეითებს უბრძანებს —* ***„ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, პრემია დიდია!“***




**თეა წულუკიანი: — „ორი გვამი მჭირდება, პრემია დიდია!“ — ამ რამდენიმე წამში არის ჩადებული სააკაშვილის მმართველობის მთელი არსი!**

**კობა კობალაძე:** — მუხროვანის სამხედრო ნაწილში ნამყოფიც არა ვარ, იმიტომ, რომ იგი სტრუქტურულად თავდაცვის სამინისტროს არ ექვემდებარებოდა. **2009 წლის 5 მაისს,** დილის 6 საათზე, სავარჯიშოდ ვიყავი გასული, მერე ჩემი შვილის ფეხსაცმელი, რომელიც პატარა ზომის გამოდგა, უფრო დიდ ზომაში გადავცვალე, მეგობართან გავიარე და სახლში დავბრუნდი. შინ მისულს ტელეფონზე „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტისა და კიდევ სხვა ჟურნალისტების ზარები შემომივიდა, ჩემთან ინტერვიუს ჩაწერა უნდოდათ. სიმართლე გითხრათ, მაშინ საერთოდ არ ვიცოდი, რა ხდებოდა, იმიტომ, რომ ტელევიზორი არ ჩამირთავს. სახლში დავპატიჟე (ნაძალადევში, კინო „საქართველოსთან“ ვცხოვრობ), მაგრამ ამოსვლაზე უარი თქვეს — კინო „საქართველოსთან“ ვართ და იქნებ აქ მობრძანდეთო.

მივედი, მისვამენ კითხვებს... ვაკვირდები, რომ არასტანდარტული ვითარებაა — **ქუჩაზე ტრანსპორტი არ გადაადგილდება... წინა მხრიდან ვერტმფრენი „ამოიწია“, მარცხენა მხრიდან ავტომანქანები გაჩერდნენ, ხიდან ხემდე ადამიანები დარბიან და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ფილმს იღებენ, მაგრამ რა ფილმი, თურმე, მე მიჭერენ!** ჟურნალისტებს გამოაყვანინეს ჩემი თავი სახლიდან, მაგრამ რა საჭირო იყო ამის გაკეთება, როცა სადმე დაბარებაზე (იგულისხმება საგამოძიებო ორგანოში დაბარება. რედ.) შეტყობინებაც არ მომსვლია და არც იმის პრობლემა მქონია, რომ დავებარებინე და არ მივსულიყავი.

**თეა წულუკიანი: — ეს ნიშნავს, რომ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებმა მიიღეს დავალება, სახლიდან გამოეყვანეთ?**

**კობა კობალაძე:** — კი! როგორც შემდგომში განვითარებული პროცესებიდან მივხვდი, ჩემი ინტერვიუ არავის არ სჭირდებოდა. დამაკავეს, ჩამსვეს მანქანაში, წავედით და მათთან ერთად საკმაოდ დიდხანს ვიმოძრავე ქალაქში, რადგან არცერთმა დაწესებულებამ არ მიმიღო. ბოლოს ვუთხარი — **ბიჭებო, თუ ასეთ უხერხულობას გიქმნით, გააჩერეთ მანქანა, გადავალ და ჩემით წავალ სახლში-მეთქი!..** საბოლოო ჯამში, როგორც იქნა, მიმიღო „მოდულის“ შენობამ.

**თეა წულუკიანი: — ფიზიკურად მიდიოდით ამა თუ იმ განყოფილებაში და რას ეუბნებოდნენ — სხვაგან წაიყვანეთ, აქ არ მოიყვანოთო?**

**კობა კობალაძე:** — მე არავინ არ მითანხმებდა იმათი საუბრის შინაარსს, მაგრამ **მიმაყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს,** სატელეფონო საუბარი ჰქონდათ და უკან გამომატრიალეს; **მერე მიმაყენეს მთავარ სამმართველოს** და იქიდანაც უკან გამომატრიალეს... საბოლოო ჯამში, ეტყობა, „კურთხევა“ მიიღეს — **„მოდულში“ მიიყვანეთო და მათთან ერთად მეც გახარებული ვიყავი, რომ, როგორც იქნა, საბოლოო ადგილმდებარეობა განმისაზღვრეს.** სწორედ „მოდულის“ შენობაში გავიგე, რომ მუხროვანში რაღაც ხდებოდა. ჩემთან დაკითხვაზე გამომძიებელიც არ მობრძანებულა, უბრალოდ, გასაუბრება იყო — ჩვენ ეს გვინდა და თქვენ თუ ხართ მომხრე, რომ ეს გვინდაო...

**თეა წულუკიანი: — „ეს გვინდა“ რას ნიშნავს?**

**კობა კობალაძე:** — რაღაცა ამბოხია, რაღაცა ხდება, რაღაცა პროცესი მიმდინარეობს, ამ პროცესში სიღრმისეულად გვინდა რაღაცების გარკვევა და იქნებ გზამკვლევად დაგვიდგეო... რაც არ ვიცოდი, იმის გზამკვლევი ვერანაირად ვერ ვიქნებოდი.

**თეა წულუკიანი: — ბატონო კობა, თქვენ საუბრობთ ძალიან კარგად და...**

**კობა კობალაძე:** — მაქვს განათლება მიღებული.

**თეა წულუკიანი: — ზოგიერთი აქ მყოფი ფორმიანისაგან განსხვავებით!**

**კობა კობალაძე:** — ხო, არ ვიცი!

**თეა წულუკიანი: — კარგად საუბრობთ, მაგრამ მაინც ნუ მოვერიდებით კონკრეტიკას. „გზამკვლევად დაგვიდექი“ ნიშნავს, რომ ვიღაცებს ხელი დაადე და ჩაუშვიო? ჩემთვის ეს ამას ნიშნავს, მაგრამ თქვენ რას გულისხმობთ?**

**კობა კობალაძე:** — ვიღაცას ხელი დაადეო — ამას, ალბათ, ადამიანობიდან გამომდინარე, არც თვითონ იკადრებდნენ და არც მე მკადრებდნენ...

**ალექსანდრე ტაბატაძე: — თქვენ რაზე გქონდათ ბრალი წაყენებული?**

**კობა კობალაძე:** — ბრალი მქონდა წარდგენილი იმაზე, რომ მოვახდინე არაფორმალური შეიარაღებული შემადგენლობის მობილიზების ორგანი-


კობა კობალაძე:

## არ ვიცოდი, რატომ დამაკავეს და არც თვითონ იცოდნენ, რატომ დამაკავეს!

## კვირგვინოსნები

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**უცხოეთის სპეცსამსახურები,** მათ შორის, ბუნებრივია, **ბრიტანული დაზვერვაც,** დიდი ხანია, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ახორციელებენ, რომლის მიზანი **ამბოხების გზით ამ ხელისუფლების დამხობაა.** ეს ძირგამომთხრელი საქმიანობაც და **ე.წ. რევოლუციის მცდელობებიც** ქვეყანაში მასშტაბური არეულობის, **ე.წ. მართვადი ქაოსის შექმნას ემსახურება.**

„FOR.GE“

**ელიშერ გვენეტაძე**
*პოლიტოლოგი*



ჩვენი საგარეო კურსი არის **თავის გადარჩენა** იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს ვართ. უმთავრესია **ხალხის ფიზიკური გადარჩენა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენა.**

„რეზონანსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი, ანალიტიკოსი*



**პუტინის** მორჩილი და **სასარგებლო იდიოტის — სააკაშვილისა და ბიძამისის** ხელში ნატო იყო ინსტრუმენტი იმისა, რომ **საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება განადგურებულიყო.**

„რეზონანსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ **ნაცმოძრაობის პერსპექტივა ნულის ტოლია. „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს** დედაქალაქშიც და სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

„რეზონანსი“

# თეა წულუკიანი: „ორი გვამი მჭირდება, პრემია დიდია!“ – ამ რამდენიმე წამში არის ჩადებული სააკაშვილის მმართველობის მთელი არსი!



ზება, დაგეგმილი მქონდა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დაკავება და ქვეყნის მმართველი უმაღლესი პირების ლიკვიდაცია.

**ალექსანდრე ტაბატაძე: — ამ დროს უკვე სპეცოპერაცია მიმდინარეობს მუხროვანში?**

**კობა კობალაძე:** — მე ამ დროს ეს ყველაფერი არ ვიცოდი! მერე ადვოკატი შემოვიდა, ვისაუბრეთ და ნელ-ნელა გამოჩნდა კონტურები, თუ რაში იყო საქმე.

**თეა წულუკიანი: — ბატონო კობა, თუ სწორად მესმის, თქვენ იმას გვეუბნებით, რომ პირველად „მოდულის“ შენობაში გაიგეთ, თურმე, რა გაქვთ ჩადენილი?**

**კობა კობალაძე:** — ღმერთია მოწმე, სიმართლეს ბრძანებთ! მე არ ვიცოდი, რატომ დამაკავეს, მაგრამ, როგორც ბოლოს გაირკვა, არც თვითონ იცოდნენ, რატომ დამაკავეს!

**თეა წულუკიანი: — ჩვენ ვიცით, მაგრამ ახალგაზრდების გასაგონად რომ თქვათ, თქვენ ვინ ბრძანდებოდით იმ დროს, როცა დაგაკავეს? რა დამსახურებები გაქვთ ქვეყნის წინაშე, გავიხსენოთ ყველამ ერთად!**

**კობა კობალაძე:** — არ მინდა, ჩემს პიროვნულ განცდებზე ვისაუბრო, მაგრამ **მყავს 5 შვილი, რომლებიც მაშინ პატარები იყვნენ და ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს...** გზრდიან სამშობლოსთვის, გასწავლიან, რომ სამშობლოს წინაშე ვალდებული ხარ და უცებ შენს მშობელს, შენს გამზრდელს აკავებენ სამშობლოს ღალატის ბრალდებით... სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ **რამდენიმე წლის განმავლობაში მიწევდა ჩემი შვილების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობა.**

ამასთან, დედა მყავს უმაღლესი მათემატიკის სპეციალისტი და დამსახურებული პედაგოგი, რომელიც **შვილის „არასათანადოდ აღზრდისთვის“ სკოლიდან „მგლის ბილეთით“ გაუშვეს.** ასევეა მამაჩემთან მიმართებაში, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იყო ერთ-ერთი პირველი, ვისაც მეგობრებთან ერთად კერძო ბანკი ჰქონდა და დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შესწირა მთელი ფინანსური თუ სხვა სახის რესურსი.

თქვენ დამსახურებებზე მკითხეთ... **ჩემი ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ ჩემს ქვეყანას 5 ღირსეულ მოქალაქეს ვუზრდი.** მე ვიყავი საქართველოში პირველი ანტიტერორისტული ცენტრის — შავნაბადას ბატალიონის ჩამომყალიბებელი და მეთაური; ვიყავი საქართველოს ისტორიაში პირველი შედეგიანი საზღვაო დესანტის განმხორციელებელი, სადაც მძიმედ დავიჭერი, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემი თანამებრძოლი ჯარისკაცი გამოვიყვანე; მაქვს 9 ცეცხლნასროლი ჭრილობა; მაქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის, ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ვარ, ვისაც ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენი აქვს მინიჭებული; მაქვს მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის და ორდენი — საბრძოლო მამაცობისათვის; ასევე მაქვს ოქროს სამკერდე ნიშანი სამშობლოსათვის თავდადებისთვის.

**თეა წულუკიანი: — როდესაც დაგაკავეს, უკვე გენერალი კობალაძე ბრძანდებოდით?**

**კობა კობალაძე:** — დიახ, როდესაც დამაკავეს, უკვე ვიყავი **გენერალი კობალაძე!** 2002 წელს მომენიჭა აშშ-ის ჯორჯიის შტატის საპატიო გვარდიელის წოდება. დამთავრებული მაქვს: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჰაერო-სადესანტო სპეცდანიშნულების სასწავლებელი, უმაღლესი სამხედრო აკადემია ფრუნზე, გარმიშპარკენხინკერის ანტიტერორისტული ცენტრის კურსი, გლობალიზაციის ინტეგრირების კურსი, კონფლიქტოლოგიის და საერთაშორისო სამართლის კურსი სანრემოში, ჩინეთის გენერალური შტაბის აკადემია, სპეცდანიშნულების დანაყოფთა მოქმედების კურსები და ა.შ.

**თეა წულუკიანი: — ამ თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ახალგაზრდა თაობა ძალიან კარგად დაინახავს, რომ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა, მაშინდელი ხელისუფლების დავალებით, ასეთი რანგის პროფესიონალი სამხედრო, გენერალი, მრავალი დამსახურების მქონე პირი, მოტყუებით გამოგიყვანათ სახლიდან და, მაპატიეთ გამოთქმისთვის, ჩაგაგდეს ციხეში გამოგონილი ბრალდებით.**

*კობა კობალაძემ ისაუბრა 2009 წლის 20 მაისის სპეცოპერაციისას დახვრეტილი გიორგი (გია) კრიალაშვილისა და მძიმედ დაჭრილი კობა ოთანაძისა და ლევან ამირიძის შესახებ, რომლებიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ:*

— უკვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვიყავი, როცა სპეცოპერაცია ჩატარდა და **გიორგი კრიალაშვილი** დახვრიტეს. **კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე,** ფაქტობრივად, მოკლეს, მაგრამ, ღვთის ნებით, გადარჩნენ. თუ არ ვცდები, **კრიალაშვილს** 3 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, **ოთანაძეს** — 9 და **ამირიძეს** — 8.

**გიორგი კრიალაშვილი** ჩვენი თანამებრძოლი იყო, მის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული და ჩემზე მეტი თუ არა, ნაკლები დამსახურება არ ჰქონდა ქვეყნის წინაშე. **ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, რომ გიორგი სამშობლოს წინააღმდეგ რაღაცაში ყოფილიყო ჩართული.**

რაც შეეხება **ლევან ამირიძეს,** იგი 2008 წლის ომის დროს იყო ერთ-ერთი ბატალიონის ხელმძღვანელი, რომელმაც რუსული სტრატეგიული ბომბდამშენის მფრინავები ტყეში ტყვედ აიყვანა და საჩხერის პოლიციის ხელმძღვანელს ჩააბარა, რის გამოც **საბრძოლო მამაცობისათვის მედლით დააჯილდოვეს.** საერთაშორისო სამშვიდობო მისიებშიც მონაწილეობდა და შეუძლებელია, ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებებში ყოფილიყო ჩაბმული.

**კობა ოთანაძესთან** პირადი შეხება არ მქონია, მაგრამ ყოველთვის იყო **სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ერთ-ერთი ღირსეული ხელმძღვანელი.** შემდეგ ციხეში უფრო დავახლოვდით და დავმეგობრდით.

მუხროვანის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი *(მამუკა გორგიაშვილი. რედ.)* იყო დამსახურებული ოფიცერი, რომელიც 2008 წელს, განკარგულების შესაბამისად, პირველი შევიდა ცხინვალში და ამის გამო დაჯილდოებულია ორდენით საბრძოლო მამაცობისათვის.

***გენერალ კობალაძის*** *თქმით, მუხროვანის ბაზაზე დისლოცირებული იყო გორის სატანკო ნაწილის პირადი შემადგენლობა, რომლის უმეტესობაც შიდა ქართლის მკვიდრი გახლდათ და 2008 წლის აგვისტოს ომში თანამებრძოლი, ოჯახის წევრი ან ახლობელი ჰყავდა დაღუპული. ასევე მუხროვანის სამხედრო ნაწილში იყო ბაზირებული ეროვნული გვარდიის შენაერთი, რომლის წევრებმაც* ***2009 წლის 5 მაისს ტელევიზორიდან შეიტყვეს, რომ მათ ბაზაზე, თურმე, ამბოხება მიმდინარეობდა.***

**კობა კობალაძე:** — როგორც შემდეგ გავიგე, **მუხროვანის ბაზაზე არანაირი ამბოხი და დაუმორჩილებლობა არ ყოფილა,** უბრალოდ, ოფიცერთა შემადგენლობა — ერთად ნაბრძოლი ადამიანები შეიკრიბნენ და მსჯელობდნენ, **ჰქონდათ თუ არა მორალური მზაობა, 26 მაისის სამხედრო აღლუმში მიეღოთ მონაწილეობა?**

მაშინდელ ხელისუფლებას ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ **2009 წლის 26 მაისს** მოეწყო დიდი აღლუმი, რომელიც „ქვეყნის აღმავლობის“ დასტური უნდა ყოფილიყო. ეს ფასადური პიარი მაშინ არავის გაჰკვირვებია, რადგან **2008 წლის აგვისტოში, როცა საბრძოლო მოქმედებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და სისხლი და ცრემლი ერთმანეთში იყო აღრეული, რუსთაველის გამზირზე დიდი კონცერტი გამართეს „ომში გამარჯვების“ აღსანიშნავად.**

სასამართლოზე გაჟღერდა, რომ მუხროვანის ბაზაზე სამხედრო ტექნიკა საბრძოლო მზადყოფნაში იყო მოყვანილი... საერთოდ, სამხედრო ნაწილისა და მისი პირადი შემადგენლობის პირდაპირი ფუნქციაა, რომ ან იბრძვიან, ან ომისთვის ემზადებიან. მუხროვანის სამხედრო ნაწილშიც **ყოველდღიური საჯარისო განაწესით გათვლილი ფუნქცია-მოვალეო-**

გაგრძელება მე-14 გვერდზე







გია კრიალაშვილი, კობა ოთანაძე, ლევან ამირიძე

## „სპეცოპერაციის დროს კრიალაშვილის, ოთანაძისა და ამირიძის დახვრეტა არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშიშროება არ არსებობდა!“

## კვირგვინოსნები

**ნათო გელაშვილი**
*კომპოზიტორი, მომღერალი*



არ მეგონა, რომ კიდევ დავუბრუნდებოდი **ჩემს ოჯახზე ბულინგის** თემას... თუმცა, **როგორც ჩანს, გაუსვრელი არავინ უნდა დარჩეს.** დღეს ბიჭები არიან სამიზნეები. ჩვენ არავის ვუვარდებით სახლში, არც სცენაზე, არც პირად ცხოვრებაში, **არც სამარცხვინო ნაბიჯებით გამოვირჩევით...** როცა ყვირი **„სირცხვილია“**-ს, სულ ცოტა, მისი შინაარსი კარგად უნდა გესმოდეს ადამიანს...

„იმედინიუსი“

**ჯუმბერ იზორია**
*ჩხოროწყუს საკრებულოს წევრი*



**მამუკა ხაზარაძე** აღნიშნავს, რომ მას **არ აინტერესებს ჩხოროწყუში მიმდინარე პროცესები და ჩხოროწყუელების ინტერესები** — დარწმუნებული ვარ, ჩხოროწყუელი და ქართველი საზოგადოება **საკადრის პასუხს გაგცემთ არჩევნებზე.**

„იმედინიუსი“

**ლევან სანიკიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**„ლელოს“** საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით **ვაიძულებთ, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვას,** აბა, ხელებს ხომ არ გადავუგრეხთ ვინმეს.

„პირველი არხი“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელოს“ წევრი*



კოლეგების მიმართ ჩვენი შეთავაზებაა ცივილიზებულ გარემოში მსჯელობა, **არავითარ ნებართვას არ ვითხოვთ** და არავის ლოცვა-კურთხევა არ გვჭირდება, **გავიდეთ თუ არ გავიდეთ არჩევნებზე.** „პირველი არხი“

# ორგვამიზებული დანაშაული,

## რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ქართული ჯარის წინააღმდეგ ჩაიდინა!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ბები სრულდებოდა და არანაირ გადაწვევას ადგილი არ ჰქონია.** სასამართლო პროცესზე გაისმა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ ტანკი იყო უზრუნველყოფილი საწვავითა და საბრძოლო ეკიპირებით... რეალურად, ტანკის დაქოქვა და ავტომატის გაწმენდა არის სამხედრო ნაწილის ყოველდღიური რუტინა. მთავარია, რომ **ტანკს ტერიტორია არ დაუტოვებია, საბრძოლო ტექნიკა არ გამოუყვანიათ და არ ყოფილა შეიარაღებული პირადი შემადგენლობის მარში მუხროვანიდან თბილისისკენ.** სამხედრო ბაზა დაკეტილიც კი არ იყო და უფლებამოსილ პირებს შეეძლოთ, თავისუფლად შესულიყვნენ. შევიდნენ კიდეც და მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. უმაღლესი მთავარსარდალი *(მიხეილ სააკაშვილი. რედ.)* რომ მივიდა, პირადი შემადგენლობა ორგანიზებულად გამოიყვანეს, გაამწკრივეს და ლანძღეს.

როგორც სასამართლოზე გაირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი *(შსს-ს მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი. რედ.)*, ფაქტობრივად, თავის ემისრად ამუშავებდა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანს, ხოლო სამხედრო შემადგენლობის ვერტიკალი, გენერალური შტაბის უფროსის თამადობით, საქმის კურსში არ იყო, რა ხდებოდა.

*__კობა კობალაძის__ თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებამ პიარის ელემენტების გამოყენებით შექმნა იმიტაცია, რომ თითქოს სახელმწიფომ წარმატებით ჩაახშო სამხედრო ამბოხი, მთელ ამ პროცესს კი შინაგან საქმეთა მინისტრი __ვანო მერაბიშვილი__ ხელმძღვანელობდა. გენერლის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ პროცესიდან მთლიანად გამოთიშული ჰყავდათ და გენერალური შტაბის უფროსმაც კი არაფერი იცოდა.*

**თეა წულუკიანი: — ბატონო კობა, 2009 წლის 26 მაისი არის პირველი 26 მაისი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც უნდა ეზეიმა სააკაშვილს... თქვენ ბრძანეთ, რომ იმ წაგებული ომის, ბევრი ტკივილისა და ტრავმის შემდეგ ოფიცრებს შესთავაზეს 26 მაისის ზეიმში მონაწილეობა. მასთან დაკავშირებით იყო მსჯელობა და აზრთა სხვადასხვაობა ოფიცრებს შორის? თქვენ ბრძანეთ — უბრალოდ, საუბრობდნენო და კონკრეტულად რაზე საუბრობდნენ?**

**კობა კობალაძე:** — იმ პერიოდში, როცა მათი თანამებრძოლები 2008 წლის აგვისტოს ომში უგზო-უკვლოდ იყვნენ დაკარგული, ოფიცრები საუბრობდნენ, რამდენად ჰქონდათ მორალური უფლება, რომ 26 მაისის საზეიმო აღლუმზე გასულიყვნენ.

**თეა წულუკიანი: — ამასთან დაკავშირებით იყო განხილვა და ამას დაარქვეს ამბოხი?**

**კობა კობალაძე:** — აბსოლუტურად!

*__გენერალმა კობალაძემ__ ისაუბრა იმის შესახებაც, თუ რატომ არ ისურვა, სტრასბურგის სასამართლოსათვის მიემართა და სამართლებრივი დავა ეწარმოებინა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სრულიად აბსურდული ბრალდებით ციხეში 9 თვე გაატარებინა:*

— სტრასბურგის სასამართლომ ჩემი საკითხი, როგორც უპრეცედენტო სამართლებრივი დარღვევა, რიგის გარეშე მიიღო განხილვაში და ნომერი მიანიჭა... სტრასბურგში ჩემს ადვოკატთან ერთად უნდა გავმგზავრებულიყავი, მაგრამ არ მომეწონა სარჩელის ფორმულირება — **„გენერალი კობალაძე საქართველოს წინააღმდეგ“.** ადვოკატს ვუთხარი — იქნებ ეს ფორმულირება შევცვალოთ-მეთქი, მაგრამ არ შეიძლებაო! **ეს იყო მიზეზი, რის გამოც უარი ვთქვი, რომ ჩემი საქმე სტრასბურგის სასამართლოს განეხილა.**

*სხვათაშორის, 10 წლის წინათ „ასავალ-დასავალმაც“ სწორედ ამ მიზეზით თქვა უარი, მიემართა სტრასბურგის სასამართლოსათვის მას შემდეგ, რაც ყაჩაღ-ბანკირ __მამუკა ხაზარაძესთან__ დავაში საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლომ ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა.*

*დიახ, მიუხედავად იმისა, რომ __საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ ხაზარაძისა და მისი ბანკის სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენები__, ჩვენი ღრმა რწმენით და, რაც მთავარია, მაღალკვალიფიციურ სამართალმცოდნეთა შეფასებით, __აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, ჩვენ მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება, სტრასბურგში არ გვეჩივლა,__ რადგან „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორის — __ლაშა ნადარეიშვილისა__ და მთელი სარედაქციო გუნდისათვის __პრინციპულად მიუღებელი გახლდათ ფორმულირება — „ასავალ-დასავალი“ საქართველოს წინააღმდეგ“.__*

*საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე __თეა წულუკიანმა კობა კობალაძეს__ ჰკითხა, იყო თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი __ვანო მერაბიშვილის მიერ ორი გვამის მოთხოვნასა და პოლკოვნიკ გია კრიალაშვილის დახვრეტას შორის?__*



კობა კობალაძე:

**კობა კობალაძე:** — სპეცოპერაციის დროს **კრიალაშვილის, ოთანაძისა და ამირიძის დახვრეტა არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა,** რადგან მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშიშროება არ არსებობდა. ისინი მზად იყვნენ, სპეცრაზმს ჩაბარებოდნენ!

სასამართლო პროცესზე **40 ბრალდებული იყო წარმოდგენილი და 41-ე მე ვიყავი.** ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ კიდეც — **ალიბაბა და 40 ყაჩაღი...** ამ 40 ადამიანიდან სამხედრო შემადგენლობა იყო თითზე ჩამოსათვლელი. ზოგი რიყიდან ჰყავდათ წამოყვანილი — სამშენებლო ობიექტზე ქვებს აგროვებდა, ზოგი პროფილაქტიკიდან წამოიყვანეს და ერთ-ორი ისეთიც იყო, რომელმაც ქართულიც არ იცოდა და სასამართლო პროცესზე თარჯიმანი დასჭირდა. ასე ერთი ხელის მოსმით მოგროვებულ ხალხს აბრალებდნენ სამხედრო ამბოხს.

მე, ნებსით თუ უნებლიეთ, **ჩემს ოჯახს დავუბრუნდი,** მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც **თავიანთ ოჯახებს ვერ დაუბრუნდნენ** და მინდა, მათ ოჯახებს თანაგრძნობა გამოვუცხადო!

**თეა წულუკიანი: — დღეს, თქვენი მოსმენის შედეგად, მე ასეთი დასკვნა გამოვიტანე — მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ე.წ. მუხროვანის ამბოხი დასჭირდათ 2008 წლის აგვისტოს ომის სავალალო შედეგების გადასაფარად და ოფიცრები დასაჯეს იმისათვის, რომ, უბრალოდ, კითხვა დასვეს, რამდენად ჰქონდათ მორალური უფლება, 26 მაისი ეზეიმათ მაშინ, როცა მათი თანამებრძოლები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსვენებული ბრძოლის ველიდან?**

## მუხროვანის ბაზაზე არანაირი ამბოხი და დაუმორჩილებლობა არ ყოფილა,

### უბრალოდ, ერთად ნაბრძოლი ადამიანები შეიკრიბნენ და მსჯელობდნენ, ჰქონდათ თუ არა მორალური მზაობა, 26 მაისის სამხედრო აღლუმში მიეღოთ მონაწილეობა?



2009 წლის 5 მაისს მუხროვანის ბაზაზე მისული სააკაშვილი ტუქსავს „ამბოხებულ“ ჯარისკაცებს

### ბოლოთქმა

**თეა წულუკიანი** მართალს ამბობს, თუმცა, სააკაშვილის რეჟიმს **ე.წ. მუხროვანის ამბოხისა** და მისი აღკვეთის ორგანიზება არამხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის სავალალო შედეგების გადასაფარად დასჭირდა, არამედ **იმ აღშფოთებისა და პროტესტის ჩასახშობადაც, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ დუღდა** და ომის დღეებში ნაცრეჟიმის მესვეურთა არაპროფესიონალური, არაპატრიოტული, ბრიყვული და ქარაფშუტული გადაწყვეტილებებითა თუ ქმედებებით იყო გამოწვეული. დიახ, **ე.წ. მუხროვანის ამბოხი** იყო **სააკაშვილის** მიერ გათამაშებული პოლიტიკური სპექტაკლი, რომლითაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და მთლიან პირად შემადგენლობას შეტყობინება გაუგზავნეს — **ხმის ამოღებას თუ გაბედავთ, თქვენთვის ტყვიები არ დაგვენანება ისევე, როგორც კრიალაშვილისათვის არ დაგვენანა, უკეთეს შემთხვევაში კი, ოთანაძისა და ამირიძის მსგავსად, მრავალწლიანი დილეგი გელოდებათო!** სხვანაირად რომ ვთქვათ, **ე.წ. მუხროვანის ამბოხი იყო ორგანიზებული დანაშაული,** რომელიც **სააკაშვილის** რეჟიმმა ქართული ჯარის მიმართ ჩაიდინა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ **ვანო მერაბიშვილმა** მუხროვანის სამხედრო ბაზაზე **პირდაპირ მოითხოვა ორი გვამი,** შეიძლება, ამ ყველაფერს **ორგვამი**ზებული დანაშაული ვუწოდოთ! სამწუხაროდ, **ორგვამი**ზებული დანაშაულის ჩამდენებს კანონის წინაშე პასუხი დღემდე არ უგიათ, ხოლო დანაშაულის მთავარი **ორგვამი**ზატორი, როგორც **დაუმარხავი პოლიტიკური გვამი,** დღემდე „ვივამედის“ ლუქს-პალატაში ნებივრობს და ციხეში გადაყვანასაც ვერ უბედავენ!

ჯაბა ხუბუა

# გენერალისიმუსი

№24 (320) ★ 2025 წლის 16 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან


*ამერიკელი ჟურნალისტი, პედაგოგი და ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი **ჯეფრი სილვერმანი** აფასებს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს:*

# ჯეფრი სილვერმანი:

## იმედი მაქვს, საქართველო არ გაივსება ირანიდან წამოსული ლტოლვილებით!

## მომავალი ძალიან შემაშფოთებლად გამოიყურება!



— დღევანდელი სიტუაცია ასეთია: მსოფლიო კონტროლს აღარ ექვემდებარება, უკრაინაში ომის დასრულებას რომ ველოდით, ახლო აღმოსავლეთში ახალი ომი დაიწყო. ამერიკაშიც ქაოსია, რესპუბლიკელები ხალხს არწმუნებენ, ტრამპი წინასაარჩევნო დაპირებებს ასრულებს, ქვეყნიდან აძევებს უკანონო მიგრანტებს და ამით ამერიკელებს პრობლემების მოგვარებაში ეხმარებაო. ტრამპის ერთ-ერთი დაპირება იყო ომის შეწყვეტა უკრაინაში, თუმცა, იქ ომი ისევ გრძელდება და რასაც დაემატა ირან-ისრაელის ომი.

**— რატომ ვერ შეაჩერა ომი დონალდ ტრამპმა?**

— **პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, სანამ აირჩევენ, ომის წინააღმდეგია, შემდეგ კი ხვდებიან, რომ ომი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ინდუსტრიაა.** ტრამპიც და სხვებიც დავალებულნი არიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, ბანკირების და ებრაელ-სიონისტური ლობის წინაშე, ვინც მათი საარჩევნო კამპანია დააფინანსა.

**— როგორია ტრამპის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რატომ გავიდა პენსიაზე ამერიკის ელჩი რობინ დანიგანი?**

— დანიგანი საკუთარი ძალების მიღმა აღმოჩნდა, ბევრი შეცდომა დაუშვა, დავალებები ეფექტურად ვერ შეასრულა. საქართველოში და ამ რეგიონში არსებული ბევრი პრობლემა სწორედ ამით აიხსნება. საქართველოში ელჩობის სურვილი ბევრს არა აქვს, ეს არის ძალიან რთული დიპლომატიური პოსტი, მხოლოდ ნამდვილ პროფესიონალს შეუძლია, გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, ვინც გულწრფელად იზიარებს ამერიკელი და ქართველი ხალხის მისწრაფებებს. საქართველოში ელჩობის ერთ-ერთ კანდიდატად **კიმბერლი ლოუს** მოიაზრებენ, თუმცა, ის უკვე კრიტიკის ქარცეცხლში მოაქციეს ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებმა, მათმა მომხრეებმა და **ჯო უილსონის** მსგავსმა პირებმა, ვინც დაფინანსებულ ლობისტურ საქმიანობას ეწევიან. როგორც ითქვა, ეს ფული დაკავშირებულია საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრთან — **დავით კეზერაშვილთან.** სწორედ ის ითვლება ნაციონალური მოძრაობის ბანკირად, ასევე მას უკავშირებენ იარაღით ვაჭრობასა და ფულის გათეთრების სქემებს.

**— მოაწერს თუ არა ხელს დონალდ ტრამპი ჯო უილსონის „მეგობარ აქტს“, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს ეწინააღმდეგება?**

— ხმამაღლა ვამბობ: **ტრამპისა და ამერიკის პოლიტიკისათვის უფრო სასარგებლო იქნება, არ დაეყრდნოს იმ კრიმინალებს, რომლებიც „მეგობარი აქტის“ უკან დგანან და ხელი არ მოაწეროს ამ მტრულ აქტს.** ამ ეტაპზე კი, ზოგადად, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ასეთია: ამერიკა კვლავაც მოიაზრებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ გვინდა თუ არა, ისრაელ-ირანის ომმა თავისი მოთხოვნები შეიძლება წამოაყენოს.

**— რა მოთხოვნები?**

— ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად დაუჭერს საქართველო მხარს ამერიკას ირანის წინააღმდეგ. მაგალითად, განაცხადებს თუ არა თანხმობას, გახდეს სადაზვერვო ბაზა ამერიკული მხარისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, როგორ მოექცევიან საქართველოში არსებულ ირანულ ფინანსებს, ქონებასა და აქტივებს. აკი, ირანული ინვესტიციების დიდი ნაწილი სწორედ საქართველოშია! უფრო მეტიც, საქართველო ირანისათვის წარმოადგენს გარე სამყაროსთან საურთიერთო არხს, სტრატეგიული რესურსებიც სწორედ ამ ხაზით შეიძლება მიეწოდოს. **იმედი მაქვს, საქართველო არ გაივსება ირანიდან წამოსული ლტოლვილებით, მომავალი ძალიან შემაშფოთებლად გამოიყურება.** ასე რომ, აუცილებელი გახდება ამ ყველაფრის გადახედვა და შეზღუდვა, სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იქცეს ამერიკის მიერ საქართველოს მთავრობის შეცვლის საბაბად.

რაც შეეხება ტრამპს, ის მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს: მოკლევადიან პერსპექტივაში — პირადი სარგებლისათვის, ხოლო გრძელვადიანში — იმ გავლენიანი წრისათვის, ვინც მისი პოლიტიკური მფარველია. ასეთი მიდგომები ახასიათებს მას, როგორც ბიზნესმენს, პრეზიდენტსა და პოლიტიკოსს.

გაურკვეველია ტრამპის დამოკიდებულება ევროპის მიმართაც. მეტიც, ევროპა შეშინებულია — თუ ამერიკა უკრაინას მხარს აღარ დაუჭერს და ნატოს დაფინანსებას შეამცირებს, ეს დაშლის როგორც ნატოს, ისე ევროკავშირს. **პირადად მე ვთვლი, რომ ეს იქნებოდა ძალიან კარგი, მოგვეცემოდა შანსი რეალური დემოკრატიისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მისაღწევად.** ევროპელი ლიდერების ნამდვილი სახე საზოგადოებამ საკუთარი თვალით ნახა, როდესაც მატარებელში ერთად მგზავრობდნენ **ფრიდრიხ მერცი, ემანუელ მაკრონი** და **კირ სტარმერი.** ისიც ვნახეთ, **ემანუელ მაკრონს** ცოლმა თვითმფრინავში სილა როგორ უთავაზა. ხალხმა კი გაიცინა, მაგრამ ეს დასაფიქრებელიცაა, რადგან შესაძლოა, იყო შეგნებული ნაბიჯი, რათა ხალხს სწორედ ასეთი მაკრონი ენახა და საჭირბოროტო კითხვები აღარ დაესვა.

**— საქართველოში ომის გაჩაღება ჯერ კიდევ სცენარის ნაწილია? რა მიზნები აქვს ოპოზიციას?**

— საქართველოში ომის ალბათობა ისევ არსებობს. **თუ ირანის გარშემო კონფლიქტი გაფართოვდა ან იქ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, შესაძლოა, პროცესები აქაც დაიძრას.** ვხედავთ, რომ თავად ტრამპსაც არა აქვს დღეს ამ მიმართულებით გამოკვეთილი პოზიცია. საქართველოს დასჯას იმის გამო თუ გადაწყვეტს, რომ ქვეყანა ბალანსის დაცვას ცდილობს, ამას, შესაძლოა, უკუშედეგი მოჰყვეს. თუ ამერიკა მკვეთრად ჩაერევა საქართველოს შიდა საქმეებში, მაშინ მხარე გახდება და ეს გამოიწვევს ქართველების ერთმანეთთან დაპირისპირებას, სამოქალაქო ომს. **ამ ყველაფრის ფონზე კი, ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენი, ბანკირი და კორუმპირებული პოლიტიკოსი, სარგებლის მიღების იმედით, ქვეყნის მტრებთან ითანამშრომლებს.** ასეთები უნდა დაისაჯონ, რადგან ეროვნულ ინტერესებს პირად გამორჩენას ამჯობინებენ.

**— ჯერჯერობით, ქუჩის აქციები გრძელდება, როგორ წარმოგიდგენიათ ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები?**

— როდესაც არსებობს ინფორმაცია, რომ ეს რადიკალები უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროპის სპეცსამსახურების მხრიდან ფინანსდებიან და მათი მიზანია მთავრობის ძალადობრივი შეცვლა, მთავრობა სერიოზულად უნდა დააფიქროს ამ პროცესებმა.

### აუცილებელია ლიდერებისა და ფინანსური წყაროების მუდმივი მონიტორინგი, უცხოელების გადაადგილების კონტროლი, ძალადობის მომზადებაში ეჭვმიტანილ საქართველოს მოქალაქეთა დაკავება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაციები განზრახ ხდება, მთავრობამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალა არ უნდა გამოიყენოს.

ისინი მიზნად ისახავენ, მსოფლიოს წინაშე ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს ქართული პოლიცია კონტროლიდან არის გასული. ხომ ხედავთ, ოპოზიციის ლიდერებიც, რომლებიც ციხეში სხედან, ცდილობენ, თავი წამებულებად გამოაცხადონ. ეს ყველაფერი მედიისთვის არის გათვლილი და არ დაგავიწყდეთ, რომ ისინი ამ საქმიანობისთვის სოლიდურ ანაზღაურებას იღებენ. **ამიტომაც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიზღუდოს დეზინფორმაციული მედია და იმ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც ფინანსდებიან NED-ისა და გერმანიის მარშალის ფონდისგან.**

**— ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ბევრს შეიძლება ეს პასუხი არ მოეწონოს, მაგრამ ჩემი აზრით, **საჭიროა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და ეროვნული ერთიანობის მიღწევა.**

საქართველოს განვითარების გზა არ უნდა იყოს დასავლური ფერადი რევოლუციების გაგრძელება გახსოვდეთ: **მიხეილ სააკაშვილი დასავლეთს ისევ დემოკრატიის სიმბოლოდ მიაჩნია, ხოლო რეაქციული ძალები ისევ აპირებენ ხელისუფლების დამხობას და მის გათავისუფლებას.** ამიტომ მთავრობამ უნდა გამოიჩინოს დიდი სიფრთხილე. ქართული ანდაზაა: **„ციხე შიგნიდან ტყდება“ — დიდი იმედი მაქვს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ეს ანდაზა იციან!**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## ჟურნალისტის თვალით ★

### „ტრამპიც და სხვებიც დავალებულნი არიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, ბანკირების და ებრაელ-სიონისტური ლობის წინაშე, ვინც მათი საარჩევნო კამპანია დააფინანსა!“



ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი

*ღასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17-23*

*ნევისპირა ქალაქი ჯერ კიდევ რევოლუციამდე სტალინის „თავის ტკივილი“ იყო. ამ ქალაქში გასცა ის ჟანდარმებთან მალინოვსკიმ, ბოლშევიკების ცკ-ის წევრმა და შეთავსებით — პროვოკატორმა. აქედან გააგზავნეს იოსებ ჯუღაშვილი თავის უკანასკნელ, ყველაზე მძიმე გადასახლებაში ტურუხანსკის მხარეში. პეტროგრადი ხელისუფლებაში ბოლშევიკების მისვლის შემდეგაც იოსებ სტალინის თავის ტკივილად რჩებოდა. ამ ქალაქის კედლებთან უხდებოდა 1919 წელს ძალის ტიტანური დაძაბვით იუდენიჩის ურდოების მოგერიება. შემდეგ კი, რამდენიმე წლის განმავლობაში, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ოპოზიციას ზინოვიევის მეთაურობით. დაბოლოს, აქ, ნევის ნაპირზე გაისმა დაქირავებული მკვლელის საბედისწერო გასროლა, რომელმაც სტალინის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანამოსაგრისა და მეგობრის კიროვის სიცოცხლე იმსხვერპლა. 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერულმა ურდოებმა საბჭოთა კავშირი-გერმანიის საზღვრის მთელ სიგრძეზე გაარღვიეს ფრონტი თეთრიდან შავ ზღვამდე. და პირველი ყველაზე მრისხანე დარტყმა ბელადს ლენინგრადის კედლებთან.... და თავად ქალაქში ელოდა.*

გიორგი ბეზირგანი

# დანა ბელადის

## ლენინგრადის კედლებთან



**1941 წლის ივლისის დასაწყისში** გერმანიის არმიათა დაჯგუფება **„ჩრდილოეთის“** ნაწილებმა **გენერალ-ფელდმარშალ ფონ ლეების** სარდლობით ლენინგრადამდე მიაღწიეს და მალე ვერმახტის სატანკო სოლებმა მთლიანად ალყაში მოაქციეს ქალაქი. **ლენინგრადის ბლოკადა 900 დღე-ღამე გაგრძელდა.** ჯერ კიდევ ომამდე ზუსტად ორგანიზებული და აწყობილი სისტემით, რომლის ავტორი თავად **ბელადი** გახლდათ, ნებისმიერ ქალაქს ერთი წლის განმავლობაში შეეძლო ალყის გაძლება. ამისათვის საგანგებო საწყობებში აუცილებელი რესურსი — ხელშეუხებელი მარაგი იყო დაცული. რა თქმა უნდა, ასეთი მარაგი **ლენინგრადსაც** ჰქონდა. მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ გენმდივნის მკაცრი განკარგულების თანახმად, ეს მარაგი სხვადასხვა ადგილებში უნდა ყოფილიყო განაწილებული... ბლოკადის პირობებში ქალაქის სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნვისას **სტალინმა** ასეთი ვარიანტიც გაითვალისწინა — ესა თუ ის საწყობი სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებით შეიძლებოდა არტილერიის ცეცხლს ან ავიაციას გაენადგურებინა. მაგრამ ქალაქის ხელისუფლების დაუდევრობით თუ პირდაპირი მავნებლობით — ამის გარკვევას ჩვენს მომდევნო ნარკვევებში შევეცდებით — ყველა მატერიალური და სასურსათო რესურსი, რომელიც **ლენინგრადის** მოსახლეობას **12 თვის** განმავლობაში, ნორმის შემცირების შემთხვევაში კი გაცილებით მეტ ხანსაც გააძლებინებდა, ერთ ადგილას — **ლენინგრადის** ცენტრში, **ბადაევის** საწყობებში იყო თავმოყრილი. და **ჰიტლერული ავიაციის თავდასხმებისას მთლიანად განადგურდა.**

ქალაქი შიმშილის ზღვარზე დადგა.

მაგრამ **იოსებ სტალინმა** აქაც იპოვა გამოსავალი. ზამთრის დადგომისთანავე მან ურჩია, ავიაციის დახმარებით მომარაგების გარდა კვების პროდუქტები ქალაქისთვის **ლადოგის გაყინული ტბით** მიეწოდებინათ. ასე შეიქმნა განთქმული **„სიცოცხლის გზა“**, მამაცობისა და გმირობის გზა, რომელზეც სურსათით დატვირთული ტრანსპორტი ფაშისტების ცეცხლის ქვეშ ხალხთან ერთად იძირებოდა ყინულქვეშ, მაგრამ რომელიც სიცოცხლეს უნარჩუნებდა ალყაშემორტყმულ, სიკვდილის ცეცხლოვან რკალში მომწყვდეულ ქალაქს.

რა თქმა უნდა, **სტალინს** ესმოდა, რომ ეს არ წყვეტდა მწვავე პრობლემას. მისთვის მთავარი ამოცანა **ბლოკადის** გარღვევა იყო. და აი, შიმშილით სიკვდილისაგან **ლენინგრადელთა** დასახსნელად უმაღლესი მთავარსარდალი თავის ერთ-ერთ საუკეთესო **გენერალს ანდრეი ვლასოვს** აგზავნის მე-2 დამკვრელი არმიის სათავეში.

●

ღარიბი გლეხის ოჯახის მეცამეტე შვილი, სწავლადაუმთავრებელი სემინარისტი, რომელიც, სხვათაშორის, ძალზე ამაყობდა ამით — **„მე ამხანაგი სტალინივით ვარ“, 1919 წელს** უბრალო წითელარმიელი **ანდრეი ვლასოვი** ბრწყინვალე სამხედრო კარიერას იკეთებდა. **20-იანი წლების დასაწყისიდან** ის უკვე მეთაურ თანამდებობებზეა. კომინტერნის სახელობის უმაღლესი არმიული კურსების დამთავრების შემდეგ **ვლასოვი** გარკვეულ ხანს **ლენინგრადის** სამხედრო სკოლაში ტაქტიკას ასწავლის. **1930 წელს** სკპ (ბ)-ში შედის. ხოლო **1933 წელს** სამეთაურო შემადგენლობის კურსებზე *(შემდგომში წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემია)* უმაღლეს სამხედრო განათლებას იღებს. **ეჟოვშჩინის წლებში ვლასოვი ლენინგრადის და კიევის სამხედრო ოლქების სამხედრო ტრიბუნალის წევრია.** როგორც მოგვიანებით ავტობიოგრაფიაში დაწერს — **„მუდამ მტკიცედ ვუჭერდი მხარს პარტიის გენერალურ ხაზს და მისთვის ვიბრძოდი.“** სინამდვილეში, როგორც ხვდებით, ეს მისგან დამნაშავეთა თუ უცოდველთათვის სანქცირებულ ათეულობით სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა, რაც ხელს არ უშლის **ვლასოვს,** ღალატის შემდეგ **„სტალინის ხროვის“** მიერ კანონების დარღვევაზე იყბედოს. **30-იანი წლების ბოლოს ვლასოვი ჩინეთში, გენერალისიმუს ჩან კაიშის გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველია,** ხოლო **1940 წლის იანვრიდან** რიგრიგობით — დივიზიის, მექანიზებული კორპუსის მეთაური, არმიის სარდალი.

ახალგაზრდა მზარდ გენერალს უდავოდ აქვს ორგანიზატორული ნიჭი. სამხედრო ქვედანაყოფები მისი მეთაურობით მოწინავეები ხდებიან, რისთვისაც **ვლასოვს** სამახსოვრო საჩუქრებით *(ოქროს საათი)*, წითელი დროშის ორდენებით და ლენინის ორდენით აჯილდოებენ.

**1941 წლის ნოემბერში ანდრეი ვლასოვი მე-20 არმიის სარდალია.** დეკემბრის კონტრშეტევისას მოსკოვთან სწორედ ამ არმიამ გააძევა მძლავრი დარტყმით გერმანელები **ვოლოკალამსკიდან** და **სოლნეჩნოგორსკიდან.** ამ ბრწყინვალე ოპერაციის წარმატება, ბუნებრივია, სარდალს მიეწერა. და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაირკვა — მისი არმიის იერიშის დროს გენერალი... ჰოსპიტალში იმყოფებოდა, **„პირის ღრუს ანთების“,** ანუ, გასაგებად რომ ვთქვათ, კბილების სამკურნალოდ. და საკუთარი დივიზიების დისლოკაციის ადგილზე მხოლოდ **ვოლოკალამსკისა** და **სოლნეჩნოგორსკის** განთავისუფლების შემდეგ ჩავიდა.

ბუნებრივია, ის არ მოუყვება ამას უმაღლეს მთავარსარდალს, რომელმაც ხელგაშლილმა მიიღო, არმიის წარმატება მიულოცა და წითელი დროშის ორდენი გადასცა **გენერალ-ლეიტენანტის** წოდებასთან ერთად.

და აი, **სტალინი** გადაწყვეტს, ნიჭიერი მთავარსარდალი, რომელმაც **მოსკოვთან** ბრძოლისას უბრწყინვალესი ოპერაცია განახორციელა, ქვეყნის **„მეორე დედაქალაქის“** — ლენინგრადის გადასარჩენად გააგზავნოს...

●

**გენერალი აპანასენკო** არასოდეს ყბედობდა თავის სიყვარულზე საბჭოთა ხელისუფლებისა და **სტალინის** მიმართ. შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის სარდალი საქმით ამტკიცებდა ერთგულებას, დივიზიებს ქმნიდა და ფრონტის დასახმარებლად აგზავნიდა. **არმიის სარდალი აპანასენკო** კურსკის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. **გენერალი კირპონოსიც** სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ, როდესაც მისი შენაერთი მოწინააღმდეგის უპირატესი ძალის ზეწოლის ქვეშ შედრკა, ავტომატით ხელში და შეძახილით **„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“** გავიდა ცეცხლის ხაზზე და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. **გენერალი კარბიშევი,** რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მაგრამ მეფის რუსეთის ყოფილმა **კადრის ოფიცერმა** ღალატს მოწამეობრივი სიკვდილი ამჯობინა. როდესაც თანამშრომლობაზე თანხმობას ვერ მიაღწიეს, ფაშისტებმა მოხუცს ყინვაში წყალი გადაასხეს და ყინულის სვეტად აქციეს.

მათგან განსხვავებით, **ვლასოვი სტალინისადმი** ერთგულებაზე ყველგან და ყველასთან ლაქლაქებდა. ცოლისა და საყვარლებისათვის მიწერილ უაღრესად პირადულ წერილებშიც კი.

**„ჩემო ძვირფასო! ყველაზე დიდმა და მთავარმა პატრონმა გამომიძახა. წარმოიდგინე, მთელი საათნახევარი მესაუბრა... არ დაიჯერებ, ასეთი დიდი ადამიანია და ჩვენი პატარ-პატარა ოჯახური საქმეები აინტერესებდა... ამის გაკეთება მხოლოდ მას შეუძლია, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მიგვიძღვება. მასთან ერთად ჩვენ დავამარცხებთ ფაშისტ გველგესლას...“**

**„... ვერც კი წარმოიდგენ, ძვირფასო** *(ეს უკვე მეორე ძვირფასია — რედ.)*, **რა ბედნიერი ვარ, რომ ყველაზე დიდმა ადამიანმა მიმიღო და თავისი მოწაფეებისა და თანამოსაგრეთა თანდასწრებით შემაქო. მისთვის დაუფიქრებლად გავწირავ სიცოცხლეს...“**

**„ჩემო საყვარელო!** *(მესამე!)* **განა არსებობს უფრო მეტი სიხარული და ბედნიერება, ვიდრე უდიდესი და ყველაზე საყვარელი ადამიანის ბაგეთაგან ქების მოსმენაა? და კიდევ უფრო დიდი ბედნიერება მისი მაღალი ნდობის გამართლება და, თუ საჭირო გახდება, მისთვის სიკვდილია...“**

და ასე შემდეგ...

●

რამდენიმე თვეში **გენერალი ვლასოვი** სხვანაირად ამღერდება.

წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისადმი მიმართვიდან:

**„... მილიონობით რუსმა ადამიანმა საკუთარი სიცოცხლით ზღო სტალინის დანაშაულებრივი მისწრაფება მსოფლიოზე ბატონობისაკენ... სტალინი და მისი ხროვა აგრძელებენ ტერორისა და ცრუ პროპაგანდის დახმარებით ხალხის დასაღუპად გარეკვას...“**

„ღია წერილიდან“:

**„... ბოლშევიზმი და, კერძოდ, სტალინი რუსი ხალხის მთავარი მტერია. და ყოველი პატიოსანი რუსი ადამიანის უპირველესი და წმიდათაწმიდა მოვალეობა სტალინისა და მისი ხროვის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსვლაა...“**

„რუსეთის ხალხთა გათავისუფლების კომიტეტის მანიფესტიდან:“

**„ძმებო და დებო ჩემს სამშობლოში! გააძლიერეთ ბრძოლა სტალინური ტირანიის წინააღმდეგ!“**

ეს ციტირებაც არასრულია.

●

**ლენინგრადის ბლოკადა** უმაღლესი მხედართმთავრის და მისი ერთგული სარდლების ძალისხმევით **1943 წლის იანვარში** გაირღვევა, მაგრამ მე-2 დამკვრელი არმია უნიჭო სარდლობის შედეგად მთლიანად დეგრადირდება, ხოლო მისი სარდალი სურვილით აინთება, ერთგულად ემსახუროს **„ფაშისტ გველგესლას“.** მოღალატე გენერლის დაცემა სწრაფად მოხდება. ომის დასასრულს, როდესაც წითელი არმია საზღვარს გადალახავს და სასიკვდილო საფრთხით დაემუქრება **„ათასწლოვანი რაიხის“** დედაქალაქს, **ვლასოვი** თავისი ახალი პატრონების მითითებით **„რუსეთის ხალხთა გათავისუფლების კომიტეტს“** და ე. წ. **„რუსეთის განმათავისუფლებელ არმიას“** ჩაუდგება სათავეში, რომელშიც **1945 წლის თებერვლისთვის** მხოლოდ ერთი დივიზიაა ჩამოყალიბებული მეორე, ნაკლები რანგის მოღალატის — **პოლკოვნიკ ბუნიაჩენკოს** მეთაურობით.

შემდეგ კი მოვლენები ასე ვითარდება:

**1945 წლის აპრილი.** „რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის“ I დივიზია ოდერზე წითელი არმიის ნაწილების შეკავებას ცდილობს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ვლასოველები უკან იხევენ.

**მაისის დასაწყისი.** ხედავენ რა გერმანიის გარდაუვალ მარცხს, **ვლასოველები** პრაღისკენ მიემართებიან. **5 მაისს საღამოს ბუნიაჩენკო პრაღას გერმანელებისაგან ათავისუფლებს, იმედი აქვს, რომ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს ინგლისელ-ამერიკელებს ჩააბარებს და ტყავს გადაირჩენს.** მაგრამ **7 მაისს** პრაღის მიმართულებით წითელი არმიის ნაწილების მძლავრი მარშის შემდეგ **ვლასოველები** ქალაქს ტოვებენ და დასავლეთისაკენ იხევენ.

**9 მაისი.** ამერიკელი ტანკისტები დივიზიას ალყაში აქცევენ და განაიარაღებენ.

**11 მაისი.** დივიზიის განლაგების ადგილზე ვლასოვი ჩადის და ამერიკელებთან მოლაპარაკებას ცდილობს.

**15 მაისი.** მოლაპარაკება ჩიხში შედის. ვლასოვი თავისი შტაბით ბანაკს ტოვებს. გზაში მას საბჭოთა არმიის კონტრდაზვერვის ჯგუფი შეიპყრობს. იმავე დღეს ვლასოვს თვითმფრინავით აგზავნიან მოსკოვში.

ვლასოვისა და მის თანამზრახველთა საქმის ძიება წელიწადზე მეტი გრძელდება.

**1946 წლის 30 ივლისი.** იწყება სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომა.

**31 ივლისი.** ცხადდება განაჩენი — სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

**26 აგვისტო. დილის 6 საათი.** ლეფორტოვოს ციხის ეზოში სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს **გენერალ-ლეიტენანტი ვლასოვი, ბრიგადის კომისარი ჟილენკოვი, გენერალ-მაიორი მალიშკინი, გენერალ-მაიორი ტრუხინი, გენერალ-მაიორი ბლაგოვეშჩენსკი, გენერალ-მაიორი ზალუტნი, პოლკოვნიკი მალცევი, პოლკოვნიკი ბუნიაჩენკო, პოლკოვნიკი ზვერევი, პოდპოლკოვნიკი მეანდროვი, პოდპოლკოვნიკი კორბუკოვი, პოდპოლკოვნიკი შატოვი.**

ბუნებრივია, ყველა — ყოფილი, სასამართლოს მიერ წოდება და ჯილდოებჩამორთმეული და საიქიოს გზაზე კაენის დამღით დამდგარი.

# ზურგში ★

# არშემდგარი მემკვიდრეები

***ვლადიმერ ლენინი, როგორც ცნობილია, შემცვლელს არ იმზადებდა. მეტიც, ულმობელი იარლიყებით უახლოესი თანამოსაგრეების დაჯილდოებით*** *(ტროცკი — „არაბოლშევიკი“, ზინოვიევი და კამენევი — „რევოლუციის შტრაიკბრეხერები“, სტალინი — „მეტისმეტად უხეში“)* ***ის უკლებლივ ყველა პრეტენდენტს თითქოს ტახტისაკენ გზას ულობავდა. ნუთუ ტოლსტოის გენიალური მოთხრობის „ივან ილიჩის სიკვდილის“ პერსონაჟის მსგავსად, ვლადიმერ ილიჩსაც გულუბრყვილოდ ეგონა, რომ უკვდავია? თავისი მასწავლებლისაგან განსხვავებით, იოსებ სტალინი, რა თქმა უნდა, მსგავსი ილუზიებით თავს არ იმშვიდებდა.*** *მას კარგად ესმოდა, რომ ჩამოჰკრავს ჟამი, როდესაც საიმედო, ერთგულ ხელებს უნდა გადასცეს პარტიის, უზარმაზარი სახელმწიფოს, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მართვის სადავეები და მზრუნველ მებაღესავით ზრდიდა თავის ცვლას.* ***ვაგლახ, ისინი, ვისაც ის მემკვიდრეებად თვლიდა, გარემოებათა წყალობით ნაადრევად ეთხოვებოდნენ წუთისოფელს. კიროვი, რომელსაც ის „მეგობარს“ და „საყვარელ ძმას“ უწოდებდა, სმოლნის დერეფანში დაქირავებული მკვლელის ტყვიამ მოცელა. ბელადის მეორე პირად მეგობარს — ჟდანოვს, რომელიც დაუნათესავდა კიდეც*** *(მათი შვილები დაქორწინდნენ)* ***მოულოდნელად გული გაუსკდა.***

**ჟდანოვის** გარდაცვალების შემდეგ **ბელადმა** მზერა ორ ახალგაზრდა მზარდ მუშაკზე — **ნიკოლაი ვოზნესენსკიზე** და **ალექსეი კუზნეცოვზე** შეაჩერა. რა დაეწუნებათ? ენერგიულები, ჭკვიანები, ინიციატივიანები არიან, თანაც, როგორც კიროვი და ჟდანოვი — **„ლენინგრადელები“.** იქ, ნევისპირა ქალაქში, ომისწინა და ომის წლებში **ჟდანოვის საიმედო სკოლა გაიარეს და თავი საუცხოოდ გამოიჩინეს.**

ორივე უკვე მოსკოვში მუშაობს, ხელმძღვანელ პოსტებზე. **ვოზნესენსკი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, კუზნეცოვი — სკპ (ბ) ცკ-ის მდივანი კადრების დარგში.** ეს საშურველი პოსტები ორივემ **ანდრეი ჟდანოვის** სიცოცხლეში, მისი რეკომენდაციით დაიკავა. მეგობრის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ თანამოსაგრეთა თანდასწრებით სტალინი, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ერთხელ ასეთ ფრაზას წარმოთქვამს: **„ახლა სიკვდილისაც არ მეშინია, ვიცი, ვის გადავცე საქმე. ერთი მთავრობის მეთაური იქნება, მეორე — პარტიის ხელმძღვანელი.“**

და, თუმცა, გვარები ნახსენები არ ყოფილა, იქ დამსწრენი მიხვდნენ, რომ **„ერთი“ ვოზნესენსკია, „მეორე“ — კუზნეცოვი.** ტყუილად კი არ შემოიღო ბელადმა კარგა ხნის წინ ასეთი წესი: მის არყოფნაში მინისტრთა საბჭოს სხდომა **ვოზნესენსკის** მიჰყავს, ხოლო ცკ-ის სამდივნოს მისი თანდასწრებითაც კი **კუზნეცოვი** უძღვება.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, ვინ ესწრებოდა ამ ფაქტს და ვინ მოისმინა **ბელადის** სენტენცია მისი საკადრო გეგმების შესახებ? დავასახელებთ ამ ადამიანებს — **მალენკოვი, ხრუშჩოვი, ბერია.**

●

ითვლება, რომ ე. წ. **„ლენინგრადის საქმე“,** რომელმაც მთავარ სახელმწიფო და პარტიულ პოსტებზე **სტალინის** შესაძლო შემცვლელები შეიწირა, პოლიტბიუროს სამმა დასახელებულმა წევრმა შეთითხნა. და, თუმცა, **„სამეულის“** მამხილებელი რაიმე დოკუმენტი არ შემონახულა, მარტივი ლოგიკაც საკმარისია, რომელიც უძველეს რომაულ პოსტულატს ეყრდნობა — **„ვის აძლევს ეს ხელს?“**

**ვოზნესენსკისა** და **კუზნეცოვის** ჩამოცილება მართლაც აძლევდა ხელს **ბერიას,** თუმცა, ბევრად უფრო მეტად — **ხრუშჩოვსა** და **მალენკოვს.**

საქმის გაყალბებასთან დაკავშირებით კი რაღაცები ბუნდოვანია. ყველა ცოდვის კრემლის მეორე ქართველისთვის დაკისრების ტრადიცია პოლიტოლოგთა და ისტორიკოსთა უმრავლესობას საფუძველს აძლევს, დაასკვნან, რომ გადამწყვეტი როლი **„ლენინგრადის საქმის“ „ფალსიფიკაციაში“ ლავრენტი ბერიამ** შეასრულა.

აი, მაგალითად, რას აცხადებს თავის მოგონებებში **ხრუშჩოვზე** განაწყენებული **შეპილოვი — სკკპ ცკ-ის ყოფილი მდივანი, სსრკ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი. ხრუშჩოვმა** ის ყველა თანამდებობიდან მოხსნა, პარტიიდან გარიცხა, ბოლომას კი — ტრადიციისამებრ — **ბერიაზე** ანთხევს.

**მოვუსმინოთ შეპილოვს:**

**„ამ დროს კი** *(40-ანი წლების დასასრული — რედ.)* **ბერია და აბაკუმოვი გამალებით იგონებდნენ მასალებს, რომლებმაც შემდეგ ეგრეთ წოდებული „ლენინგრადის საქმე“ შეადგინა.“**

მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ორი გვარის — **ბერიას** და **აბაკუმოვის** (იმ წლებში სახელმწიფო უშიშროების მინისტრი) შეერთება სრულიად არამართლზომიერია. **ბერია** და **აბაკუმოვი** მოსისხლე მტრები იყვნენ და მათ შორის გამუდმებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. ასე რომ, ერთად რაიმეს **„გამალებით გამოგონებას“** ნაკლებად შეძლებდნენ.

მეორეც, **1945 წლიდან ბერიას** სადამსჯელო ორგანოებთან საერთო არაფერი აქვს, ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წმინდა **„სამრეწველო“** მოადგილეა, ძირითადად, ატომურ პროექტს და კოსმოსურ პროგრამას კურატორობს. სწორედ მას (და, ბუნებრივია, სტალინს) უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირი ბირთვულ ფარს და კოსმოსის დაპყრობას.

საკითხავია, როგორ შეძლებდა ის საქმის გაყალბებას, როცა ორგანოებს ჩამოცილებული იყო და კურატორობას აღარ უწევდა?

შეთხზა თუ არა საქმე **აბაკუმოვმა?** აქაც დიდი კითხვის ნიშანია. რამდენიმე წელიწადში უშიშროების მინისტრი დააპატიმრეს და ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს, რომ **„ლენინგრადის საქმე“** მისმა ქვემდებარე უშიშროების სამინისტრომ კი არა, პარტიულმა ორგანოებმა გახსნეს. და მხოლოდ მათი პირდაპირი ზეწოლით მიიყვანეს სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ საქმის გამოძიება ბოლომდე.

ისღა დაგვრჩა, გავარკვიოთ, მაშ, ვინ **„იგონებდა გამალებით მასალებს“?** და **„გამოიგონეს“** კი ისინი, თუ **„გამოსაგონი“** არაფერი იყო? ვინ აიძულა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, **„ლენინგრადის საქმისთვის“** მოეკიდა ხელი?

ბოლო შეკითხვაზე პასუხი მარტივია — უშიშროების სამინისტროს მთავრობის ხაზით **მალენკოვი** უწევდა კურატორობას, ცკ-ის ხაზით კი — **ხრუშჩოვი.**

რაღა თქმა უნდა, **ვოზნესენსკის** და **კუზნეცოვის** დაღუპვა **მალენკოვისა** და **ხრუშჩოვისათვის** ნამდვილი საჩუქარი იყო, რამეთუ პირველს თავი **სტალინის** მემკვიდრედ წარმოედგინა მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე, მეორეს კი — პარტიული ბელადის თანამდებობაზე. და გამორიცხული არ არის, ამ საქმეში ორივეს ბინძური ხელი ერია.

საკითხავი მხოლოდ ის არის, არსებობდა კი საქმე?

●

აი, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. **1948 წლის დეკემბერში** სკპ (ბ) ცკ-ში ხელმოუწერელი წერილი შევიდა, რომლის ავტორი თავს ხმის დამთვლელი კომისიის წევრს უწოდებდა და წერდა, რომ ლენინგრადის პარტიულ კონფერენციაზე ხელმძღვანელის მითითებით უხეშად დამახინჯდა პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების არჩევნების შედეგები. წერილში ხაზგასმული იყო, რომ ლენინგრადის ხელმძღვანელობა ასე ვერ მოიქცეოდა, მოსკოვში მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა. წერილის ავტორი ასახელებდა მათ, ვინც ლენინგრადელ ფალსიფიკატორებს უჭერდა მხარს — **კუზნეცოვს** და **ვოზნესენსკის.**

**სტალინის** განკარგულებით წერილი შეამოწმეს. ფაქტები დადასტურდა.

**1949 წლის 21 თებერვალს ლენინგრადში პარტიის ქალაქკომის და საოლქო კომიტეტის ერთობლივი სხდომა გაიმართა.** ის სკპ (ბ) ცკ-ის მდივანმა **მალენკოვმა** ჩაატარა. შედეგად საოლქო და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მთლიანად შეიცვალა.

ერთი თვით ადრე, **იანვარში,** ლენინგრადში საკავშირო საბითუმო ბაზრობა მოეწყო. სკპ (ბ) ცკ-მ და სსრკ ვაჭრობის სამინისტრომ ამ ღონისძიების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, როცა ბაზრობა დაიხურა. ბუნებრივია, ერთობლივ სხდომაზე ლენინგრადელ ხელმძღვანელებს საკავშირო ხელისუფლებასთან შეუთანხმებელი ღონისძიებაც დააყვედრეს, რაზეც მათ, თავის გამართლების მიზნით, განაცხადეს, რომ ეს საკითხი **„ზეპირად“** შეუთანხმეს **ვოზნესენსკის** და **კუზნეცოვს.**

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მოსკოვიდან ორი მფარველის მიერ წაქეზებული ლენინგრადელი ხელმძღვანელები ამუშავებდნენ რუსეთის კომპარტიის შექმნის და ლენინგრადისთვის რსფსრ-ის დედაქალაქის სტატუსის მინიჭების გეგმებს. თითქოსდა, რა იყო ამაში კრიმინალური? ყოველ რესპუბლიკას ჰქონდა თავისი კომპარტია და დედაქალაქი. და მხოლოდ თანასწორთა შორის პირველი, **„უფროსი და“** — რუსეთი იყო ამ პატივს მოკლებული. **ვოზნესენსკისა** და **კუზნეცოვის** წაქეზებით და პირდაპირი წარმართვით ლენინგრადელი ლიდერები ამ უსამართლობის აღმოფხვრის წინადადებით გამოვიდნენ. მათი იდეით, მოსკოვი სსრკ-ის დედაქალაქად რჩებოდა, ხოლო რსფსრ-ის დედაქალაქს ლენინგრადში გადაიტანდნენ, სადაც პარტიის საოლქო კომიტეტის ნაცვლად რუსეთის კომპარტიის ცკ დაიწყებდა ფუნქციონირებას.

მაგრამ **სტალინის** მოტყუება არც ისე ადვილი იყო. რუსეთის კომპარტია, ფაქტობრივად, შთანთქავდა სკპ (ბ)-ს, ხოლო მეორე დედაქალაქი ლენინგრადი მოსკოვს დაუპირისპირდებოდა. რას გამოიწვევდა ეს ყველაფერი, ადვილი წარმოსადგენია. საკმარისია, გავიხსენოთ, როგორ გაუჭირდა **სტალინს ლენინგრადში ზინოვიევის სეპარატიზმის ამოძირკვა.**

**1949 წლის თებერვალში** სკპ (ბ) ცკ იღებს დადგენილებას, რომელშიც მკაცრად გმობს ლენინგრადელი ლიდერების **„პროჟექტიორობას“.** დადგენილებაში ნათქვამია: **„სკპ (ბ) ცკ შეახსენებს, რომ ზინოვიევი, როდესაც ლენინგრადის ორგანიზაციის თავისი ანტილენინური ფრაქციის საყრდენად გადაქცევას ცდილობდა, ლენინის ქალაქის კომუნისტებთან ლაქუცის, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლანძღვის (თითქოს ის ლენინგრადზე არ ზრუნავდა), სკპ (ბ)-დან ლენინგრადის ორგანიზაციის მოწყვეტის, ცეკასთან პარტიის ლენინგრადის ორგანიზაციის, თავად ქალაქ ლენინგრადის კი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვთან დაპირისპირების ასეთსავე ანტიპარტიულ მეთოდებს მიმართავდა.“**

ამ დადგენილების მიღებიდან მალევე ჯერ **კუზნეცოვი,** მერე კი **ვოზნესენსკი** თავიანთ ხელმძღვანელ პოსტებს კარგავენ.

**1949 წლის ივლისში** დააპატიმრეს ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი **ი. კაპუსტინი.** მას ბრალად წაუყენეს, რომ **1935-1936 წლებში ლონდონში** სტაჟირების დროს (მაშინ კაპუსტინი კიროვის ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა), ის ბრიტანულმა დაზვერვამ გადაიბირა. შეესაბამებოდა თუ არა ეს სინამდვილეს, ახლა ამის დადგენა შეუძლებელია. ასე იყო თუ ისე, კაპუსტინმა დანაშაული აღიარა და წინასწარი გამოძიების დროს დაწვრილებით მოუთხრო **ვოზნესენსკის** და **კუზნეცოვის** სეპარატისტულ გეგმებზე. მისი თქმით, ისინი უკვე **„იზომებდნენ, ერთი — მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობას, მეორე კი — პარტიის გენმდივნის პოსტს.“** გარდა ამისა, **კაპუსტინმა** განაცხადა, რომ მისი ვარაუდით, **ჟდანოვის** სიკვდილი **„მათი ნამოქმედარია“.** მოგვიანებით გაირკვევა, რომ აშკარა მონაწილეობა თუ არა, არაპირდაპირი დანაშაული, ყოველ შემთხვევაში, **კუზნეცოვის** — აშკარაა. **ექიმმა კარდიოლოგმა ტიმაშუკმა,** რომლის მიერ დასმულ ინფარქტის დიაგნოზს კრემლის ექიმები არ აღიარებდნენ, ამის შესახებ **კუზნეცოვს** მისწერა, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ის ზომებს მიიღებდა. მაგრამ **ჟდანოვის** აღზრდილს თითიც არ გაუნძრევია. **ტიმაშუკის** წერილი რეაგირების გარეშე დარჩა. **კუზნეცოვის** დაღუპვის შემდეგ ეს წერილი მის არქივში აღმოაჩინეს მოკლე მინაწერით — „საქმეში“.

კითხვა — იყო თუ არა **კუზნეცოვი** დაინტერესებული ჟდანოვის სიკვდილში?

საფიქრელია, რომ იყო. მისი აღმზრდელისა და რეკომენდატორის წასვლით პარტიული ფავორიტი სწორედ ის, **კუზნეცოვი** ხდებოდა.

ცხადია, რომ **ვოზნესენსკისა** და **კუზნეცოვის** ასეთი ღალატი **იოსებ სტალინისთვის** დიდი დარტყმა აღმოჩნდა. ეს იმ ადამიანებისაგან ზურგში დანის ჩაცემა იყო, რომლებსაც ის ენდობოდა და ხელისუფლების სადავეების გადაცემას უპირებდა. და მიუხედავად ამისა, **ბელადს მათი დაპატიმრების განკარგულება არ გაუცია და ამ საქმის ყოველმხრივ გამოძიება ბრძანა. კუზნეცოვი** ჯერჯერობით მოსკოვთან სამხედრო გადამზადების კურსებზე მიავლინეს, **ვოზნესენსკის** კი **სტალინი** შორეულ აღმოსავლეთში სამეურნეო სამუშაოზე გაგზავნას უპირებდა.

გავრცელებულია აზრი, რომ ორივე მათგანი მონაწილეობდა ლენინგრადში გამართულ სასამართლო პროცესში, რომელზეც **1950 წლის სექტემბერში** კაპუსტინი და სხვა **„ლენინგრადელები“** გაასამართლეს და, სასამართლო განაჩენის თანახმად, დახვრიტეს.

მაგრამ ამ პროცესთან დაკავშირებით არცერთი მასალა არასოდეს თვალითაც არავის უნახავს. და იყო თუ არა მართლაც პროცესი — უცნობია. სავარაუდოა, რომ **კაპუსტინს** და სხვებს სიკვდილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგანგებო სათათბირომ მიუსაჯა.

**ვოზნესენსკისთან** და **კუზნეცოვთან** დაკავშირებით არსებობს, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტებასთან დაახლოებული ვერსია. **კუზნეცოვი** თითქოს სამხედრო შეკრებაზე დაიღუპა იარაღის წმენდის დროს (როგორც ჩანს, მას რევოლვერის გაწმენდაში „დაეხმარნენ“), ხოლო **ვოზნესენსკი** გზაში ფილტვების ორმხრივი ანთებით გახდა ავად და დანიშნულების ადგილამდე ვეღარ ჩააღწია. მაგრამ აქაც ორი **„სანიტრის“ — მალენკოვის** და **ხრუშჩოვის** ლანდები მოჩანს.

ასე თუ ისე, კონკურენტებმა კრემლის სცენა დატოვეს და **იოსებ სტალინი** თავის ერთგულ მოწაფეთა და თანამოსაგრეთა **„სამეულის“** პირისპირ მარტო დარჩა.

ახლოვდებოდა დიადი დრამის უკანასკნელი აქტი...

***გაგრძელება იქნება***



# მამუკა ფიფია:

# თუ საქართველო რუსეთთან დიალოგს არ დაიწყებს,

## ბელორუსმა შეიძლება, სოხუმის და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიაროს და მის ნაბიჯს კიდევ ოთხმა ქვეყანამ მიჰბაძოს!

## არის ასეთი აზრი! ★



*„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, თანახმა ვართ, ხელისუფლებას თხოვნით მივმართოთ, დაიწყოს დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან ყველა იმ პრობლემის გარშემო, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის დაგროვდა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით!“ —* ***ნათქვამია „თავისუფალი ტრიბუნის“ კომუნიკეში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ფიფია დღეს ჩვენი სტუმარია:***

— ყველაფერი 6 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დაიწყო, სადაც „თავისუფალი ტრიბუნის“ შექმნის იდეა დაიბადა. მოძრაობის მიზანია, საქართველოს მოსახლეობა დააფიქროს ქვეყნის განვითარების ახალ პერსპექტივებზე, რაც რუსეთთან დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენით დაიწყება; დატესტოს ამ საკითხთან მიმართებაში მოსახლეობის მზაობა. წამოწყების სათავეში აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, სხვადასხვა დარგის ექსპერტები, საზოგადოებისთვის ცნობილი პირები და პოლიტპატიმრებიც. მოგეხსენებათ, ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა მცდარი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, თითქოს საქართველოს მოსახლეობა ცალსახად ქვეყნის დასავლური განვითარების მომხრეა. სამწუხაროდ, ეს მცდარი აზრი ქვეყნის კონსტიტუციაშიც კი აისახა. **„თავისუფალი ტრიბუნა“ მიზნად ისახავს, ხელისუფლებას მიაწვდინოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ხმა, ვისაც ქვეყნის საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გააჩნია და ვინც ხელოვნურად ორგანიზებულ რუსოფობიურ განწყობას ემიჯნება.**

შევუდექით ხელმოწერების კამპანიას ხელისუფლების მიმართ მოწოდებით — ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყოს რუსეთის ფედერაციასთან ოფიციალური დიალოგი. ამ ეტაპისთვის უკვე მოვასწარით 100 ათასზე მეტი თანხმობის შეგროვება. ადამიანები მასობრივად მოდიან ხელის მოსაწერად; სხვები კი, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვერსიას უერთდებიან. პირდაპირ გეუბნებით — 6 მაისიდან საქართველოში სახალხო მოძრაობა დაიწყო.

**— აქვს თუ არა რუსეთის ხელისუფლებას ქართველ კოლეგებთან დიალოგის სურვილი?**

— უნდა ითქვას, რუსეთი ყურადღებით გვადევნებს თვალს და ქართველებს არაერთხელ მიგვანიშნა, რომ დიალოგისთვის მზად არის იმ დონეზე, რა დონეზეც საქართველო ისურვებს. როგორც კი ქართველი საზოგადოება რუსეთს დიალოგის მზაობაში დააჯერებს, რუსეთი აუცილებლად გადმოდგამს შემხვედრ ნაბიჯებს. მეტსაც გეტყვით — გარკვეული საკითხები, რაც საქართველოს განვითარებას წაადგება, რუსეთის ხელისუფლებასთან უკვე შეთანხმებულია. აქვე გაგიმხელთ, რომ შერჩეულია მაღალი რანგის სპიკერები რუსეთის ვერტიკალში, რომლებიც მიესალმებიან საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ყველა საჭირბოროტო, მათ შორის, სოხუმის და ცხინვალის საკითხების განხილვას.

**საქართველოს მოსახლეობას 33 წლის განმავლობაში სჯეროდა, რომ დასავლეთი მეგობარია და საქართველოს გაერთიანებასა და ლტოლვილების სახლებში დაბრუნებას აპირებს. მაგრამ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ განგრენა, რაც საქართველოს სოხუმისა და ცხინვალის ქრილობათა შედეგად ჭირს, უმთავრესად სწორედ ჩვენი დასავლელი პარტნიორების გამოწვეულია.**

ისინი დღემდე გულმოდგინედ ცდილობენ, ქართველებმა და რუსებმა ერთმანეთთან საერთო ენა არ იპოვონ, არ შერიგდნენ და სხვადასხვა სახის კომუნიკაცია არ დაამყარონ. **მათ ინტერესშია, რუსეთს ნებისმიერი საშუალებით ჩაუხშონ სამხრეთიდან სუნთქვის მოსათქმელი გზა და ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით კარიბჭე სამუდამოდ ჩარაზონ.** სოხუმის და ცხინვალის კრიზისი სწორედ იმ მიზნით არის გამოწვეული, რომ რუსეთის საქართველოსთან მოკავშირეობა არ დაუშვან. ისინი რუსეთში ანტიქართულ, ხოლო საქართველოში ანტირუსულ განწყობებს აღვივებდნენ.

**რუსეთმა დასძლია ეს სენი და ანტიქართული განწყობა აღმოფხვრა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.** საქართველოში დასავლეთი უზარმაზარ ფულს ხარჯავს სურათის შესაქმნელად, თითქოს მოსახლეობას რუსეთთან ურთიერთობა დაუშვებლად მიაჩნია. სინამდვილეში ეს მოსახლეობის კი არა, საზოგადოების ერთი ძალზე მცირე ნაწილის განწყობაა, რომელიც დასავლეთიდან დაფინანსების ხარჯზე არსებობს და კორუმპირებული მედიის საშუალებით თავს უმრავლესობად აცხადებს.

**— არის თუ არა საფრთხე, რომ რუსეთთან და სხვა რეგიონალურ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების შემთხვევაში საქართველო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მოგების ნაცვლად პოზიციების უფრო მეტად დათმობა მოუწიოს?**

— დღევანდელზე უარეს მდგომარეობაში საქართველო იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ რუსეთთან დიალოგზე უარს იტყვის! იგი სამუდამოდ დაკარგავს გამთლიანების შანსს. **არის გარკვეული სიგნალები ბელორუსის მხრიდან, რომ შეიძლება, სოხუმის და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიაროს და მის ნაბიჯს კიდევ ოთხმა ქვეყანამ მიჰბაძოს!** ეს საქართველოს ხელისუფლების გარდაუვალ ჩამოშლას გამოიწვევს, ლიბერალების გარდა ხელისუფლებას ეროვნული და კონსერვატიული ფლანგიც გადაუდგება.

მაქვს სისტემატური შეხვედრები რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს მდივანთან **სერგეი იურიევიჩ გლაზევთან,** რომელიც უშუალოდ ემორჩილება რუსეთის და ბელორუსის პრეზიდენტებს, შესაბამისად, საკმარისი ინფორმაციები გამაჩნია საქართველოსთვის მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით!

**თუ ბელორუსის მხრიდან სოხუმის და ცხინვალის აღიარება მოხდება, მერე სხვა ქვეყნებიც დომინოს პრინციპით მიჰყვებიან და საქართველოს გამთლიანებაზე ოცნებაც კი ზედმეტი გახდება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებ, ბელორუსიდან წამოსული ნებისმიერი სიგნალი გულმოდგინედ გააანალიზოს, რადგან ისინი რუსეთთან არის შეთანხმებული!**

**— ამასობაში ომის ქარცეცხლმა რუსეთის სიღრმეში გადმოინაცვლა, რუსეთის ქალაქებს უკრაინული დრონები ბომბავენ.**

— ჯერ კიდევ კურსკის ოპერაციის პირველი დღიდან ვამბობ, რომ რუსეთს ასეთი ტაქტიკა აქვს შერჩეული. **უკვე ნათლად გამოჩნდა, რუსებმა კურსკში შეიტყუეს უკრაინის მნიშვნელოვანი ცოცხალი ძალა და ტექნიკა და იქ პირწმინდად გაანადგურეს, ამჟამად კი რუსეთი თავად მიიწევს უკრაინის სიღრმეში.** ამჯერადაც ხდება ის, რაც რუსეთს აწყობს, იმ მიზნით, რომ მტერს საპასუხოდ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენოს და მსოფლიოს ხალხების წინაშე მორალურად მართალი გამოვიდეს. ამასთან, **პუტინმა** არაერთხელ გააფრთხილა დასავლეთი, რომ, თუ დასავლური იარაღი რუსეთის ქალაქებს და მოსახლეობას დააზიანებს, შესაბამისად, რუსული რაკეტების სამიზნედ დასავლეთი გადაიქცევა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთიდან ორგანიზებული ომი თანდათან გადადის მართლმადიდებელ სამყაროსთან ანტიქრისტეს დაპირისპირების ფორმატში, სადაც ამ უკანასკნელს გამარჯვება არ უწერია. **პირდაპირ გეუბნებით: რუსეთი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად არის, ამ ომში ძლევამოსილად გასამარჯვებლად. საქართველომ კი დროულად უნდა განსაზღვროს, ანტიქრისტესთან გადამწყვეტ ომში რომელ მხარეს დადგება!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***




ვლადიმერ პუტინი და ალექსანდრე ლუკაშენკო

## „საქართველომ დროულად უნდა განსაზღვროს, ანტიქრისტესთან გადამწყვეტ ომში რომელ მხარეს დადგება!“

გენერალისიმუსი
2025 წლის 16 ივნისი. №24 (320)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***გასულ კვირას ქუჩაში გამოსულმა ე.წ. ოპოზიციამ კვლავ დასცა კარავი და პოლიციელებზე განხორციელებული ძალადობისთვის დაპატიმრებული ახალგაზრდების განთავისუფლება მოითხოვა. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი „ქართული დასის“ ლიდერთან, ყოფილ პარლამენტართან ჯონდი ბაღათურიასთან:***

# ჯონდი ბაღათურია:

# ხელისუფლებამ არ უნდა ისარგებლოს ჩვენი სიჩუმით. ხალხსაც უნდა ცხოვრება!



— ეს არის ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი. ხელისუფლება კი არ ძალადობს, პირიქით, ხელისუფლებაზე ძალადობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც „მოლოტოვის კოქტეილებს“ და ფოლადის ბურთულებს ესვრის პოლიციელებს, სპეცდანიშნულების რაზმელებს, პარლამენტის შენობას... ამტკიცებენ — სწორად მოვიქეცით, პოლიციელებზე მოძალადე ადამიანები უდანაშაულოები არიანო... არადა, როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოს არსებობა ასეთი ლეგიტიმაციის შემთხვევაში?!

ზუსტად იგივე ხდება დღეს ამერიკაში, ცეცხლის ალის ფონზე იდგა „სიენენის“ ჟურნალისტი და ამბობდა — მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბიესო, მაგრამ ნახეთ, რას შვრება ტრამპი? წესრიგის დასამყარებლად ეროვნული გვარდიაც კი გაიყვანა და საზღვაო ქვეითებიც, რომელიც ყველაზე ბრძოლისუნარიან არმიას წარმოადგენს შეერთებულ შტატებში.

ბარიკადის ორი მხარეა — გლობალური ომის პარტია, ე.წ. დიფ სთეითი, რომელიც ყველგან თავისი წესების დამყარებას ცდილობს და ტრადიციონალისტები, რომლებიც ადამიანური სახის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. **მართალია, გლობალური ომის პარტია შტატებში დამარცხდა, მაგრამ ევროკავშირში ისევ ძველებურად განაგრძობენ საქმიანობას.**

**— კიდევ არის თუ არა საქართველოში ხელისუფლების გადატრიალების საფრთხე?**

— ჯერ ისევ არის! მართალია, მხარდაჭერა არ გააჩნიათ, მაგრამ აქვთ ფული და, სხვათაშორის, საკმაოდ ეფექტურად დაიწყეს ხელისუფლების დისკრედიტაციაზე მუშაობა.

როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დაამხეს აქამდე ხელისუფლება? იმიტომ, რომ ხელისუფლების შიგნით მოხდა მთელი ქართველი საზოგადოების კონსოლიდაცია. მათი მოწინააღდეგეებიც კი გაერთიანდნენ იმისთვის, რომ ნაციონალები არ დაბრუნებულიყვნენ. როცა ე.წ. ოპოზიციონერმა ლიდერებმა გააცნობიერეს, რომ 200-კაციანი ბრბო ხალხის მობილიზაციას ვერ ახდენდა, მიიღეს აბსოლუტურად საშიში გადაწყვეტილება — მოახდინონ ხელისუფლების დისკრედიტაცია, რომელიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს, მათ შორის, ეროვნულ და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებში. **ერთ-ერთი ასეთი მტკივნეული საკითხია მიგრანტების თემა.**

## „თუ ხელისუფლებამ დროულად არ მიიღო ზომები, მალე მისი დისკრედიტაცია მოხდება!“



## „კომისია კარგად მუშაობს, მაგრამ ახლა პროკურატურამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა!“

**— და მაინც, რა შეცდომას უშვებს ამ კუთხით ხელისუფლება?**

— მიმაჩნია, რომ მიგრანტების საკითხის მიმართ ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება ღალატის ტოლფასია. არ ვარ მომხრე, ზედმეტად გავაბუქო სიტუაცია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი სისწრაფით იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთიდან, აზიიდან და აფრიკიდან. ისინი გარეგნულად ჩვენგან ძალიან განსხვავდებიან და სტატისტიკას რომ თავი დავანებოთ, თვალითაც ადვილი შესამჩნევია მათი მატება ქვეყანაში.

ჯერ კიდევ 2019 წელს, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხელი მოაწერა **„მიგრანტთა პაქტს“,** ძალიან დიდი ხმაური ავტეხე. სამინისტროსთან აქციებიც გავმართე. სერიოზული დაპირისპირება მომიხდა მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან **ზალკალიანთან** და კომიტეტის ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად ამისა, გაუგებარი დარჩა, რას და რატომ მოაწერეს ხელი. მალე პანდემია დაიწყო და მიგრანტები ქვეყნიდან გაიფხიკნენ, თუმცა, დღეს თავადაც ხედავთ შედეგს. მეხუთე და მეექვსე მუხლებში პირდაპირ უწერიათ, ღირსეულ სამუშაო ადგილებს გამოვუძებნით მიგრანტებსო. **ამას რა ჭკვია, მითხარით?! ეს თუ შეგიძლიათ, დალოცვილებო, მილიონ-ნახევარი ქართველი რომ არის ქვეყნიდან სამუშაოდ გადახვეწილი, იმათ მიხედეთ — დაეხმარეთ და დაიბრუნეთ!** ამ პოლიტიკით ხომ დემოგრაფიული ბალანსი იცვლება ქვეყანაში?! ირანსა და ისრაელს შორის დაწყებული ომის პირობებში ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

გარდა ამისა, **მიგრანტების შემოსვლაზე კეთდება ფული და ეს განსაკუთრებით აწყობს დეველოპერებსა და განათლების სისტემის მესვეურებს. ისინი არიან დაინტერესებულნი, რაც შეიძლება მეტი აზიელი, აფრიკელი შემოვიდეს ქვეყანაში, რომ მეტი ბინა გაყიდონ.**

სადაც კი მიწა დაინახეს, ყველგან ბეტონის კორპუსი ჩადგეს. ქართველი რომ ვერ იყიდის ამდენ ბინას, ეს ხომ ფაქტია. ბალის და მარწყვის ყიდვა არ შეუძლია ხალხს, ისე უჭირს. ამ ყველაფერს კანონი არ უნდა არეგულირებდეს?!

ამდენი სტუდენტი რომ მომრავლდა, რა განათლებას იღებენ ასეთს? და, საერთოდ, ვისია დღეს განათლების სისტემა ან კერძო სექტორში ვინ ოპერირებს? ისევ **ალასანია-ბენდუქიძეები!** ნახეთ, რა ხდება ილიაუნში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსია, ვინ დომინირებს?! იმაზე მეტი უნივერსიტეტია დღეს საქართველოში გახსნილი, ვიდრე ქართველი სტუდენტია. ეს ხომ იმაზეა გათვლილი, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩამოვიდეს აქ ინდოეთიდან, აფრიკიდან, აზიის თუ სხვა ქვეყნებიდან სასწავლებლად?!

**— ანუ ესეც ამ ხელისუფლების სუსტი წერტილია, რითიც ოპოზიცია სარგებლობს?**

— ეს არის დანაშაული და თუ ხელისუფლებამ დროულად არ მიიღო ზომები, მალე მოხდება მათი დისკრედიტაცია. ნაცები რატომ არ უყვარს ხალხს? იმიტომ, რომ მათში მოღალატეებს ხედავენ. **თუ ხალხის იმ ნაწილმა, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალება არ დაუშვა, დაინახა, რომ ეს ხელისუფლებაც ღალატობს ქვეყანას, ნაცების დაბრუნების შიშით პირში წყალს აღარ ჩაიგუბებს და** მისი დამხობის საფრთხეც გაიზრდება.

დადგა დრო, შეიქმნას საემიგრაციო დეპარტამენტი და პოლიცია. ხელისუფლებამ უარი უნდა განაცხადოს „მიგრანტთა პაქტზე“ და მკაცრად გააკონტროლოს სასწავლებლად შემოსული სტუდენტები!

ასევე აუცილებელია, აიკრძალოს კარტელური შეთანხმებები! პირველად 2010 წელს დავარეგისტრირე პროექტი კარტელური შეთანხმებების წინააღმდეგ სააფთიაქო ქსელში. მას შემდეგ 15 წელი გავიდა. ყველა მოწვევის პარლამენტში შემქონდა და ამბობდნენ, გავიტანთო, მაგრამ ამაოდ. ხედავთ, რაც ხდება დღეს — ზოგიერთ წამალზე ფასი 1753 პროცენტით მაღალია. საქართველოში წარმოებული მედიკამენტები სომხეთსა და აზერბაიჯანში 2-3-ჯერ ნაკლები ღირს. ბოდიშით, მაგრამ ბნელა? სააფთიაქო ბიზნესის ორი ქსელი მთლად ნაცების რომ არის, ამაზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ?

**— საკმაოდ კრიტიკული ხართ ამჯერად ხელისუფლების მიმართ...**

— ნახეთ, რა ღირს ბალი და მარწყვი. პენსიონერმა, რომელსაც 350 ლარი აქვს პენსია, როგორ იყიდოს?

გასაგებად მინდა, ვთქვა და ასევე დაიბეჭდოს — ნიურნბერგის პროცესად წოდებული კომისიის შექმნა იყო სწორი გადაწყვეტილება. **კომისია კარგად მუშაობს, მაგრამ ახლა პროკურატურამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა.** გირჩი ჯაფარიძის დაკავება არ ნიშნავს პროკურატურის კარგად მუშაობას. ალასანიას, სააკაშვილის და მისი ბანდის ანგარიშებს რატომ არ ადევს ყადაღა?!

და, საერთოდ, ხელისუფლებამ არ უნდა ისარგებლოს ჩვენი სიჩუმით. ხალხსაც უნდა ცხოვრება!

***ნატო ფოცხიშვილი***

***წინა კვირას პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა და დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის მუცელზე მფორთხავმა მონამ — დონალდ ტუსკმა პოლონეთის სეიმში გამოსვლისას, სადაც საკუთარი მთავრობის ნდობის საკითხზე ლაპარაკობდა, განაცხადა — პოლონეთს სურს ევროკავშირში მოხდეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ საქართველოს ევროპული ვიზალიბერალიზაცია ან შეეზღუდოს, ანდა სულაც შეუწყდეს!***



# დღეს დონალდ ტუსკისა და ბალტიისპირელი პოლიტმექავეების დანიშნულება მხოლოდ ეს არის — ოღონდაც თავიანთ ქვეყნებს რუსის ჩექმა და უკრაინის ომის ქარცეცხლი აიცილონ და მზად არიან, სასიკვდილოდ გაწირონ ყველა და ყველაფერი, მათ შორის, მცირერიცხოვანი ქართველი ერი!

# ფრთხილად, დონალდ ტრუსიკია!

მისი განცხადებით, **„საქართველოს მოსახლეობის მესამედი ის ხალხია, ვისაც „ძალიან სურს ევროპული ღირებულებების გაზიარება“,** მაგრამ ის არის **„მტკიცე მომხრე“** იმ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შეზღუდვის, რომლებიც არ იცავენ გარკვეულ სტანდარტებს!

ჯერ ერთი, როდის იყო პოლონეთი საქართველოს და, მით უმეტეს, ევროპის ბედს წყვეტდა? **დონალდ ტუსკის** ეს ბოდვა იმას ჰგავს, ბანგლადეშმა ან სვაზილენდმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს დაუწესონ სავიზო შეზღუდვები! მეორე და მთავარი — საინტერესოა, ვინ და რა მორალური ბეგრაუნდის პატრონი ლაპარაკობს ამას?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამას აცხადებს **ფარული დასისა და სააკაშვილის მიერ ნახმარი, გაცრეცილი და დაგლეჯილი საწმერთული!**

დიახ, **დონალდ ტუსკი** სწორედაც რომ **სააკაშვილის ტრუსიკია** და ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, თუმცა, ერთხანობა ერთმანეთში ტრუსიკი და მისი პატრონიც კი წაიკიდნენ. ამის დასტურია თუნდაც 2019 წელს პოლონეთში გამართული არჩევნები, როცა სააკაშვილმა კაჩინსკის **იქაურ ქოცებსა** და **ევროქოცებზე** გამარჯვება მიულოცა. ცნობისათვის, **კაჩინსკის** მთავარი კონკურენტი იმ არჩევნებში სწორედ **დონალდ ტუსკი** და მისი ოპოზიციური დაჯგუფება — **„სამოქალაქო კოალიცია“** იყვნენ, ანუ იყო დრო, როცა სააკაშვილი **დონალდ ტუსკს ქოცს** უწოდებდა, მაგრამ ფარული დასის ბრძანებით, **დონალდ ტუსკი სააკაშვილის ტრუსიკად** იქცა, ხოლო სააკაშვილმა თავისი გადაფურთხებული ალოკა და როცა **დონალდი** პოლონეთის პრემიერ-მინისტრად აირჩიეს, ასეთი რამ დაწერა — **„2021 წლის დეკემბერში ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარის პოსტის დატოვებისას, პარტიის ყრილობის პირველ რიგში, მან მაგიდაზე დაადგმევინა დაფა ჩემი წარწერით და გამომშვიდობებისას შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მე ვფიქრობ, რომ ჩემი თავმჯდომარეობის საუკეთესო დასასრული მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გამოგზავნილი წერილის წაკითხვა იქნება“. შემდეგ მან მთელი წერილი წაიკითხა და ამას ფეხზე დამდგარი მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა. ყოველთვის მადლობელი ვიქნები ასეთი მხარდაჭერისთვის. წარმატებები დონალდსა და ჩემს უსაყვარლეს პოლონეთს!“**

მოკლედ, შორს აღარ არის ის დრო, როცა სააკაშვილი იტყვის — **მე პოლონელი ვარო!**

●

წინამდებარე წერილის სათაური ჩვენ მიერ 2005 წლის მარტში „ასავალ-დასავალის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა შთაგვაგონა, რომელსაც ასე ერქვა — **„ფრთხილად, გოკა გუროვია!“**

**იმის შემდეგ ოცი წელი გავიდა და ოცჯერ მაინც იწვიმა და ითოვა საქართველოს თავზე.**

ამ ოცი წლის განმავლობაში გამოვიარეთ 2008 წლის აგვისტოს ომი; დამატებით დავკარგეთ საქართველოს ისტორიული და სისხლხორცეული ტერიტორიები; 2007 წლის 20 მაისს მოგვიკლეს აკადემიკოსი **გურამ შარაძე;** ქუჩაში ჩაგვიხოცეს ას ორმოცდაათამდე საჯიშე ბიჭი; გამოვამზეურეთ პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ამაზრზენი კადრები; მოვიშორეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ მოვაშთეთ სააკაშვილის გარყვნილი სექტა, რომელიც ქვეყნის ღალატის გზას ყოველთვის ადგა და დღესაც ადგას; „ვივამედის“ პანსიონში გამოვკეტეთ საქართველოში არაჟნის კონტეინერით შემოპარული მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საპატიმროდ გადაკეთებულ კლინიკაში, სულ მცირე, ორი ბავშვი მაინც გააკეთა!

ოცი წლის წინათ გამოქვეყნებული წერილის სათაურში მოხსენიებული **გოკა,** სააკაშვილის კულტურის მინისტრი **გოკა გაბაშვილია,** რომელსაც მოგვიანებით უფრო შესაფერისი სახელი გამოუძებნეს — **გაკუ;** ხოლო **გუროვი,** რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ცხონებული **გურამ შარაძე,** სანკტ-პეტერბურგელი ებრაელი ჩარჩი — **გრეგ გუროვი** გახლდათ. **ძია გრეგი** საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვში ამერიკის საელჩოში მუშაობდა. სწორედ **კერძო ბიზნესმენი გრეგ გუროვი** აპირებდა 1998 წელს ამერიკაში 2 წლით ქართული განძის გატანას ისე, რომ ამის შესახებ ამერიკის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, არაფერი იცოდა.

**ოცი წლის წინათაც ვწერდით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ მაშინ, 1998 წელს, გუროვის წადილის აღსრულებას თითქოს აღარაფერი აკლდა, რადგან კულტურის მინისტრმა ხელოვნების სფეროს სხვა ჩინოვნიკებთან ერთად ამერიკელ „ბიზნესმენს“ სასწრაფოდ გაუფორმა ხელშეკრულება. ნოდარ ლომოურს, ლევან ჭილაშვილსა და ზაზა ალექსიძეს (საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორები. — დ.ჩ.)** გრეგ გუროვი ეროვნულ საგანძურთან ერთად შეერთებულ შტატებში მთელი ორი წლით ჰპირდებოდა ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში უფასოდ ცხოვრებასა და მოგზაურობას!.. თუ **ლომოურს, ჭილაშვილსა** და **ალექსიძეს** გული აუჩვილდებოდათ და ნოსტალგია მოეძალებოდათ, ამერიკაში თავიანთი ოჯახის წევრების წაყვანაც შეეძლოთ!..

**ცხონებულმა გურამ შარაძემ მაშინ ეს ყველაფერი არია, აჭრა და გუროვმა საგანძური ვერ გაიტანა! თუმცა, გრეგ გუროვი არც მერე ისვენებდა და სააკაშვილის კულტურის მინისტრის გოკა გაბაშვილის მეშვეობით ცდილობდა თავისი გეგმის აღსრულებას.**

სწორედ ამაზე ავტეხეთ მაშინ განგაში და ქვეყნიერება შევძარით, როცა ერსა და ბერს მოვუწოდეთ — **ფრთხილად, გოკა გუროვია-მეთქი!**

აი, ახლაც ვაფრთხილებთ საქართველოს და ვაცხადებთ — **ფრთხილად, დონალდ ტრუსიკია!**

საქმე ის გახლავთ, რომ ფარული დასისა და მიხეილ საა-



**გუროვი ისევ გამოჩნდა!..**

**ხოგა და 300 ათასი დოლარი ჩაიჯიბა კიდეც!..**

რატომ, რისთვის?..

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, **როცა გასხვისებას იღბლად გადარჩენილი სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების გასაყიდად სააკაშვილს პუტინმა**

**ფრთხილად, გოკა გუროვია!!!**

„ასავალ-დასავალი“. 2005 წლის №10

## ცხონებულმა გურამ შარაძემ მაშინ ეს ყველაფერი არია, აჭრა და გუროვმა საგანძური ვერ გაიტანა!

## კვირგვინოსნები

**ლევან მახაშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა **ოფიციალურად გახსნა უცხოეთიდან ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია.** შეიძლება, მას გადაწყვეტილი აქვს, რომ **კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის** წინასაარჩევნო შტაბის უფროსი იყოს.

„იმედინიუსი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**დონალდ ტუსკი — ეს რაფინირებული პორნოლიბერალი!** ევროპის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე 2014-2019 წლებში, საკუთარი ხალხისა და სამშობლოს დასჯას ითხოვდა პოლონეთში სუვერენული სასამართლო რეფორმის განხორციელების გამო! **ღირსებადაკარგულ და ევროს ყაიდაზე მობუქნავე ავანტიურისტზე ჰერჩინსკიმ იდარდოს!**

„იმედინიუსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ჩვენს ქვეყანაში, **უკრაინაში, ბანგლადეშში, სირიაში,** ყველგან გვინახავს და ჩვენთან რა არის ასეთი განსაკუთრებული, რომ **გვიჭირს წარმოდგენა, როგორ ხდება რეჟიმის ჩამოშლა.**

„TV პირველი“

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*



როგორც **ნაპოლეონი დამარცხდა, ჰიტლერიც დამარცხდა,** ისე **ნატო-ს** თანამედროვე ტურებიც **ვერ გაიმარჯვებენ.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**ჯეფრი საქსი**
*ამერიკელი პროფესორი*



**ზელენსკის** უკრაინაში **დიქტატურა აქვს** და არა — ხალხის მხარდაჭერა.

„TV იმედი“

# ილია რომ ცოცხალი ყოფილიყო და საქართველოს შესახებ ამ გათახსირებული დონალდ ტრუსიკის განცხადებები მოესმინა, „ქვათა ღაღადს“ კიდევ ერთხელ დაწერდა!





კაშვილის მართლაცდა **ტრუსიკი** — პოლონეთის პრემიერ-მინისტრი **დონალდ ტუსკი** იმ ნაძირალებისა და არამკითხეების კრებსით სახეს წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს მოსვენებას არ აძლევენ და როგორც კი საშუალება მიეცემათ, მაშინვე კბენენ. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, შეუძლებელია, არ გაგახსენდეს სულმნათი **ილია ჭავჭავაძე.**

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ილიას **„ქვათა ღაღადი“** 1899 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა გაგრძელებებით და იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

**„ქვათა ღაღადი“**, რომელიც ილიამ **სომეხ მეცნიერთა ერთ ჯგუფს** მიუძღვნა, იწყება შემდეგი სიტყვებით — **„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ, თითქო არც ოდესლაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ...“**

თქვენი არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ ასე მგონია, **ილია** რომ ცოცხალი ყოფილიყო და საქართველოს შესახებ ამ გათახსირებული **დონალდ ტრუსიკის** განცხადებები მოესმინა, **„ქვათა ღაღადს“** კიდევ ერთხელ დაწერდა და ამჯერად თავისი მართალი, მაგრამ პირბასრი და წვეტიანი კალმით იმ გარეწრებს გაანიორწყულებდა, რომელთა სახელიც ხან **კარლ ბილდტია,** ხან — **გლუკსმანი,** ხან — **ლექსმანი,** ხან — **ლექსენი,** ხან — **ჯინ შაჰინი,** ხან — **ჯონ უილსონი,** ხან — **რასა ძუკნევიჩიენე,** ხან — **კუბილიუსი,** ხან — **გიჟიმანტას პავილიონისი** და ხანაც — მათი ადგილობრივი, ქართული აგენტურა.

**ფარული დასის** სამარცხვინო და მუცელზე მფორთხავ მონას — **დონალდ ტუსკს** შევახსენებთ, რომ ქართველ ერს არ ეხერხება ქვეყნის ბედით ისეთი ვაჭრობა, როგორც 16 წლის ულამაზესმა პოლონელმა გრაფინიამ **მარია ვალევსკაიამ** ომის ღმერთთან და საფრანგეთის იმპერატორთან, **ნაპოლეონ ბონაპარტესთან** საწოლში ივაჭრა!

ვაღიარებთ, რომ პოლონელები უფრო პრაქტიკულები და ანგარიშიანები არიან... აი, მაგალითად, სანამ **ნაპოლეონმა მარია ვალევსკაიას** სასიყვარულო წერილში არ უხსენა — **თქვენს სამშობლოზე, პოლონეთზე ვდარდობ!** — მანამდე ქალი იმპერატორს არც კი გაეკარა. მაგრამ, როგორც კი ბონაპარტეს პოლონეთის სამეფოს აღდგენაზე დაცდა სიტყვა, 16 წლის უკარება გოგონა მაშინვე იშვიათ საყვარლად იქცა და იმპერატორს ვაჟიც აჩუქა...

**ფარული დასის სამარცხვინო და მუცელზე მფორთხავ მონას — დონალდ ტუსკს შევახსენებთ, რომ ქართველ ერს არ ეხერხება ქვეყნის ბედით ისეთი ვაჭრობა, როგორც 16 წლის ულამაზესმა პოლონელმა გრაფინიამ მარია ვალევსკაიამ ნაპოლეონ ბონაპარტესთან საწოლში ივაჭრა!**







მართალია, გადაგვარებულმა ქართველმა თავადებმა და, უპირველესად, ივანე **ბაგრატიონ-მუხრანელმა,** რომელსაც რუსთხელმწიფე **ნიკოლოზ პირველი „მოი შალუნს“** ეძახდა, 1837 წლის 8 ოქტომბერს, თბილისში სტუმრობის დროს, იმპერატორს კოჯრის ციხეში ღამით 20 წლის ულამაზესი ქალწული **მაიკო ორბელიანი** მიართვა და საქვეყნოდ თავი მოიჭრა, მაგრამ ეს სამარცხვინო ისტორია სულ სხვა ვითარებაში გათამაშდა.

იქ უბედური **მაიკო ორბელიანი** მსხვერპლი იყო, რომელიც მერე ჭლექით დაავადდა და მოკვდა, ხოლო **გრაფინია ვალევსკაიამ,** რომლის ღამის თავგადასავლებმაც პრუსიის მიერ ოკუპირებულ პოლონურ მიწებზე, ფაქტობრივად, პოლონეთის სახელმწიფოებრიობა რაღაც ფორმით მაინც შვა და **ვარშავის საჰერცოგო** შექმნა, საკუთარი სხეულით ივაჭრა.

**მოკლედ, პატრიოტიზმიც ასეთი უნდა!**

კიდევ კარგი, პოლონელ **ანა ფოტიგას** ღმერთმა **მარია ვალევსკაიას** სილამაზე არ მისცა, თორემ **ნაპოლეონს** რუსეთის წინააღმდეგ იმაზე უფრო ადრე დააწყებინებდა ომს, ვიდრე დაიწყო. ცხადია, საფრანგეთის ბრწყინვალე იმპერატორი ამ შემთხვევაში კისერს უფრო მალე მოიტეხდა.

დღეს **დონალდ ტუსკისა** და **ბალტიისპირელი პოლიტმძაღლების** დანიშნულება მხოლოდ ეს არის — **ოღონდაც თავიანთ ქვეყნებს რუსის ჩექმა და უკრაინის ომის ქარცეცხლი აცილონ და მზად არიან, სასიკვდილოდ გაწირონ ყველა და ყველაფერი, მათ შორის, მცირერიცხოვანი ქართველი ერი!** სწორედ ეს გარეწრები ასრულებენ **ფარული დასის** დავალებებს და საქართველოში ხელისუფლების შეცვლას ცდილობენ.

**დონალდ ტუსკს,** რომელიც მართლაცდა **სააკაშვილის ტრუსიკია,** საქართველოში სურს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას რუსეთს შეახეთქებს და ამ ფონზე პოლონელები და ბალტიისპირელები იქნებიან მშვიდად, რადგან კრემლი მეტად ვეღარ გარისკავს და უკრაინისა და საქართველოს პარალელურად ბალტიისპირეთსა და პოლონეთში ცეცხლს ვეღარ გახსნის!

აი, ესაა მათი ჩანაფიქრი და სწორედ ამის გამო აქვთ ატეხილი მუცლის გვრემა. საქართველოში ვინც ამას ვერ ხვდება, **დონალდ ტუსკის** მსგავსად, ან მართლაცდა **სააკაშვილის ტრუსიკია,** ანდა სასარგებლო იდიოტი!

ერთი სიტყვით, **დონალდ ტრუსიკისა და მისი მსგავსი ქვეწარმავლების** სახით ჩვენ საქმე გვაქვს **ფარული დასის აგენტურასთან** — ჩვენი დროის აპოკალიფსის მხედრებთან, რომლებსაც დედამიწაზე ჩაუქრობელი ხანძრის აგიზგიზება და სხვათა ქვეყნების გადაბუგვა სურთ, რათა თავიანთი ქვეყანა გადაარჩინონ!

**აი, ამიტომ არის ეს ხალხი საშიში!**

**ამიტომაც მოგიწოდებთ — ფრთხილად, დონალდ ტრუსიკია!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*



გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის **ანალენა ბერბოკის** საქმე ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია — **მოსამართლემ ბერბოკისთვის სულელის წოდების გამო, 59 წლის მამაკაცი 9600 ევროთი დააჯარიმა.** ოპოზიცია გვიმტკიცებს, რომ **ის, რაც გერმანიაში დანაშაულია, ჩვენთან გამოხატვის თავისუფლებაა,** რასაც ქართველი საზოგადოება არ მიიღებს და არ შეეგუება.

„იმედინიუსი“

**პაატა ბურჭულაძე**
*გაერთიანება „რუსთაველის გამზირის“ დამფუძნებელი*



რომელიმე პარტია თუ მიიღებს მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, **ის გვიღალატებს ჩვენ, რუსთაველის გამზირს, უღალატებს სინდისის პატიმრებს,** რომლებიც სხედან ციხეში და **უღალატებს პოლიტპატიმრებს.**

„პირველი არხი“

**ბექა ლილუაშვილი**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



**ვემზადებით თვითმმართველობის არჩევნებისთვის,** ჩვენს პოზიციაზე გავლენას ვერავინ მოახდენს, **ვერც ქვეყნის შიგნიდან და ვერც გარედან.**

„პირველი არხი“

**გურამ ნიკოლაშვილი**
*ანალიტიკოსი*



სწორია, პოლიტიკოსი თუ ხარ, **მონაწილეობა უნდა მიიღო არჩევნებში,** თუ არადა, მაშინ **უნდა მოაწყო პუტჩი,** რომლის თავი არა გაქვს და, ალბათ, არც **მამუკა ხაზარაძე** არის დაბადებული **ჩე გევარად.**

„პირველი არხი“

**გიორგი ბოტკოველი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი*



არჩევნებში მონაწილეობა **იმთავითვე განწირულია** ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის.

„რეზონანსი“

# ნათა ყაზახაშვილი: გოგონებო, ნუ შეეცდებით ფეხმძიმობა ტაბლეტების მიღებით შეწყვიტოთ, ეს ძალზე სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის!




**„ქვეყანაში ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რაც აბორტის რაოდენობას შეამცირებს!“**

***80-იანი წლების ბოლოს საქართველოში შობადობამ პიკურ მაჩვენებელს — 100 ათასს მიაღწია. ამჟამად შობადობა კატასტროფულ ნიშნულამდეა დავარდნილი და მაშინდელთან შედარებით, სამჯერ ნაკლები ბავშვი იბადება. უფრო შემაშფოთებელია ჯანმოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია — თურმე, ქვეყანაში აბორტების სტატისტიკა შობადობის მაჩვენებელს, საშუალოდ, სამჯერ აღემატება; ანუ, თუ საქართველოში ყოველ წელს 35 ათასი ბავშვი იბადება, პარალელურად, სავარაუდოდ, 100 ათასი აბორტი კეთდება!*** — *„ბოლო წლებში საქართველოში აბორტების სტატისტიკამ მკვეთრად იკლო, მაგრამ ამაოდ ნუ გაგვიხარდება. მოდაში შემოვიდა* ***მედიკამენტური აბორტი!*** *ახალგაზრდა გოგონები, მათ შორის, არასრულწლოვნებიც — ორსულობის შეწყვეტას მედიკამენტების მიღებით აღწევენ, ხოლო ასეთი აბორტი სტატისტიკაში იშვიათად ან საერთოდ არ აისახება!“* — ***აცხადებს ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ნათა ყაზახაშვილი:***

— ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ თემას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციების რაოდენობის კლება მართლაც შეიმჩნევა, მაგრამ, თუ ასაკობრივ ჯგუფებს გადავხედავთ, მოზარდებსა და 20 წლამდე გოგონებში აბორტის შემთხვევები კვლავ აღირიცხება, რაც ძალზე დამაფიქრებელია. 20 წლამდე გოგონებში აბორტი ხშირად პირველი ორსულობის შემთხვევაში კეთდება. იკვეთება დამაფიქრებელი და საგანგაშო ტენდენცია, რის შესახებაც საკმარისზე მეტი ინფორმაცია მოიპოვება სოციალური ქსელების თემატურ ჯგუფებში — ეს გახლავთ **მედიკამენტური აბორტი!** რატომღაც სხვა საშუალებებთან შედარებით, მედიკამენტური აბორტი ასეთ ჯგუფებში ჯანმრთელობისთვის უვნებელ პროცედურად მიიჩნევა, თუმცა, იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სახის აბორტი ქალის ჯანმრთელობისთვის საკმაოდ სახიფათოა, განსაკუთრებით კი — პირველი ორსულობის შემთხვევაში!

**— 20 წლამდე გოგონებში აბორტების ნებისმიერი სტატისტიკა საქართველოსთვის ისედაც ტრაგედიაა, რადგან ტრადიციების საწინააღმდეგოდ, ქორწინების გარეშე ურთიერთობებზე მიუთითებს...**

— ყოველ აზრს გააჩნია არსებობის უფლება, მაგრამ სპეციალური კვლევის ჩატარების გარეშე ასეთი დასკვნა მხოლოდ ვარაუდის ფარგლებში განიხილება. თანამედროვე ეპოქაში გოგონებში სექსუალური ცხოვრების დებიუტის ასაკი მართლაც მკვეთრად შემცირდა და ამაზე უამრავი სხვა გარემოებაც მეტყველებს. უკვე 15 წლამდე ასაკის გოგონებშიც ფიქსირდება ორსულობის და აბორტის შემთხვევები. მაგალითად, 2021 წელს აბორტების საერთო რაოდენობაში 15-19 ასაკის გოგონებში აბორტის ოპერაციის 448 შემთხვევა აღირიცხა. არანაკლებ საყურადღებოა ახალგაზრდებში 20-24 წლის გოგონათა შორის აბორტის რაოდენობა. **2021 წელს ამ ასაკობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია 2559 აბორტის შემთხვევა. ისიც უნდა ითქვას, რომ 16 წელს მიუღწეველ გოგონებთან სექსუალური კონტაქტის თაობაზე კანონმდებლობის გამკაცრებამ თავისი როლი შეასრულა და გარკვეული შედეგები ნამდვილად გამოიღო, ამის მიუხედავად,**

**20 წლამდე გოგონებში და, მათ შორის არასრულწლოვნებში, აბორტის შემთხვევები მაინც შეინიშნება და მათი დიდი ნაწილი სწორედ მედიკამენტურ აბორტზე მოდის.**

ლოგიკურად, მექანიკური ჩარევით აბორტების რაოდენობის შემცირებას თან უნდა სდევდეს ჩასახვის საწინააღმდეგო თანამედროვე საშუალებების **(ეს იქნება ე.წ.სპირალი, ტაბლეტირებული ფორმები და ა.შ.)** მომხმარებელთა შესაბამისი მატება, რასაც ადგილი არა აქვს. სამაგიეროდ, **სოციალური ქსელების თემატურ ჯგუფებში გოგონები ერთმანეთს ხშირად უცვლიან გამოცდილებას, მედიკამენტური გზით ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით და რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, ისინი ამ მეთოდს უსაფრთხოდ მიიჩნევენ** და პოზიტიური შეფასებებით ეხმაურებიან. აშკარად იკვეთება ახალგაზრდების ტოლერანტული დამოკიდებულება მედიკამენტური აბორტის მიმართ. საზოგადოებრივი ჯანდაცვა ვალდებულია, მედიკამენტურ აბორტთან დაკავშირებით გოგონებს სიმართლე მოახსენოს და საკმაოდ მნიშვნელოვან თანმდევ საფრთხეებზე გააფრთხილოს, თუმცა, სოციალურ ქსელებში ამისი შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ.

**— რა მედიკამენტებზეა საუბარი?**

— ინტერვიუში მათ მე არ ჩამოვთვლი, რათა უნებურად ინფორმაციის გამავრცელებელი არ გავხდე, მაგრამ გეტყვით, რომ ეს პრეპარატები სააფთიაქო ქსელში თავისუფლად იშოვება, ხოლო მათ შესახებ ინფორმაციას დაინტერესებული გოგონები უმთავრესად სწორედ სოციალური ქსელების ჯგუფებში ერთმანეთისგან მოიპოვებენ. სოციალური ქსელი ხომ სოციუმის სარკეა... **ინკოგნიტოდ თავად გახლავართ გაწევრებული ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში იმ მიზნით, რომ, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, სოციუმის პულსაციას ვგრძნობდე და ხშირად შევსწრებივარ იქ აზრთა გაცვლა-გამოცვლას.** მაგალითად, ვინმე დაწერს, რომ მენსტრუაცია გადააუცდა და მარტივი ტესტით ფეხმძიმობა დაუდგინდა, აპირებს ორსულობის შეწყვეტას და ჯგუფის წევრებს რჩევას ეკითხება. სხვები ეხმაურებიან, კომენტარებში საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ, რომ ამა და ამ მედიკამენტით თავად მიაღწიეს ორსულობის უსაფრთხოდ შეწყვეტას, ორსულობის ფაქტის გახმაურების გარეშე. ურჩევენ, სად შეიძინოს პრეპარატი.

**— მაგრამ, როდესაც აფთიაქში მედიკამენტის შესაძენად მივა, ფარმაცევტი მაინც არ უხსნის, რომ ექიმის გარეშე ამ მედიკამენტის მიღებას შესაძლოა გართულება მოჰყვეს?**

— აფთიაქი კომერციული დაწესებულებაა, ფარმაცევტის ინტერესში შედის წამლის გაყიდვა და, შესაბამისად, მყიდველს არაფერს ეტყვის. მითუფრო, რომ ეს მის ოფიციალურ მოვალეობაში არ შედის — კლი-

## დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით:

### ორსულობის შეწყვეტის მეთოდები საქართველოში

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბორტების საერთო რაოდენობა | 39225 | 37018 | 33464 | 32428 | 28720 | 24937 | 22733 | 21599 | 19039 | 17774 |
| *ორსულობის შეწყვეტის მეთოდი (%):* | | | | | | | | | | |
| გამოფხევა (კიურეტაჟი) | 49.2 | 41.3 | 37.9 | 41.2 | 41.6 | 22.8 | 21.5 | 21 | 19.4 | 18.5 |
| ვაკუუმ ასპირაცია | 40.6 | 41.3 | 39.1 | 28.3 | 30.9 | 40.4 | 36.4 | 36 | 34.5 | 32.9 |
| მედიკამენტური აბორტი | 10.2 | 17.4 | 23 | 30.5 | 27.5 | 36.8 | 38.9 | 42 | 44.4 | 46.6 |



# „იკვეთება დამაფიქრებელი და საგანგაშო ტენდენცია – მედიკამენტური აბორტი!“

**„ნებისმიერი სახის აბორტი ქალის ჯანმრთელობისთვის საკმაოდ სახიფათოა, განსაკუთრებით კი — პირველი ორსულობის შემთხვევაში!“**

**„სამწუხაროდ, არასრულწლოვნებისთვის ამ მედიკამენტების მიყიდვა არ იზღუდება!“**

ენტს ძლევს წამალს, რაც მან მოითხოვა.

**— მაგრამ, თუ მყიდველი არასრულწლოვანია?**

— მაინც მიჰყიდის, რადგან, სამწუხაროდ, არასრულწლოვნებისთვის ამ მედიკამენტების მიყიდვა არ იზღუდება, აფთიაქებში პირადობის მოწმობას არ ითხოვენ. რომც იზღუდებოდეს, არც ეს იქნებოდა გამოსავალი, ვინაიდან მოზარდს შეუძლია მისი ყიდვა უფროს მეგობარს სთხოვოს. თანაც, თანამედროვე პირობებში ბავშვები ისე ნაადრევად მწიფდებიან, რომ ასაკის განსაზღვრა ძნელია და პროვიზორი ვერც გაარჩევს, მის წინ 14 წლის მოზარდი დგას თუ 18 წლის გოგონა. არადა,

**წესით, მედიკამენტოზური აბორტი აუცილებლად სამედიცინო სივრცეში და ექიმის მეთვალყურეობით უნდა ტარდებოდეს, მედიკამენტი დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენებოდეს, რადგან უამრავი გვერდითი მოვლენა შეიძლება გამოიწვიოს.**

სულ სხვა საუბრის თემაა აბორტის **რელიგიურ ჭრილში** განხილვა. არამხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოება, უკლებლივ ყველა რელიგიური კონფესია აბორტის ოპერაციას კატეგორიულად უარყოფს, ხოლო ისლამში ორსულობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია ქალისთვის სასიხარულოდ ითვლება და ასეთი დამოკიდებულება ამ სარწმუნოების მიმდევართა შორის შობადობის მაჩვენებელზეც შესაბამისად აისახება.

**— მედიკამენტოზური აბორტისას ექიმის როლი რაში გამოიხატება?**

— ვიდრე აბორტის მიზნით მედიკამენტს მიიღებს, ექიმმა გულმოდგინედ უნდა გამოჰკითხოს პაციენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის და თანმხლები დაავადებების დასადგენად, რომელთა გართულებაც შესაძლოა, ამ პრეპარატმა გამოიწვიოს. ასე რომ, მხოლოდ სოციალურ ქსელში მიღებულ „რჩევაზე“ დაყრდნობით, რომ ვიღაცამ ეს პრეპარატი გამოიყენა და კმაყოფილია — კატეგორიულად დაუშვებელია! მედიკამენტური აბორტი არაოპერაციულ მეთოდად მიიჩნევა, თუმცა, არცთუ იშვიათად, ეს მეთოდი საბოლოო შედეგამდე ვერ მიდის და კიურეტაჟით (საშვილოსნოს შიგნიდან ქსოვილის მოშორება) მთავრდება!

ზოგადად, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა — ბრმა ოპერაციას და საკმაოდ სახიფათო პროცედურას წარმოადგენს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკთა უმთავრესი მოვალეობაა, რომ ახალგაზრდებს, პირველ რიგში, სწორი რეპროდუქციული ქცევა, ასევე არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების თანამედროვე საშუალებების შესახებ (დაწყებული კალენდარული, ეკლესიური და რელიგიური მეთოდებით, დასრულებული სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებით, კონდომის ჩათვლით) სრულყოფილად აუხსნას. 21-ე საუკუნე ხომ უამრავ საშუალებას სთავაზობს ქალს, რათა მომავალში აბორტის გაკეთება არ გახდეს საჭირო.

**— მედიკამენტურ აბორტს რა გვერდითი მოვლენები შეიძლება მოჰყვეს?**

— თუნდაც შინაგანი სისხლდენა; ან არასრული, დაუმთავრებელი აბორტი, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ინფექციურ პროცესს იწვევს. არც ის არის გამორიცხული, მედიკამენტმა საერთოდ არ იმოქმედოს. ვიდრე ახალგაზრდა მედიკამენტის მიღებით ორსულობის შეწყვეტას დააპირებს, მანამდე ხომ არანაირ გამოკვლევას და ანალიზს არ იტარებს... შესაბამისად, ის არ არის ინფორმირებული ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით!

**— ორსულობის რა სტადიაზეა დაშვებული მედიკამენტოზური აბორტი?**

— ორსულობის ვადას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. **მედიკამენტური აბორტისთვის ოპტიმალურ ვადად ითვლება 6 კვირამდე ორსულობა.** ყველაზე ხშირად ასე ხდება — გოგონა სწრაფი ტესტით გებულობს არასასურველი ორსულობის შესახებ და მაშინვე იწყებს ზრუნვას ფეხმძიმობის შესაწყვეტად. პირველ რიგში, რჩევას კითხულობს სოციალური ქსელის თემატურ ჯგუფებში და იქ იღებს ინფორმაციას მედიკამენტური აბორტის შესახებ. თუმცა, ახალგაზრდების უმრავლესობამ არც კი იცის, რომ არსებობს ორსულობის უტყუარი და არასარწმუნო ნიშნები, ანუ შეიძლება გოგონას ეგონოს, რომ არის ორსულად, იზრუნოს მედიკამენტის მიღებაზე და ამ დროს სულაც არ იყოს ფეხმძიმე! ამიტომ არის აუცილებელი ექიმთან მისვლა და ორსულობის ვადის დადგენა, შემდეგ კი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, ორსულობის შეწყვეტის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა.

**საქართველოს კანონმდებლობით, ქალს უფლება აქვს, ორსულობის 12 კვირის ვადამდე განსაზღვროს საკუთარი რეპროდუქციული ქცევა და მიიღოს გადაწყვეტილება, უნდა შვილის გაჩენა თუ არ უნდა. მაგრამ ორსულობის უფრო დიდ ვადაზე, ანუ 6 კვირის შემდეგ კატეგორიულად დაუშვებელია აბორტის მიზნით მედიკამენტის მიღება!**

რაც პრეპარატის ინსტრუქციაშიც აღნიშნულია. სამწუხაროდ, მედიკამენტურ აბორტზე არჩევანს ხშირად იმ მიზნით აკეთებენ, რომ მშობლებს და ახლობლებს დაუმალონ ორსულობა. აბორტის სხვა მეთოდებს (მინი აბორტს, კიურეტაჟს) სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა სჭირდება, მედიკამენტების მიღება კი, კონფიდენციალობის შენარჩუნების ყველაზე მარტივ საშუალებად მიაჩნიათ, იაფიც უჯდებათ, მაგრამ არ იციან, რომ დიდ რისკზე მიდიან. სოციალურ ქსელში იხილავთ მიმოწერას, როცა მედიკამენტით დაინტერესებულ ორსულს სხვა გოგონა სწერს — გამოყენების შემდეგ დამრჩა ტაბლეტები, შემხვდი და მე მოგცემო. არადა, ბევრმა ისიც არ იცის, რამდენი ტაბლეტი და დროის რა შუალედში უნდა მიიღოს, რაც სხვისი გამოცდილებით და შედეგებით კი არა, საკუთარი ორგანიზმის ინდივიდუალიზმით განისაზღვრება. **მედიკამენტური აბორტი ექიმის მკაცრი ზედამხედველობით უნდა ჩატარდეს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ეს მარტივი საკითხი არ არის!**

**— საბჭოთა პერიოდში არასრულწლოვანთა აბორტების მცირე სტატისტიკა რით აიხსნება?**

— იმით, რომ არასრულწლოვნის ორსულობა ოჯახისთვის დიდი ტრაგედია იყო და მალავდნენ. ოჯახი ცდილობდა კონფიდენციალობის მკაცრად დაცვას. ამიტომ არასრულწლოვანთა ორსულობის და აბორტის შესახებ ინფორმაცია ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩებოდა. ოჯახები აბორტს ნაცნობ ექიმთან ბინაში, არალეგალურ გარემოში უკეთებდნენ და სტატისტიკაში ხვდებოდა მხოლოდ ის შემთხვევები, როცა არასრულწლოვნის აბორტი სისხლდენით ან სხვა გართულებით მთავრდებოდა. ეს საკითხი არამხოლოდ საქართველოში იყო პრობლემატური. ერთ-ერთ ქვეყანაში გახლდით მსგავსი საკითხების განსახილველად, სადაც აბორტი საერთოდ კატეგორიულად აკრძალული იყო. თუმცა, კლინიკებში უამრავი პაციენტი იმყოფებოდა აბორტის შემდგომი გართულებებით. საქმე იმაშია, რომ აკრძალვის გამო ორსულები აბორტის გასაკეთებლად სხვა ქვეყანაში გადადიოდნენ, ხოლო აბორტის გართულებების მკურნალობა თავიანთ ქვეყანაში უწევდათ. ეს იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ აბორტის აკრძალვას შედეგი არ მოაქვს.

**— ამის მიუხედავად, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი აბორტის სრულ აკრძალვას ითხოვს. თქვენი აზრით, გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

— აბორტი კი არ უნდა აიკრძალოს, არამედ ქვეყანაში ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რაც აბორტის რაოდენობას შეამცირებს — ეს არის ახალგაზრდების და მოზარდების რეპროდუქციული თვალსაზრისით განათლება და თავად აბორტთან დაკავშირებული საკითხების სწორი საკანონმდებლო რეგულაცია. დასავლური მიდგომებით, დაფეხმძიმებიდან 5-6 კვირამდე მუცლადმყოფს — **ემბრიონს** უწოდებენ; 5-დან 9 კვირამდე — **ჩანასახს**, ხოლო 9 კვირის ზევით — **ნაყოფს.** 12 კვირის შემდეგ ორსულობის თვითნებურად შეწყვეტას კანონი კრძალავს.

**მთავარი ის არის, რომ სამედიცინო დაწესებულებაში აბორტის გასაკეთებლად მისულ ორსულს ვინ დახვდება და ვინ აუხსნის, თუ რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს ფეხმძიმობის შეწყვეტით.**

ხშირად ქალს მშრალად ეუბნებიან, რომ მოსაფიქრებლად 5 დღე ეძლევა (ადრე მოსაფიქრებლად 3 დღე იყო განსაზღვრული). საქმე იმაშია, რომ აბორტის გაკეთებას, თუ ის სპონტანური და სიცოცხლისთვის საშიში არ არის — არცერთი სახელმწიფო პროგრამა და სადაზღვევო კომპანია არ აფინანსებს; ხოლო აბორტის მავნე გავლენის შესახებ ორსულისთვის ახსნა იმავე გინეკოლოგს ევალება, რომელიც აბორტის გასაკეთებლად ფინანსურად არის დაინტერესებული, ვინაიდან პროცედურის ღირებულება ჯიბიდან გადახდას ექვემდებარება დაწესებულების შიდა სტანდარტით. ამიტომ გინეკოლოგს არა აქვს მოტივაცია, ორსულს აბორტის გაკეთება გადააფიქრებინოს.

ალბათ, აჯობებს, ახსნა-განმარტების ფუნქცია რელიგიურ პირს ან სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ფსიქოლოგს დაეკისროთ, რომლებიც ფინანსურად არ იქნებიან ამ სერვისზე დამოკიდებულნი. გოგონას სწორი სექსუალური განათლება იმ ასაკიდან უნდა მიეცეს, როცა ის პირველად ამჩნევს სქესთა შორის განსხვავებას. როცა საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული, მშობლისთვის კითხვების დასმას იწყებს, თუმცა, ჩვენ დროში იშვიათობაა, ბავშვმა სწორი რეპროდუქციული განათლება სკოლიდან ან ოჯახიდან მიიღოს. **ადრე თუ გვიან ხომ ბავშვი თანატოლებისგან მაინც იგებს ინფორმაციას ორსულობასთან და ორსულობის შეწყვეტის საშუალებებთან დაკავშირებით და, სჯობს, ეს ინფორმაცია კანონით დარეგულირებული საშუალებებით და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ფსიქოლოგებისგან მიიღონ.**



*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1-2, 3-24

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?



## სვიმონ მასხარაშვილი:

### 1715 წელს ირანში რუსეთის ელჩი არტამონ ვოლინსკი პეტრე პირველს სწერდა — ქართველთა შორის არცერთი ვაჭარი არ მოიპოვება და საქართველოში ვაჭრობა უცხოტომელების ხელშიაო!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი დავით აღმაშენებლის საგარეო, უსაფრთხოებისა და საფინანსო პოლიტიკის საკვანძო საკითხებზე გვესაუბრება და აცხადებს, რომ საქართველოს უდიდესი მეფის ურთიერთობა, როგორც მულიდ ასასინთა სექტასთან, ისე ტამპლიერებთან, ხელახლა შესწავლასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს:***

— **დავით აღმაშენებლის** საქართველოში ესპანურ კორტესებზე 100 წლით ადრე და ბრიტანულ პარლამენტზე თითქმის 200 წლით ადრე უკვე არსებობდა არჩევითი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო — **დარბაზი.** ამ ტერმინით მოქმედი სახელმწიფო ორგანო ქართულ წყაროებში უკვე მე-10 საუკუნიდან ჩანს. მე-12 საუკუნის მიწურულს, ანუ თამარის ეპოქაში, **დარბაზის** უფლებები იმდენად გაიზარდა, რომ მეფეს მისი დასტურის გარეშე არ შეეძლო თანამდებობებზე ვინმეს დანიშვნა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება, ომის გამოცხადება და ზავის მიღება.

დავით აღმაშენებლის დროიდან დარბაზი შედგებოდა სასულიერო პირთაგან, აზნაურთაგან და უაზნო მკვიდრთაგან. უაზნო მკვიდრთა შორის იგულისხმებოდნენ ქალაქების წარმომადგენლები და არჩეული კაცები ისეთი რეგიონებიდან, რომლებიც არ ცნობდნენ არისტოკრატულ ტიტულებს. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, დარბაზი ამტკიცებდა თვით მონასტრების ტიპიკონებსაც კი. ეს მეტყველებს დარბაზის წევრთა, ანუ დარბაისელთა განათლებისა და სულიერების უმაღლეს დონეზე.

**— როგორ მოქმედებდა დავით აღმაშენებლის უშიშროების სამსახური, ანუ „მსტოვართა რაზმი“?**

— როგორც დავით აღმაშენებლის ცხოვრების სავარაუდო ავტორი — **არსენ იყალთოელი** წერს, დავითის „მსტოვრების“ მოქმედების შესახებ მეფისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდა არავინ იცოდა. მაგრამ ვიცით, რომ „მსტოვართა ინსტიტუტი“ მოქმედებდა როგორც ქვეყნის გარეთ, ისე — შიგნით და ახორციელებდა როგორც სპეცოპერაციებს, ასევე წარმოადგენდა ერთგვარ საინფორმაციო ბანკს. მაგალითად, ვიღაც გლეხი საწოლში მეუღლეს ეუბნება, რომ რაოდენ კარგი იქნებოდა, მათი სოფლის სიახლოვეს ახალი კონსტრუქციის ხიდი აგებულიყო. რამდენიმე დღეში ასეთ ადამიანს მიაკითხავდნენ ჩინიანნი, მიიყვანდნენ შესაბამის დარგობრივ უწყებაში, შესაძლოა, თვით მეფესთანაც კი და შესთავაზებდნენ, შეედგინა ამ ხიდის პროექტი და წაძღოლოდა მის მშენებლობას. ცხადია, ეს ხდებოდა მაშინ, თუ ამ გლეხის ნააზრევი ნიჭიერი და გონივრული იყო. ამის შემდეგ ამ გლეხის წინსვლას უკვე წინ ველარაფერი დაუდგებოდა, გარდა მისი შეცდომებისა. ერთი სიტყვით, **„მსტოვართა ინსტიტუტი“** აგროვებდა ინფორმაციას ყველაზე და ყველაფერზე.

ცხადია, ამ უწყების მთავარი დანიშნულება იყო სახელმწიფოსთვის შექმნილი საფრთხეების პრევენცია, თუმცა, პირადად **„მსტოვრები“** ქვეყნის შიგნით არავის აპატიმრებდნენ და ადამიანებთან უშუალო კონტაქტში არ შედიოდნენ. დავითის „მსტოვრებისა“ და, ზოგადად, მისი ფარული ინსტიტუტების კვალი საქართველოს ფარგლებს გარეთაც იკითხება. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ საერთოდ არ ფიქსირდება არავითარი კონფლიქტი ქართველებსა და შიიტ მულიდთა სექტას — სპარსელ ასასინებს შორის, რომელთა მთავარი რეზიდენცია ალამუთის ციხე იყო. 1092 წელს ასასინებმა მოკლეს თურქ-სელჩუკთა დიდვეზირი **ნიზამ ალ-მულქი** და, სავარაუდოდ, სელჩუკთა სულთანი **მალიქ-შაჰიც...** ამან გამოიწვია სელჩუკთა იმპერიის დაშლა და გზა გაუხსნა საქართველოს აღზევებას. სამი წლის შემდეგ, 1095 წელს, დავითის მამიდის შვილობილმა და დავითის მამის **გიორგი მეორის** თანაიმპერატორმა **ალექსი კომნენოსმა** შთააგონა რომის პაპ **ურბან მეორეს,** რომ წამოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა თურქ-სელჩუკთაგან წმინდა მიწების გასათავისუფლებლად. სწორედ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებიდან ორი წლისთავზე, დაახლოებით 1097 წელს, **დავით აღმაშენებელმა** თურქ-სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, მაგრამ სელჩუკები უკვე იმდენად იყვნენ ჩათრეული ჯვაროსნულ ომებში, რომ დავითის ამ ნაბიჯს სიტყვიერი პროტესტიც კი ვერ დაუპირისპირეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავითის ურთიერთობები ჯვაროსანთა მეფე **ბოლდუინ მეორესთან** და ტაძრეულთა, ანუ ტამპლიერთა ორდენთან. **ერეკლე მეორის** შვილიშვილის **იოანე ბატონიშვილის** ხელთ არსებული დოკუმენტაციით, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულად ითვლება, ირკვევა, რომ 1118-1119 წლებში იერუსალიმის მეფე **ბოლდუინ მეორე** ფარულად იმყოფებოდა **დავით აღმაშენებელთან** და დამატებით შემწეობას სთხოვდა თურქ-სელჩუკთა ახალ ლიდერთან — **ილ-ღაზთან** ბრძოლაში...

**— როგორც ცნობილია, ტამპლიერებსა და დავით აღმაშენებელს შორის სერიოზული და ღრმა კავშირები იყო. რას იტყვით ამის შესახებ?**

— დავით აღმაშენებელსა და ტამპლიერებს შორის არსებული ღრმა კავშირის უტყუარი მტკიცებულებაა 1155 წლით დათარიღებული **იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დიდი სვინაქსარი,** რომელიც ქართველმა მეცნიერმა **ელენე მეტრეველმა** გამოსცა. ეს სვინაქსარი წარმოადგენს გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელს. როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკური დოგმატით, კატეგორიულად იკრძალება ლოცვაში გარდაცვლილი ადამიანის, თუნდაც მშობლის ან შვილის მოხსენიება მაშინ, თუ ასი პროცენტით არ ხარ დარწმუნებული მის ერთმორწმუნეობაში. იერუსალიმის ქართული დიდი სვინაქსარი სავსეა გარდაცვლილ ტამპლიერთა სახელებით, რომლებსაც ლოცვებში ქართველი ბერები იხსენიებდნენ. ეს ქართულ ეკლესიასა და ტამპლიერთა ორდენს შორის არსებული სრული ევქარისტული კავშირის უტყუარი მტკიცებულებაა. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდება 1054 წლიდან 100 წლის შემდეგ, 1155 წელს. მოგეხსენებათ, 1054 წლის ივლისში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა **მიხეილ კეკულარიამ** და რომის ნუნციუსმა კარდინალმა **ჰუმბერტმა** ერთმანეთი დაწყევლეს და განკვეთეს.

საქართველოში ბაგრატიონთა გვარის დაწინაურების დღიდან არსებობდა აზნაურთა განსაკუთრებული კატეგორია, ჩაკეტილი საძმო, რომელსაც ერქვა **„ტაძრეული აზნაურები“.** ქართველი ტაძრეული აზნაურები წარმოადგენდნენ მეფსალმუნე მეფე **დავით წინასწარმეტყველისა** და მისი ვაჟის **სოლომონ ბრძენის** მემკვიდრეთა ტაძრის მცველ აზნაურებს, ანუ დავით აღმაშენებლის უახლოესი წრე — ქართველი ტაძრეული აზნაურები და ევროპელი ტამპლიერები ერთი და იმავე სახელწოდებითა და მისიით მოქმედებდნენ.

**— თუმცა, მათ შორის სხვაობაც იყო!**

— სხვაობა ის გახლდათ, რომ ევროპელი ტამპლიერები, ანუ ტაძრეულები, ბერად აღკვეცილი აზნაურები იყვნენ, თუმცა ტამპლიერები, როგორც ბერები, აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ სხვა ევროპელი ბერების ცხოვრების წესისგან და მსგავსება მხოლოდ ქართველ ბერ-მონაზვნებთან ჰქონდათ! კერძოდ, ქართველი ბერ-მონაზვნები — **თორნიკე ერისთავის, საბა მტბევარის, ეზრა ანჩელის, გიორგი ჭყონდიდელის** და შემდგომდროინდელი ყველა კახელი სასულიერო იერარქების მსგავსად, სამხედროებიც იყვნენ! როგორც დავით აღმაშენებლის ხელით დაწერილი და შედგენილი შიო-მღვიმის მონასტრის ტიპიკონიდან ჩანს, შიომღვიმელ ბერებს უფლება ჰქონდათ, ევაჭრათ. ტამპლიერთა ორდენიც ევროპაში ერთადერთი ბერ-მონაზვნული ორგანიზაცია იყო, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწეოდა.



ბოლდუინ მეორე



ტამპლიერები

ტამპლიერების სახელს უკავშირდება გოთიკა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს შენობების არკებითა და არკ-ბუტანებით შენება. სწორედ არკებითა და არკ-ბუტანებით არის აშენებული **იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ბაგრატი, სვეტიცხოველი, ალავერდი და გელათი.** გელათის შემხედვარე შუა საუკუნეების ევროპელი მოგზაურები გაოგნებას ვერ მალავდნენ და ამბობდნენ — გოთიკის საინჟინრო საფუძვლები სწორედ საქართველოდან იწყებაო!

1314 წელს საფრანგეთის მეფე **ფილიპე მეოთხე ლამაზმა** ტამპლიერებს ცილი დასწამა და ორდენი გაანადგურა. ამის პასუხად საქართველოს მეფემ **გიორგი ბრწყინვალემ** კათოლიკურ ეკლესიასთან ევქარისტული კავშირი გაწყვიტა და კათოლიკეებს ქართულ ეკლესიაში ლოცვა აუკრძალა! შესაბამისად, პაპი იძულებული გახდა, 1318 წელს საეპისკოპოსო ცენტრი სმირნადან თბილისში გადმოეტანა, რათა საქართველოში მოღვაწე კათოლიკეებს თავიანთ ეკლესიაში ლოცვის საშუალება მისცემოდათ. დავით აღმაშენებლის ურთიერთობა, როგორც ასასინებთან, ასევე ტამპლიერებთან ხელახლა შესწავლასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს!

**— საერთოდ, ტამპლიერები ფეოდალურ დასავლეთ ევროპაში ცნობილი არიან, როგორც საბანკო საქმისა და უნაღდო ანგარიშსწორების პიონერები!**

— დიახ, ასეა და ტამპლიერებს ქართულ სამყაროსთან ამ მხრივაც ძალიან დიდი კავშირი ჰქონდათ. მაგალითად, მე-13 საუკუნის თბილისი, რომელიც ჯალალედინისა და რუსუდანის მიერ უკვე სამჯერ იყო იავარქმნილი და, ფაქტობრივად, თავიდან შენდებოდა, 1258-1259 წლებშიც კი, სახელგანთქმული გახლდათ უძლიერესი საბანკო სახლებით, ანუ ორთაღებით. ქართული ბანკებიდან, ანუ ორთაღებიდან, ერთ-ერთმა სწორედ ამ პერიოდში **კახა გამრეკელთორელს** კრედიტად მისცა 60 ათასი თეთრი, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 80 მილიონი დოლარია. საინტერესოა, რომ **კახა თორელმა** თავისი პროცენტებით 59 ათას 400 თეთრის დაფარვა ერთ წელიწადში შეძლო.

საინტერესოა ერთი ფაქტი — დავით აღმაშენებლის სიცოცხლის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული, რუსუდანის ეპოქამდე, ანუ დიდი საქართველოს დაცემამდე, ქართულ ფულზე კვლავაც **„თეთრი“** ეწერა. მიუხედავად იმისა, რომ ფულს კვლავაც „თეთრი“ ერქვა, დავითის ზეობიდან რუსუდანამდე, საქართველო ვერცხლის მონეტის ნაცვლად, სპილენძის ფულს ჭრიდა. **დავითმა ქართული ეკონომიკის მიმართ საერთაშორისო ნდობა იმდენად გააძლიერა, რომ ქართულ ფულს განძის დატვირთვა მთლიანად დაუკარგა და სრულად გადააქცია ეროვნული პროდუქტის ეკვივალენტად.** დავითის დროს ქაღალდის ფულის ბეჭდვის ტექნოლოგია რომ ყოფილიყო, ქართული „თეთრი“ უსათუოდ ქაღალდის ფული იქნებოდა. სხვათაშორის, საინტერესოა ის, რომ ჯვაროსნებიც და ასასინებიც იმ პერიოდში სპილენძის მონეტებზე გადავიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობდა ერთიანი მსოფლიო ფინანსური სისტემა, რომლის ჰეგემონიც **დავითის საქართველო** იყო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






# წმინდა გაბრიელ ბერი მუდმივად შეგვახსენებს, რომ ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია!

***ცნობილი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ნებისმიერი პათოლოგიის კერის გაჩენისთანავე ორგანიზმი საგანგაშო შეტყობინებებს გვიგზავნის და შველას ითხოვს. მთავარია, ეს SOS-სიგნალები დროულად და სწორად ამოვიცნოთ და შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# ტკბილისა და ნახშირწყლების ჭარბად მირთმევა ორგანიზმს კალციუმს აცლის, რაც წნევის მატებასა და გულისცემის გახშირებას იწვევს!

— ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია მინერალების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების გარეშე. ყველა მათგანს ორგანიზმში თავისი ფუნქცია აკისრია. სასიცოცხლოდ აუცილებელ ამ ნუტრიენტებს ძირითადად საკვებიდან ვღებულობთ, მაგრამ ის შეიძლება მივიღოთ საკვები დანამატის სახითაც, რომლებიც სააფთიაქო ქსელში ფართოდ არის წარმოდგენილი. ბევრი ამ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს საკვები დანამატის სახით საერთოდ არ ღებულობს, რადგან მიაჩნია, რომ ისინი სხვადასხვა საკვების მეშვეობით ორგანიზმში ისედაც მოხვდება და მათი ზედმეტად მიღება აბსოლუტურად უსაფუძვლოა. მაგრამ მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკვების ძირითადი მასა, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, რაფინირებული და სანახევროდ გადამუშავებულია და მასში უამრავი ვიტამინი და სასარგებლო მიკროელემენტი დაკარგულია.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თუნდაც ნებისმიერი ხილის წვენი, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე თერმულად არის დამუშავებული. ასეთ პროდუქტში ვიტამინების არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უფრო მეტიც, ყველა ასეთი პროდუქტი დამტკბარია შაქრით, ან შაქრის შემცველებით, რაც ცალკე უბედურებაა... სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანების უმრავლესობას სასიცოცხლოდ აუცილებელი ვიტამინების — D, B1 და K-ს ნაკლოვანება აქვს. იშვიათია ადამიანი, რომელსაც მაგნიუმი და თუთია ნორმაში ჰქონდეს. ბევრი, ალბათ, იტყვის — ანალიზებით ყველაფერი ნორმაში მაქვსო! მაგრამ ამ დროს არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ანალიზების უმეტესობა ვიტამინებისა და მიკროელემენტების შემცველობას მხოლოდ სისხლში აჩვენებს. არადა, მთავარია, იმის განსაზღვრა, თუ როგორ არის ეს ნუტრიენტები წარმოდგენილი უჯრედში. ასე, მაგალითად, მაგნიუმის მხოლოდ 1 პროცენტია სისხლში, ხოლო 99 პროცენტი — უჯრედის შიგნითაა, რასაც ყურადღებას არ ვაქცევთ. გარდა ამისა, შესაძლოა, D ვიტამინი, ანალიზების მიხედვით, ნორმაში იყოს, მაგრამ როგორც არსებობს ინსულინრეზისტენტობა, ისე არსებობს D ვიტამინის მიმართ რეზისტენტობაც, რაც იმას ნიშნავს, რომ D ვიტამინი შესაძლოა, ნორმაში გვქონდეს, მაგრამ უჯრედები ვერ ითვისებდნენ და მის დეფიციტთან გვქონდეს საქმე.

**— თქვენ საგანგებოდ ისაუბრეთ მაგნიუმზე, რომელიც სისხლში არ ჩანს და ამდენად, მისი დეფიციტის ერთბაშად განსაზღვრა რთულია. რა პათოლოგიებს იწვევს მაგნიუმის ნაკლებობა?**





— ორგანიზმისთვის D ვიტამინს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და 27 ათას ფუნქციაში მონაწილეობს. D ვიტამინი უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალებაა. ძალიან ბევრი ადამიანი D ვიტამინს ღებულობს, მაგრამ ამის მიუხედავად, შედეგი არა აქვს — ვერც ძვლები უმაგრდება და ვერც იმუნიტეტი უძლიერდება. საქმე ის გახლავთ, რომ D ვიტამინი მაგნიუმის გარეშე არ მუშაობს და არ შეითვისება! ჩემი **კოლეგებიც კი დიდად ცდებიან, როდესაც ასაკოვან ადამიანს კალციუმისა და D ვიტამინის კომპლექსს უნიშნავენ.** თუ 50 წელს გადაცილებული ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ღებულობს ისეთ პრეპარატს, რომელშიც მხოლოდ D ვიტამინი და კალციუმი შედის, მას შესაძლოა, ინფარქტი ან ინსულტი განუვითარდეს!

**— რა გაძლევთ ასეთი სკანდალური განაცხადის საფუძველს?**

— D ვიტამინის ფუნქციაა, სისხლში კალციუმის კონცენტრაცია გაზარდოს, მაგრამ სად უნდა წავიდეს ჭარბი კალციუმი? ცხადია, ის უნდა მოხვდეს მხოლოდ ძვლებში, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს კალციუმი დაილექოს სისხლძარღვებზე, წარმოიქმნას ათეროსკლეროზული ფოლაქები, სისხლძარღვის სანათური შევიწროვდეს, რაც თრომბის გაჩენის, ხოლო შემდგომ ინფარქტის ან ინსულტის განვითარების საშიშროებას ზრდის? ამიტომაც არსებობს K2 ვიტამინი... იმ კალციუმს, რომელიც D ვიტამინმა სისხლში მოახვედრა, K2 ვიტამინი პირდაპირ გააქანებს ძვლებისკენ, ხოლო ზედმეტ კალციუმს ამოიღებს თირკმლებიდან, სისხლძარღვების კედლებიდან და სახსრებიდან. ამიტომ, თუ გვინდა, D ვიტამინისგან სიკეთე მივიღოთ, ის აუცილებლად K2 ვიტამინთან ერთად კომპლექსში დავლიოთ! მაგრამ ესეც არ იქნება საკმარისი, თუ ჩვენ საჭირო რაოდენობით მაგნიუმს არ მივიღებთ, რომელიც D ვიტამინის ათვისებას უწყობს ხელს. ბევრ ადამიანს აღენიშნება მაღალი არტერიული წნევა, რომელსაც ე.წ. დამარეგულირებელი პრეპარატები რთულად იმორჩილებს. ასეთი წნევის მიზეზები ხშირად უცნობია და მას ესენციური ჰიპერტენზია ეწოდება.

**„თუ მაღალი არტერიული წნევა გვაწუხებს, მისი გამომწვევი მიზეზი უცნობია და წნევის მარეგულირებელ წამლებს ძნელად ემორჩილება, აუცილებლად მივიღოთ დღეში 5-10 ათასი ერთეული D ვიტამინი 400 ერთეულ მაგნიუმის გლიცინატთან ერთად!“**







## კვირგვინოსნები

**ზაზა ფაჩულია**
*ყოფილი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი და NBA-ს სამგზის გამარჯვებული*



მე ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო — მაშინ NBA-ში, უკვე **„ატლანტა ჰოუქსში“** ვთამაშობდი და **კახა კალაძე** მაშინ **„მილანში“** იყო. მახსოვს, მის თამაშზე მეგობრებთან ერთად წავედი, როცა „მილანმა“ **ჩემპიონთა ლიგა მოიგო.** ნატვრა მქონდა იმისი, რომ **მეც ასეთ სიტუაციაში ვყოფილიყავი, რომ ჩემი ქვეყანა გამეხარებინა.** როცა ასარჩევად მქონდა საქმე, თუ რომელ გუნდში უნდა გავსულიყავი, ზუსტად ეს ინსპირაცია იყო გადამწყვეტი იმაში, რომ **„გოლდენ სთეით უორიორსი“** ავირჩიე.

ვფიქრობ, **რაც ხვიჩამ გააკეთა მომავალი თაობებისთვის,** ისეთივე ინსპირაციული იქნება, **რაც მე კახასგან მივიღე,** რისთვისაც მადლიერი ვარ.

„რეზონანსი“

**ზურაბ მანჯავიძე**
*მომღერალი*



ჩემი უფროსი შვილის **ბიორგის** და მისი ულამაზესი მეუღლის **ქეთევან ბურჯანაძის** პირველი შვილი დაიბადა, რომელიც **9-წლიანი ოჯახური ურთიერთობის შემდეგ მოევლინა ქვეყანას.** წარმოუდგენელია იმ განცდის გადმოცემა, რაც მისი დანახვისას დამეუფლა! **ეს არაფერს ჰგავს, ვერაფერს შეადარებ, ცრემლები მომდიოდა და ვსლუკუნებდი.** ყველას მოვუწოდებ, **რაც შეიძლება ბევრი შვილი ჰყავდეთ, რომ მერე მათზე მეტი შვილიშვილი ეყოლოთ.** ეს ისეთი განცდაა, ამაზე მეტი ბედნიერება არ არსებობს!

„სარკე“

**მალხაზ ქვრივიშვილი**
*მსახიობი*



**სისხლისსღვრას სიკეთე არასდროს მოაქვს,** საუკუნეების მანძილზე **კაცობრიობამ ეს რატომ ვერ ისწავლა?**

„კვირის პალიტრა“

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



**დედაჩემი შოკირებულია!** ვერ წარმოიდგენდა, მე თუ **კულინარიაში მოვსინჯავდი ძალებს.**

„სარკე“

# «ტუჩის კუთხეში ნახეთქები იმის უტყუარი ნიშანია, რომ B12-ვიტამინი გვაკლია!»






## „თუ გვინდა D ვიტამინისგან სიკეთე მივიღოთ, აუცილებლად K2 ვიტამინთან ერთად კომპლექსში დავლიოთ!“







## „D ვიტამინი მაგნიუმის გარეშე არ მუშაობს და არ შეითვისება!“




## „თუ 50 წელს გადაცილებული ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ღებულობს ისეთ პრეპარატს, რომელშიც მხოლოდ D ვიტამინი და კალციუმი შედის, მას შესაძლოა, ინფარქტი ან ინსულტი განუვითარდეს!“

**— რა უნდა გავაკეთოთ ასეთ დროს?**

— თუ მაღალი არტერიული წნევა გვაწუხებს, მისი გამომწვევი მიზეზი უცნობია და წნევის მარეგულირებელ წამლებს ძნელად ემორჩილება, აუცილებლად მივიღოთ დღეში 5-10 ათასი ერთეული D ვიტამინი 400 ერთეულ **მაგნიუმის გლიცინატთან** ერთად. მაგნიუმის გლიცინატი გარდა იმისა, რომ წნევას დაბლა წევს, ნერვულ სისტემასაც ამშვიდებს, ხსნის სტრესს და ხელს უწყობს ძილს. **მაგნიუმს დიდი რაოდენობით შეიცავს გოგრის თესლი, მწვანე სალათის ფურცლები და სეზამის თესლი.** მენსტრუაციის დროს, ვისაც ტკივილი ან სპაზმი აწუხებს, მაგნიუმი უნდა მიიღოს.

**— ბევრ ადამიანს ფეხის თითებში ხშირად ჩხვლეტის შეგრძნება აქვს ანდა ფეხის თითები უბუჟდება, ეს რას ნიშნავს?**

— ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, B1 ჯგუფის ვიტამინის ნაკლებობა აქვს. B1 ვიტამინი მოქმედებს ყველაფერზე, რასაც ნერვებთან აქვს კავშირი. მისი ნაკლებობისას ზიანდება სხეულის ყველაზე გრძელი ნერვის ბოლოები. სწორედ ეს ბოლოები მთავრდება ფეხის თითებთან. შემდეგ ეს ჩხვლეტა და დაბუჟება გადადის ტერფში და იწყება მწველი, აუტანელი ტკივილები, რაც უკვე პერიფერიული ნეიროპათიაა. ეს პათოლოგია ყველაზე ხშირად დიაბეტიანებს ემართებათ. მდგომარეობა უარესდება ღამით და მიზეზი სისხლის მიმოქცევის დარღვევა გახლავთ. B1 ვიტამინის ნაკლებობა ვითარდება მაშინ, როცა ადამიანი ჭარბად მოიხმარს ტკბილეულს და ნახშირწყლებს. ყველაზე ბევრი B1 ვიტამინი ღორის ხორცშია. მას საკმარისი ოდენობით შეიცავს კვერცხი, მზესუმზირა, საქონლის ან ქათმის ღვიძლი... **ვისაც ფეხის თითების დაბუჟება, ჩხვლეტა ან წვა აწუხებს, მან B1 ვიტამინი უნდა მიიღოს, მაგრამ სასურველია, რომ ეს ვიტამინი იყოს ცხიმში ხსნადი, ანუ ბენფოტიამინი.**

**— რას გვეუბნება ნახეთქები ტუჩის კუთხეში?**

— ტუჩის კუთხეში ნახეთქები იმის უტყუარი ნიშანია, რომ B12 ვიტამინი გვაკლია. სხვათაშორის, ზოგიერთ ადამიანს პირის ღრუში ხშირად უჩნდება წყლულები. ესეც B12 ვიტამინის ნაკლებობაა... B12 ვიტამინი იცავს პირის ღრუს ლორწოვანის გარსს. როცა ეს დაცვა არ არსებობს, ლორწოვანის გარსი იშლება და წყლული ვითარდება. B12 ვიტამინი მონაწილეობს ერითროციტების სინთეზში და მისი დეფიციტი სისხლნაკლებობას, ანუ ანემიას იწვევს. B12 ვიტამინის ნაკლებობა ასევე იწვევს ნერვული სისტემის შეუქცევად დაზიანებას. B12 ვიტამინი დიდი რაოდენობით არის წითელ ხორცსა და ღვიძლში. ის, რომ ასაკოვანმა ადამიანებმა წითელი ხორცი საერთოდ არ უნდა მიიღონ, სრული აბსურდია. გადამეტებული, რა თქმა უნდა, არაფერი ვარგა, თუმცა, წითელი ხორცი მოხუცებმა თუნდაც კუნთოვანი მასის მოსამატებლად აუცილებლად უნდა მიიღონ. მოგეხსენებათ, ასაკის მატებასთან ერთად, სხეულის კუნთოვანი მასაც 45-50 პროცენტით მცირდება.

**— ასაკოვანი ადამიანები ხშირდ უჩივიან ტკივილებს წელის არეში, ასევე მენჯის ძვლის მიდამოებში... ეს რასთან არის დაკავშირებული და რა უნდა გავაკეთოთ ასეთ დროს?**

— ასეთ დროს D ვიტამინის მიმართ რეზისტენტობას აქვს ადგილი. როცა ასაკში ადამიანს ზემოხსენებული ტკივილები აღენიშნება, ყოველდღე უნდა მიიღოს 10 ათასი ერთეული D ვიტამინი, ოღონდ აუცილებლად K2 ვიტამინთან ერთად კომპლექსში.

**— ბევრს აღენიშნება კუნთების სისუსტე, რით ახსნით ამ პათოლოგიას?**

— ხშირად კუნთების სისუსტის მიზეზი E ვიტამინის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, რომელიც კუნთების ატროფიას იწვევს. E ვიტამინი ეხმარება ორგანიზმის მიერ ჟანგბადის ათვისებას. ამიტომაც არის, რომ მწვერვალზე, სადაც ალპინისტები ადიან, ხშირად პოულობენ E ვიტამინის ცარიელ ბოთლებს. მწვერვალზე ჟანგბადი გაიშვიათებულია, უჯრედებისა და, უპირველეს ყოვლისა, გულისა და ტვინისთვის ჟანგბადის მიწოდება გაძნელებულია, რა დროსაც E ვიტამინი მართლაცდა მხსნელია. **ბევრს გულისცემა ისე აქვს გახშირებული, გულისცემის ხმა ყურშიც კი ჩაესმის. ეს პათოლოგია კალიუმის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული.**

საერთოდ, ტკბილისა და ნახშირწყლების ჭარბად მირთმევა ორგანიზმს კალიუმს აცლის, რაც წნევის მატებასა და გულისცემის გახშირებას იწვევს! ასეთ დროს ძალიან ბევრი კალიუმი გვჭირდება, დაახლოებით 4700 მილიგრამი. ამ რაოდენობის კალიუმს 10 ჩაის ჭიქა მწვანილი შეიცავს, მაგრამ ამდენ მწვანილს არავინ ჭამს, რის გამოც ეს დანაკლისი საკვები დანამატებით უნდა შევივსოთ.

**— ასაკში სმენის დაქვეითებას რა იწვევს?**

— ასაკში სმენის დაქვეითებას სწორედ B12 ვიტამინის ნაკლებობა იწვევს, რომელიც სმენის ნერვს კვებავს.

**— ხშირად ბავშვები მიწას ან ცარცს ჭამენ, რატომ?**

— ეს უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებულია კალციუმისა და რკინის ნაკლებობასთან. სხვათაშორის, ვისაც რკინა აკლია, მას ყინულის ჭამის მოთხოვნილებაც აქვს. ზედმეტი რკინა ორგანიზმს გარეთ ვერ გამოაქვს, ამიტომ ის საკვები დანამატის სახით არ უნდა მივიღოთ. ორგანიზმის მიერ ასათვისებელი რკინა წითელ ხორცსა და ღვიძლშია. მოკლედ, კარგად დავაკვირდეთ ჩვენი სხეულიდან მომდინარე შეტყობინებებს. როცა ჩვენ თითოეული ამ სიგნალის მიზეზი და წარმომავლობა გვეცოდინება, მერწმუნეთ, პროფესიონალ და გამოცდილ ექიმთან დროული ვიზიტის შემთხვევაში, ჩვენს ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ შეექმნება! **გვახსოვდეს, რომ რალაც პათოლოგიის კერის გაჩენისთანავე ორგანიზმი საგანგაშო შეტყობინებებს გვიგზავნის და შველას ითხოვს. მთავარია, ეს SOS-სიგნალები, დროულად და სწორად ამოვიცნოთ და შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიული ჩოხელი**
*ჯაზ-მომღერალი*



ჩემი ცხოვრება ნამდვილად სიზმარს ჰგავდა. წარმოიდგინეთ, **მკლავდნენ კიდეც — ნაჯახი ჩამარტყეს თავში, ერთადერთი ქალიშვილი გარდამეცვალა,** მაგრამ ცხოვრებამ მაინც ვერ დამაგდო. **მის საფლავზე არ მივდივარ, რადგან იმ ქვეყანაშია დასაფლავებული, სადაც არასოდეს დავდგამ ფეხს.**

„თბილისელები“

**მარქოზ მეფარიშვილი**
*მომღერალი*



ანგარიშს რომ ვხსნი და ვხედავ, **თანხა მილიმის, თან მეუბნება — დამხარჯე, მარკოო,** მაშინ ნამდვილი ომი იწყება. **ჩემს თავს ვებრძვი, რომ არ დავხარჯო,** ძალიან რთული ბრძოლაა და იმედი მაქვს, რომ ოდესმე გამომივა მოგება.

„თბილისელები“

**ანა ხაჩიძე**
*შაბათის შოუს მსახიობი*



რის გამოც თავს ვიკავებ ურთიერთობებისგან, არის ის, რომ **შიში მაქვს, ვიღაცას რამე არ ვაწყენინო.** ალბათ, ეს უფრო კომპლექსია, მაგრამ **რატომ მაქვს ეს შიში,** არ ვიცი.

„სარკე“

**ლიკა შუკაკიძე**
*მსახიობი*



უახლოესი ადამიანის **მეხსიერებიდან ამოშლაც** კი ძალიან სწრაფად შემიძლია, თან ისე, რომ **აღარასდროს გამახსენდება.** შეიძლება, ერთ წამში ისე ავფეთქდე, **გარშემო ყველაფერი დავანგრიო.**

„თბილისელები“

**თაკო კორინთელი**
*ტელეწამყვანი*



დარწმუნებული ვარ, რომ **50 წლის ასაკშიც ზუსტად ასეთი ვიქნები.** ვერ წარმომიდგენია, რამე შეზღუდვები დავუწესო ჩემს თავს.

„თბილისელები“

# ტყუპები: 21 მაისი – 21 ივნისი

*მიმდინარე კვირას 16-21 ივნისს დაბადებული ტყუპები შედიან ზოდიაქოს მესამე, ბოლო დეკადაში, რომელიც ხშირად გამოირჩევა განსაკუთრებული კრეატიულობით. ამ პერიოდში, 22 ივნისიდან, ტყუპებს მომდევნო — კირჩხიბის ნიშანი მოსდევს, რომელიც ადამიანებს უფრო ემოციურ და გულისხმიერ პიროვნებებად აქცევს.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 21 ივნისი; **კირჩხიბი:** 22 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 22 აგვისტო; **ქალწული:** 23 აგვისტო — 22 სექტემბერი; **სასწორი:** 23 სექტემბერი — 23 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 24 ოქტომბერი — 23 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 24 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



ლოვნების დამსახურებული მოღვაწე **ვალერიან სიდამონ-ერისთავი.** 1922 წელს მისი გაფორმებული იყო კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლი „ცხვრის წყარო" და 1923 წელს ზაქარია ფალიაშვილის „დაისი". გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1909 წლის 20 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ქსენია სიხარულიძე.** შეაგროვა და გამოსცა უნიკალური ქართული ფოლკლორული ნიმუშები. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1928 წლის 20 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, ქართველი მსმენელის მიერ „საქართველოს ხმად" აღიარებული, სახალხო მოლექსე და მასწავლებელი, საქართველოს სახალხო არტისტი **ჰამლეტ გონაშვილი.** ტრაგიკულად გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1961 წლის 20 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტის **ბადრი ბეგალიშვილის** ვაჟი **ზურაბ ბეგალიშვილი.** მიღებული აქვს საქართველოს კინოაკადემიის პრიზი „ნატო". გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1840 წლის 21 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს „ბულბული" — **აკაკი წერეთელი.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.

### ტყუპების ნიშნით დაიბადნენ:

**1950 წლის 16 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ინდური კინოს ვარსკვლავი,

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 16 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე. ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში 22.04 საათზე. ამოდის 23.23 საათზე, ჩადის 09.08 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 01.21 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.32 საათიდან 22.10 საათამდე. **ტენდენციები:** კარმული გამოცდის დღეა. შესაძლებელი იქნება ინტრიგების დაძლევა, ცნობიერების გაფართოება. პარტნიორულ ურთიერთობებს გაალამაზებს მოულოდნელი მგზავრობა, გართობა. კარგია სუნთქვითი ვარჯიშები, გულსისხლძარღვოვანი სისტემის მკურნალობა, ცურვა, საკვებ რაციონში ხილის და ბოსტნეულის მეტად გამოყენება. ნუ ინერვიულებთ, დაუგდეთ ყური უფროსი თაობის ქალბატონთა რჩევებს. არ ვარგა დასაძინებელი საშუალებების გამოყენება. დღეს იუმორს ყველა სათანადოდ ვერ აღიქვამს. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, ჯობია, იაროთ. არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა. მეგობრულ წრეში საიდუმლო არ შეინახება. სასიკეთო დღეა სამღებრო-სამშენებლო საქმეებისთვის, ელექტრო-გაზ-კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, სახლის მშენებლობისთვის, საზოგადოებრივი საქმეებისთვის, უძრავი ქონების, ლითონების, მანქანების ყიდვა-გაყიდვისთვის, ბინის შესაცვლელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აქვამარინი, ცირკონი, ძოწი, ლამბრადორი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 17 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 23.45 საათზე, ჩადის10.19 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 01.29 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები: დღეიდან 7 აგვისტომდე საქმიანობის, მოქმედების მმართველი პლანეტა მარსი გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ადამიანებში ორგანიზებულობას, დისციპლინას, შრომისუნარიანობას, მოთმინებას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, პრეტენზიულობას, სისუფთავისა და წესრიგისადმი მიდრეკილებას, პასუხისმგებლობას, ტრადიციულობას. ამავდროულად განავითარებს სიჯიუტეს, პირდაპირობას, წვრილმანებისადმი ჩაძიებას. დღეს ყურადღებით მიადევნეთ თვალი მოვლენათა მსვლელობას. მეტი ტაქტი და მოთმინება გმართებთ. დღეს და ხვალ უმჯობესია, შეამციროთ ურთიერთობები უცნობ ადამიანებთან, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, შვილებს, გარეგნობის მოწესრიგებას. კარმული გამოცდის დღეა. შესაძლებელია მოგზაურობა, ახალი გამოცდილების მიღება. ახალი ფეხსაცმელი არ ჩაიცვათ და არ შეიძინოთ. რთული დღეა ექსკოპიისა და ანალიზების ჩასაბარებლად, პედიკიურისთვის, დაპირებებს ნუ გასცემთ. კარგი დღეა მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

### 18 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 11.30 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 01.36 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** შესაძლებელია მოულოდნელი მოვლენებისა და გადაწყვეტილებების წინაშე აღმოჩნდეთ. სამყარო ამოწმებს თქვენი შეთანხმების სისწორესა და სიმტკიცეს. პარტნიორულ ურთიერთობებში დღეს ხელი შეეწყობა კომუნიკაციას, კომპრომისების პოვნას, საღამოს მოიმატებს გაღიზიანება, შეუწყნარებლობა. მოსალოდნელია ალერგიული შეშუპება. მოერიდეთ ახალი ფეხსაცმლის ყიდვას და ჩაცმას, ტყუილს, ზღვარგადასულ ფანტაზიებსა და თანაგრძნობას, ფიქრს წარსულზე, პედიკიურის გაკეთებას, ტერფების მასაჟს, თვალების გადაღლას, ექოსკოპიას, ანალიზების ჩაბარებას, მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას, დაპირებების გაცემას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს. დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. პოზიტიური დღეა ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, კულინარიასა და ფოტოგრაფიისთვის, ქორწინებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, სასამართლო პროცედურებისთვის, კონტრაქტების დასადებად, ტურიზმისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 19 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში 03.11 საათზე. ამოდის 00.07 საათზე, ჩადის 12.42 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 01.42 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.35 საათიდან 03.09 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს არ აჰყვეთ პროვოკაციებს. ნუ გარისკავთ, კარგია წყლის პროცედურები. შესაძლებელია განწყობის ცვალებადობა. ვალების გადახდის დღეა. საღამოს სირთულეების და კონფლიქტების ალბათობა მოიმატებს. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს პრეტენზიულობა. ეფექტურია თირკმლების, კანის, ყელის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. საკვებ რაციონში შეიტანეთ თხილი, ხილ-ბოსტნეული, უცხიმო საქონლის ხორცი. მოერიდეთ ალკოჰოლურ და მატონიზირებულ სასმელებს, თვალებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, პლასტიკურ ოპერაციებს. აკონტროლეთ ემოციები, აგრესია, ეგოიზმი ხასიათში. სასიკეთო დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმლის, ავეჯის, სპორტული ნაწარმის შესაძენად, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## მიმდინარე კვირა: 16 – 22 ივნისი

### ტყუპების ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1949 წლის 16 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, მთარგმნელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **სოსო სიგუა.**



**1952 წლის 16 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს კინოაკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი **მანანა ანასაშვილი.** ის იყო ნანა ჯორჯაძის ფილმის „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" ქასთინგის რეჟისორი (1997 წელს „ოსკარზე" პირველად ნომინირებული ქართული ფილმი).



**1962 წლის 16 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა დირიჟორი და პედაგოგი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი 2004-2009 წლებში, 2016 წლიდან დღემდე ამავე თეატრის მთავარი დირიჟორი **ზაზა აზმაიფარაშვილი.**



**1971 წლის 16 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი **ზურა ინგოროყვა.** სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" ითამაშა გმირის — კოტეს როლი.



**1978 წლის 17 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ტელესერიალის „შუა ქალაქში" გმირი ქეთევანი — **თამუნა ნიკოლაძე.**



**1999 წლის 17 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული"-ს გამარჯვებული **სოფო ბათილაშვილი.**



**1960 წლის 17 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ბიზნესმენი, ეკონომისტი და ფინანსისტი **ზაზა სიორიძე.**



**1937 წლის 21 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მოცეკვავე და ქორეოგრაფი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენისა და რაინდის ორდენის კავალერი **რეზო ჭანიშვილი.**



**1950 წლის 21 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი, ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **ბორჩა მაჩაიძე.** იცავდა თბილისის „ლოკომოტივის", რუსთავის „მეტალურგის", თბილისის „დინამოს", ლანჩხუთის „გურიას", მოსკოვის „სპარტაკის" და ქუთაისის „ტორპედოს" ღირსებას.



**1987 წლის 21 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა პიანისტი, რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **ხატია ბუნიათიშვილი.** აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში: ნიუ-იორკში — კარნეგი-ჰოლში, პარიზის შანზ-ელიზეს თეატრში, ლუვრის აუდიტორიუმში.

### ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:

**1851 წლი 16 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მწე-



რალი და საზოგადო მოღვაწე **ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი.** მონაწილეობდა საქართველოში საბავშვო ჟურნალების „ნობათის", „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" დაარსების საქმეში, მუშაობდა სახალხო ბიბლიოთეკების შექმნისათვის, ზრუნავდა ქართულ თეატრზე. გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1930 წლის 16 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი **ოტია იოსელიანი.** გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1931 წლის 18 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, გრაფიკოსი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირისა და მხატვართა კავშირის წევრი, სახალხო მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი **დიმიტრი ერისთავი.** გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1951 წლის 18 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი, ფეხბურთის მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი, თასების მფლობელთა თასის მფლობელი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში **დავით ყიფიანი.** იცავდა თბილისის „ლოკომოტივის", თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ღირსებას. 1977 წელს აღიარეს საბჭოთა კავშირის წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ავტოკატასტროფაში დაიღუპა 50 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1889 წლის 20 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი-მოდერნისტი, საქართველოს ხე-

# კირჩხიბი: 22 ივნისი – 22 ივლისი



„დისკოს მოცეკვავის“ გმირი, სასტუმროების ქსელის „Monarch Hotel“-ის მფლობელი **მითჰუნ ჩაკრაბორტი.**



**1997 წლის 16 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოდელი და მსახიობი **კამილა მორენო პოლაკი.** 2019 წელს სან დიეგოს საერთაშორისო კინოფესტივალზე მან „ამომავალი ვარსკვლავის“ ჯილდო მიიღო.

**1942 წლის 18 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მფლობელი, მუსიკის სამეფო აკადემიისა და მუსიკის სამეფო კოლეჯის საპატიო წევრი, სიმღერების ავტორი და კომპოზიტორი **სერ ჯეიმზ პოლ მაკ-კარტნი.**



ჯონ ლენონთან, ჯორჯ ჰარისონთან და რინგო სტართან ერთად, ლეგენდარული ჯგუფ The Beatles-ის წევრი.



**1952 წლის 18 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა იტალო-ამერიკელი მსახიობი, მწერალი და ყოფილი მოდელი, იტალიელი რეჟისორის **რობერტო როსელინისა** და შვედი მსახიობის **ინგრიდ ბერგმანის** ქალიშვილი, რეჟისორ **მარტინ სკორსეზეს** ყოფილი მეუღლე **იზაბელა როსელინი.**



**1954 წლის 19 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, „ოსკარის“ ნომინანტი და „ოქროს გლობუსის“ ორი ჯილდოს მფლობელი **ქეთლინ ტერნერი.**



**1972 წლის 19 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი კომიკოსი, ფილმების: „აგენტი 117“, „99 ფრანკი“ და „არტისტის“ გმირი, „ოსკარის“, BAFTA-ს და „ოქროს გლობუსის“ ჯილდოების მფლობელი **ჟან დიუჟარდენი.**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 20 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 00.29 საათზე, ჩადის 13.57 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.48 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნუ იბანავებთ არაფხიზელ მდგომარეობაში. შესაძლებელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. შედარებით გაადვილდება მიზნის მიღწევა საღამოსკენ, მოიმატებს ინტუიცია, ურთიერთობებიც სწორად წარიმართება. კარგი იქნება ძველი უსარგებლო ნივთებისაგან გათავისუფლება. მოერიდეთ საკუთარი იდეების უადგილო პროპაგანდას, პარტნიორულ ურთიერთობებში კამათს, ფიზიკურ გადაღლას, წესების დარღვევას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, სულსწრაფობას. პოზიტიური დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ტანსაცმლის, ავეჯის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ცხიმიან კერძებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

**მზე** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში 06.43 საათზე. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში 06.06 საათზე, ამოდის 00.54 საათზე, ჩადის 15.14 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 01.57 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.50 საათიდან 05.54 საათამდე. **ტენდენციები: დღეს ზაფხულის მზებუდობაა, ყველაზე გრძელი დღე. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. სამყაროდან მოდის მეტად სასიკეთო ენერგია. ჩაუთქვით და ჩამოწერეთ სურვილები, სიყვარულით იცხოვრეთ. მზე ერთი თვით გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში** და ამ პერიოდში მეტად განავითარებს ადამიანებში ემოციურობას, მგრძნობიარობას, რომანტიკულობას, ინტუიციას, პატრიოტიზმს, ტრადიციულობას, ოჯახური ინსტიტუტის პატივისცემას, ამავდროულად განავითარებს შიშებს, ცუდ აზრებს, ტყუილს, ხასიათცვალებადობას. დღეს

### 21 ივნისი, შაბათი

მოერიდეთ შორეულ მოზაურობას და წყლის ტრანსპორტით მგზავრობას. ყველას უსურვეთ ბედნიერება. ამავდროულად, ეცადეთ, დღეს და ხვალ არ აღმოჩნდეს სხვათა ზეგავლენის ქვეშ. კარგი დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრობისთვის, შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად და არქიტექტურისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის. მოერიდეთ სულსწრაფ და სარისკო მოქმედებებს, აკონტროლეთ საფულე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 22 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 01.29 საათზე, ჩადის 16.35 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.08 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** არ წამოეგოთ თქვენს ქება-დიდებას, დაეყრდენით თავმდაბლობას. დღე აღსავსეა იდუმალი მოვლენებით. გაუფრთხილდით პარტნიორულ ურთიერთობებს. ნუ იქნებით ზედმეტად ხისტი, პირდაპირი და ჯიუტი. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. იკრძალება ყვირილი, გაკიცხვა, განკითხვა. დღე ტრავმულია, იყავით ყურადღებით. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ ხორცეულ კერძებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, ორპირ ქარს, ცივ, გაზიან სასმელებს, ხალებს, პაპილომების მოშორებას, აკონტროლეთ საფულე. სასიკეთო დღეა მუშაობისა და დიზაინისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, ხელოვნების სფეროსთან ურთიერთობისთვის. კარგია ჩაი თაფლით, მცენარეების დარგვა-გადარგვა, დაფესვიანება, ძირნაყოფების ამოღება, ზვინის დადგმა, ღებვა, ვაზის ძირების შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 18, 19 და 20 ივნისი



**1968 წლის 20 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, საესტრადო ჯგუფების „სკორპიონსის“, UFO-ს, დოკენის ბასისტი **ბარი სპარსკი.** ასევე მუშაობდა ცნობილ შვედ გიტარისტთან **ინგვი მალმსტინთან** ერთად.



**1955 წლის 21 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი ფეხბურთელი, საფრანგეთის ჩემპიონი, საფრანგეთის თასის ორგზის ფინალისტი, იტალიის ორგზის ჩემპიონი და იტალიის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი **მიშელ პლატინი.** სხვადასხვა დროს იცავდა „ნანსის“, „სენტ-ეტიენის“, „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ღირსებას. იყო 1978 წლის არგენტინისა და 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე.



**1957 წლის 21 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი, სატელევიზიო სერიალის „დაკარგულების“ მონაწილე **მაიკლ ბოუენი.** ის ცნობილია როგორც რეჟისორ **კვენტინ ტარანტინოსთან** დაახლოებული პირი.

### ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1971 წლის 16 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი რეპერი, მსახიობი და მწერალი, ყველა დროის ერთ-ერთ გაყიდვად შემსრულებელი **ტუპაკი — 2Pac — თუფაქ შაკური.** 2007 წლისთვის მისი 75 მილიონზე მეტი ალბომი გაიყიდა, 2017 წლის 7 აპრილს ის როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში შეიყვანეს. მოკლეს 25 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1929 წლის 17 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა სომეხი და საბჭოთა მოჭადრაკე, 1963-1966 წლებში მსოფლიოს მე-9 ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი **ტიგრან პეტროსიანი.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1935 წლის 18 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა რუსი მსახიობი, რეჟისორი და თეატრალური პედაგოგი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **იური სოლომინი.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1623 წლის 19 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი, **ბლეზ პასკალი.** გარდაიცვალა 39 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1931 წლის 20 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი **ოლიმპია დუკაკისი.** მიღებული აქვს „ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ ჯილდოები. გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1900 წლის 21 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **გლადის ფრეიზინი.** გათხოვილი იყო ოთხჯერ, მისი ბოლო მეუღლე გახლდათ კომიკოსი **მონტი ბანკსი.** სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 39 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1905 წლის 21 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი და დრამატურგი, ესეისტი და ნოველისტი **ჟან-პოლ სარტრი.** 1964 წელს დაჯილდოვეს ნობელის პრემიით ლიტერატურის დარგში, თუმცა, ჯილდოზე უარი განაცხადა. გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1921 წლის 21 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, 1950 წელს საუკეთესო მსახიობი ქალის როლის შესრულებისთვის (ფილმში — „დაბადებული გუშინ“) „ოსკარით“ დაჯილდოებული **ჯუდი ჰოლიდეი.** გარდაიცვალა 43 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

### კირჩხიბის ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1938 წლის 22 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა სპორტული ჟურნალისტი **დავით ქლიბაძე.** იყო გადაცემების „სპორტული კალეიდოსკოპისა“ და „45 წუთის“ ავტორი, წამყვანი და რეჟისორი. 1978 წლიდან აშუქებდა ევროპისა და მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატებს.



**1995 წლის 22 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული **ტარიელ მაისურაძე.**

### კირჩხიბის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:

**1928 წლის 22 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, მოქანდაკე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე 1981-1996 წლებში **ელგუჯა ამაშუკელი.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.





**1925 წლის 22 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინოდრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი **სულიკო ჟღენტი.** სცენარის ავტორია ფილმების: „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ბურთი და მოედანი“, „წუთისოფელი“ და სხვა. გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

### კირჩხიბის ნიშნით დაიბადნენ:



**1949 წლის 22 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინოსა და თეატრის მსახიობი, ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს „ოსკარის“ სამგზის ლაურეატი **მერილ სტრიპი.**



**1964 წლის 22 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მწერალი **დენ ბრაუნი.** მისი ყველაზე გახმაურებული რომანია „და ვინჩის კოდი“.



**1988 წლის 22 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, შინი სანდერსის როლის შემსრულებელი ფილმში „ახალგაზრდობის პროტესტი“ **პორშა ენ დაბლდეი.**

### კირჩხიბის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1898 წლის 22 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი **ერიხ მარია რემარკი.** მის საუკეთესო ნაწარმოებებად ითვლება: „სამი მეგობარი“, „ტრიუმფალური თაღი“, „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. გარდაიცვალა აორტის ანევრიზმით 72 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1906 წლის 22 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი **ბილი უაილდერი.** იგი მიიჩნევა ჰოლივუდის ოქროს ხანის ერთ-ერთ საუკეთესო რეჟისორად, მიღებული აქვს ექვსი „ოსკარი“, 1946 წელს კანის კინოფესტივალზე დაიმსახურა „ოქროს პალმის რტო“ ფილმისთვის „დაკარგული უქმეები“. მისი გადაღებულია კომედია „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, რომელიც 1959 წელს გამოვიდა ეკრანებზე. გარდაიცვალა 96 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



# მუსიკალური ჰოროსკოპი

***იოჰან ვოლფგანგ გოეთე ამბობდა: „ხელოვნების დარგებიდან მუსიკა იმდენად მაღლა დგას, რომ გონებას არ შეუძლია მასთან მიახლოება“. ასტროლოგია საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს მუსიკის შემქმნელ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი ფენომენალური ნიჭის წყალობით ცვლიან სხვათა ცხოვრებას, ინტერესებსა და მსოფლმხედველობას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანთა ბედსა და იღბალზე, მათ პიროვნულ თვისებებსა და ხასიათზე.***



**ვერძი** ცნობილია თავისი ულევი ენერგიითა და ვნებით, წინააღმდეგობებით აღსავსეა და ეს თვისებები ხშირად ეხმარება მას ცოცხალი და ემოციურად მდიდარი მუსიკის შექმნაში. **ვერძის** ნიშნის ქვეშ დაიბადნენ ქართველი კომპოზიტორები: **დავით (გუგული) თორაძე, ეთერ ჭელიძე.** ასევე, **იოჰან სებასტიან ბახი, იოზეფ ჰაიდნი, სერგეი პროკოფიევი, მოდესტ მუსორგსკი.**

**დავით (გუგული) თორაძე** თავისუფლად მუშაობდა რამდენიმე ჟანრში, მუსიკას ქმნიდა ოპერის, ბალეტის, ესტრადისა და კინოსათვის, ჰქონდა ჯაზური კომპოზიციებიც. 26 წლისამ დაწერა მუსიკა ბალეტისთვის „გორდა“. მისი მეუღლე **ლიანა ასათიანი** იხსენებდა, გუგული იყო კარგი ხასიათის, მასთან ცხოვრება რთული არ იყო, უყვარდა შრომა და უყვარდა სტუმარიც. 1983 წლის ზაფხულში, როდესაც მისი ვაჟი **ლექსო თორაძე** ევროპაში გასტროლიდან საქართველოში აღარ დაბრუნდა, **დავით თორაძე** იმჟამინდელი სახელმწიფო მოხელეებისგან წნეხის ქვეშ მოექცა. ამაყი კაცი იყო, ცდილობდა, ტკივილი არ შეემჩნია, კონსერვატორიაში თავაწეული მიდიოდა, თუმცა, ჯიბეში ლექსოს ცხვირსახოცი ედო. გარდაიცვალა გულის შეტევით, სავარძელში გაზეთის კითხვისას, 61 წლის ასაკში.

**ვერძის** ნიშნით დაბადებული კომპოზიტორის — **ბახის** შესანიშნავი მუსიკის გარდა, ისტორიას შემორჩა მისი ცხოვრების თავგადასავლებიც, როგორც თავისებური ხასიათის პიროვნების. ის საზოგადოებისაგან თავის დაღწევას კი არ ცდილობდა, გაუგებრობებშიც ხშირად ეხვეოდა, ქუჩაშიც ჩხუბობდა. ცნობილია მისი და ორკესტრის ერთ-ერთი წევრის — **ფაგოტისტის** დაპირისპირების ამბავი, როცა ეს უკანასკნელი მას ჯოხით თავს დაესხა, **ბახმა** ის დანით მოიგერია. დიდი კომპოზიტორი თავს არ უხრიდა ჰერცოგებსა და პრინცებს, მათ წინაშე უკმაყოფილებასაც ხმამაღლა გამოთქვამდა და ერთი პერიოდი სატუსაღოშიც კი იჯდა. გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, თვალის ოპერაციის გართულების გამო.



**კურო** მიწის ნიშანია, რაც სტაბილურობასა და შეუპოვრობას ნიშნავს. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული მუსიკალური ნიჭის მქონე ადამიანები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დეტალებს. თავიანთ ხელოვნებასა და ცხოვრებაში ისეთ სვლებს ირჩევენ, რაც დიდ შრომასა და მოთმინებას მოითხოვს. **კუროს** ნიშნით არიან დაბადებული ქართველი კომპოზიტორები **ვაჟა დურგლიშვილი, მარიკა კვალიაშვილი, შალვა მშველიძე. მარიკა კვალიაშვილი,** 88 წლისა, ამბობს, როგორც წარმართავ ცხოვრებას, ისე გრძელდება, ტვინს მოდუნებისა და მიძინების საშუალება არ უნდა მისცე, საღად აზროვნება მხოლოდ თავდაუზოგავ მუშაობას ახასიათებსო. ორი ტრაგედია გადაიტანა, შვილისა და შვილიშვილის გარდაცვალება. იგი გიორგი სააკაძის ღირსეული შთამომავალია, რომლის პიროვნული სიძლიერეც მისი ხასიათის თვისებაა, ცხოვრობს დევიზით: **დაცემული არავინ უნდა მნახოს!**

**კუროს** ნიშნით იყვნენ დაბადებული **იოჰან ბრამსი, პეტრე ჩაიკოვსკი, მიხეილ გლინკა, რუჯერო ლეონკავალო. ბრამსს** ერთი უცნაურობა ახასიათებდა, როდესაც შთაგონების საჭიროებას გრძნობდა, ფეხსაცმლის წმენდას იწყებდა, ხოლო **პეტრე ჩაიკოვსკი** ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, რამდენიმე საათი სეირნობდა და სწორედ სიარულის დროს უჩნდებოდა მუსიკალური იდეები. რაც შეეხება **მიხეილ გლინკას,** ამბობდა, რომ მუსიკის შთაგონება სიზმრებიდან ეძლეოდა.



**ტყუპების** ზოდიაქო მუსიკალური ნიშანია, მათი სწრაფი თითები მუსიკის ბრწყინვალე შემსრულებლები არიან, სცენაზე თუ არ დგანან, ხშირად ისინი ფულს ქუჩაში დაკვრით გამოიმუშავებენ. **ტყუპის** ზოდიაქოს ნიშნით დაიბადა ქართველი კომპოზიტორი **ჯანსუღ კახიძე, ანდრია ბალანჩივაძე, იაკობ ბობოხიძე, მერაბ მამულაშვილი.** ასევე, **რიჰარდ შტრაუსი, რობერტ შუმანი, შარლ გუნო, იგორ სტრავინსკი, არამ ხაჩატურიანი.**

**ჯანსუღ კახიძე** თავს კომპოზიტორად არ თვლიდა, თუმცა, ასზე მეტი სიმღერა ჰქონდა დაწერილი, მასზე ამბობდნენ, რომ იყო პირველი, ვინც ქართული სიმღერა და ოპერა საზღვარგარეთ გაიტანა. იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, შექმნილი აქვს მუსიკა ქართული კინოფილმებისთვის, მისი ხელმძღვანელობით თბილისში პირველად შესრულდა **იგორ სტრავინსკის** „კურთხეული გაზაფხული“, **დიმიტრი შოსტაკოვიჩის** მე-4 სიმფონია, **იოზეფ ჰაიდნის** 86-ე სიმფონია, **შჩედრინის** „ანცი შაირები“. იტალიის ქალაქ ბუსეტოში, სადაც დიდი კომპოზიტორი **ჯუზეპე ვერდი** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ვერდის სახლ-მუზეუმში, ინახება **ჯანსუღ კახიძის** სადირიჟორო ჯოხი, რომლითაც იქ ოპერას „აბესალომ და ეთერი“ უდირიჟორა.

**რიხარდ შტრაუსის** გამოკვეთილი თვისება იყო, სამუშაო სივრცეში იდეალური წესრიგის დაცვა, მეგობრებისა და ოჯახის წევრების გარდა, სახლში არავის უშვებდა, უადვილდებოდა ბავშვებთან ურთიერთობა, საათობით თამაშობდა საკუთარ შვილებთან, დირიჟორობისას ხშირად დახუჭული ჰქონდა თვალები, ჰქონდა მახვილი სმენა,



საოცარი მეხსიერება, პარტიტურის გარეშე, ზეპირად შეეძლო ოპერის დირიჟორობა. იყო ძალიან მოწესრიგებული, მის სანოტო რვეულში არ იყო არცერთი ზედმეტი ხაზი და ნიშნული.



**კირჩხიბი** ზოდიაქოს ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური ნიშანია, ინტუიცირად მორგებულია შემოქმედებით ტალღას, აქვს მდიდარი წარმოსახვა, შესანიშნავი სმენა, ასოციაციებსა და მოგონებებში ჩაღრმავების უნარი. **კირჩხიბის** ნიშნის ქვეშ არიან დაბადებული ცნობილი ქართველი კომპოზიტორები: **ვაჟა აზარაშვილი, რეზო ლაღიძე, ნუნუ გაბუნია.** ასევე, **გუსტავ მალერი და კარლ ორფი.**

**ვაჟა აზარაშვილი** ბავშვობიდანვე ფეხბურთის მოყვარული და გულშემატკივარი იყო, ამ სპორტის შესახებ დაბეჭდილ წერილებს გაზეთებსა და ჟურნალებიდან ჭრიდა და ალბომში ინახავდა. სიმღერა „დინამოც“ ფეხბურთის სიყვარულმა შთააგონა. რაც შეეხება **რეზო ლაღიძეს,** ბევრი მისი სიმღერა შეიქმნა ბუნების წიაღში, აქ შთაგონების მისაღებად ნადირობასა და თევზაობას ხშირად საბაბად იყენებდა. როცა სახლში მუშაობდა, ოთახის კარს ყოველთვის ღიას ტოვებდა, მელოდიას ხან ჩუმად ღიღინებდა, ხანაც — ხაზგასმულად დუმდა. ოჯახის წევრები და მეზობლები მისი სიმღერების პირველი შემფასებლები იყვნენ.

**კირჩხიბის** ნიშნით დაბადებული კომპოზიტორი **გუსტავ მალერი,** თავისი ეპოქის კომპოზიტორებს შორის, ყველაზე ორგანიზებული და არაორდინარული იყო. უყვარდა ყველაფრის კონტროლი, ზუსტად იცოდა, რომელ საათებში უნდა ეჭამა, დაეძინა და მუსიკა დაეწერა. ხშირად ავადმყოფობდა და ეს განწყობა ისახებოდა მის ნაწარმოებებში. კონცერტის შემდეგ აუცილებლად გააკონტროლებდა, რამდენად სუფთად დატოვა მაყურებელმა დარბაზი.



**ლომის** ნიშნის ქვეშ დაბადებულთა მუსიკა მძლავრი, ღრმა და ცეცხლოვანია, მათი ხელოვნება თავბრუს ახვევს და მეტ ემოციურობას მატებს, არიან გულწრფელნი. ამ ნიშნით დაიბადნენ ქართველი კომპოზიტორები: **ზაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ბიძინა კვერნაძე, გია ყანჩელი, გურამ გზველი.** ასევე, კომპოზიტორები **ალექსანდრე გლაზუნოვი, ჯორჯე ენესკუ, ალფრედო კაზელა, კლოდ დებიუსი.**

**ლომის** ნიშნით დაბადებულ **ზაქარია ფალიაშვილს** არ უყვარდა ხმამაღალი საუბარი, იყო თავშეკავებული, მორიდებული, შრომისმოყვარე. მასზე ამბობდნენ, რომ წესად ჰქონდა დისციპლინა, არასოდეს აჰყვებოდა ემოციას, თუმცა, მისგან მოდიოდა შინაგანი სიძლიერე. შეუძლებელი იყო, მის მიმართ დადებითად არ განწყობილიყავი. მისი „აბესალომ და ეთერი“ მთელ მსოფლიოში ქართული საოპერო ხელოვნების სავიზიტო ბარათად იქცა.

**ლომის** ნიშნით დაბადებულ **ალექსანდრე გლაზუნოვზე** **იგორ სტრავინსკი** თავის წიგნში „ჩემი ცხოვრების ქრონიკა“ წერდა: მისი სიმფონიები მძიმე გერმანული აკადემიზმის სულისკვეთებით არის დაწერილი, მისი ყოველი ახალი ნაწარმოები დიდი მუსიკალური მოვლენაა, უნაკლო პოლიფონია, წერის სიმარტივე და თავდაჯერებულობა. **გლაზუნოვზე** ამბობდნენ, რომ შეეძლო, ერთი თვალის გადავლებით, მეხსიერებაში მთელი პარტიტურა აღედგინა.



**ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს აქვთ აბსოლუტური სმენა, არიან გონიერნი, ადვილად ქმნიან ახალ მელოდიებს, რომლებსაც არა მხოლოდ რიტმი აქვთ, არამედ მათი მუსიკა სავსეა ინტელექტუალური შინაარსით და მის აღქმას დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით არიან დაბადებულნი ქართველი კომპოზიტორები: **გიორგი (გოგი) ცაბაძე, სულხან ცინცაძე, კახა ცაბაძე, ალოიზ მიზანდარი.** ამათგან, ყველაზე მოკრძალებული და თავმდაბალი გახლდათ **გოგი ცაბაძე,** მგრძნობიარე და გულისხმიერი და, როგორც მუსიკათმცოდნეები ამბობდნენ, სიტყვა — გული გამოყენებული ჰქონდა 74 სიმღერაში. გულის შეტევით გარდაიცვალა გორში კონცერტის დროს —სცენაზე, 62 წლის ასაკში.

**ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით არიან დაბადებულები **ლეონარდ ბერსტაინი, ანტონინ დვორჟაკი. ბერსტაინი** აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული და წარმატებული მუსიკოსი ამერიკის ისტორიაში.



**სასწორები** დაბადებით ხელოვნების მოტრფიალეები არიან, უყვართ მუსიკის მოსმენაც და შექმნაც — როგორც კლასიკურის, ისე ჯაზურის. მათი ცხოვრების დიდ ნაწილს სწორედ მუსიკა იკავებს. **სასწორის** ნიშნით იყვნენ დაბადებული ქართველი კომპოზიტორები **თამარ შავერზაშვილი და ირაკლი ჯაბადარი. თამარ შავერზაშვილმა** საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბავშვო საფორტეპიანო მუსიკას, შექმნა ოპერა „იავნანამ რა ჰქმნა“. ის გახლდათ 1934 წელს გამოსული შრომის სიმღერების ავტორიც, მეგობრობდა ცნობილ მხატვართან და მოქანდაკესთან თამარ აბაკელიასთან, ასევე ქეთევან მაღალაშვილთან.

**სასწორის** ნიშნით იყვნენ დაბადებულნი **ჯუზეპე ვერდი, ფრანც ლისტი, ჯორჯ გერშვინი, კამილ სენ-სანსი, ჟან-ფილიპ რამო, დიმიტრი შოსტაკოვიჩი, ლუი ვიერნი.** ეს უკანასკნელი იყო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი ორღანისტი, დაბადებიდან თითქმის ბრმა. გულის შეტევით გარდაიცვალა ამავე ტაძარში ორღანზე დაკვრის დროს, 1937 წლის 2 ივნისს, 66 წლის ასაკში. ასრულებდა საკუთარ ნაწარმოებს, რომლის სახელწოდებაც იყო „გარდაცვლილი ბავშვის სტელა“. რაც შეეხება ჯუზეპე ვერდის, იყო ძალიან მოკრძალებული, არ უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, მისი დევიზი გახლდათ: იყავით უბრალო და არავისზე მეტი. ვინც კი მის ნაწარმოებს ხელს მოჰკიდებდა — დირიჟორი თუ მომღერალი, მის შესრულებას — ყოველ წვრილმანამდე, თვითონვე აკონტროლებდა.

**სასწორის** ნიშნით დაბადებულ **დიმიტრი შოსტაკოვიჩს** მიაჩნდა, რომ მისი ცხოვრების სტიმულის მომცემი იყო შიში, ეშინოდა კარზე კაკუნის, ამბობდა: „საშინლად მეშინია კარზე კაკუნის, რადგან საბჭოთა ქვეყანაში კარზე ღამის კაკუნი ნიშნავს დაპატიმრებას“. ჰქონდა პოლიომიელიტის ქრონიკული ფორმა, გარდაიცვალა ფილტვის კიბოთი. დაბადებული იყო სანქტ-პეტერბურგში. დღეს მის სახლში ფუნქციონირებს ქალაქის №267 სკოლა.



**ღრიანკალის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების მუსიკაში შეინიშნება ფსიქოლოგიური სიღრმე და მისტიკა, გამოირჩევიან ნებისყოფით, პრინციპებით, ახასიათებთ სისასტიკეც, მათთვის მძიმე სიტუაციის დროს თავს არ ზოგავენ და ბოლო მომენტში, შეიძლება, საკუთარი სიცოცხლეც კი გაიმეტონ. მათ შეუძლიათ შექმნაც და განადგურებაც. უმჯობესია, არ გააბრაზოთ, შეურაცხყოფას არავის პატიობს. **ღრიაკალის** ზოდიაქოს ნიშნით დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი და მევიოლინე **რამაზ კემულარია, ასევე ჟორჟ (ალექსანდრ) ბიზე, ვინჩენცო ბელინი, ნიკოლო პაგანინი.**

**ნიკოლო პაგანინის** უცნაურ თვისებებში გამოირჩეოდა ის, რომ ვიოლინოზე მისი თითების მოძრაობა არ ჰგავდა სხვა მევიოლინეებისას, დაკვრის დროს ზოგჯერ ერთ თითს მეორეს „გადააბიჯებდა“, ხოლო რამდენიმე ნოტის ასაღებად, ზოგჯერ მხოლოდ ერთ თითს იყენებ-





და. პირად ცხოვრებაში მკაცრი და ურყევი იყო, მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, საერთო შვილის ერთპიროვნული მეურვეობა მოითხოვა და მოიპოვა კიდეც. ხანდახან სასაფლაოზე უკრავდა, სამყაროს ემოციურად აღიქვამდა, შეგრძნებები მისთვის ისეთივე რეალური იყო, როგორც მოვლენები. ვნებების მონას და ცხოვრების ბატონს უწოდებდნენ. გარდაიცვალა იმავე რიცხვში, როდესაც დაიბადა (დაიბადა 27 მაისს, გარდაიცვალა 27 ოქტომბერს, 57 წლის ასაკში). ანდერძში ჩაწერა: **ვკრძალავ მდიდრულ დაკრძალვას, არ მინდა, ჩემთვის რეკვიემი შეასრულონ, შესრულდეს ასი მესა. ჩემს ვიოლინოს გენუას ვაძლევ, ხოლო ჩემს სულს ჩემი შემოქმედის დიდ წყალობას ვაბარებ.**



**მშვილდოსნები** თავგადასავლების მოყვარულები, უცნაურები და ფილოსოფოსები არიან. ქართველი კომპოზიტორებიდან **მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ: **დათო ევგენიძე და იოსებ ბარდანაშვილი. ცეცხლოვანი მშვილდოსნის** ნიშნით დაიბადა **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ჯოვანი ბატისტა დე ლული, ჰექტორ ბერლიოზი, ალფრედ შნიტკე.** თანამედროვენი **ბეთჰოვენს** ახასიათებენ, როგორც შინაგანი მძვინვარე ვნებებით სავსეს, რომლის მუსიკაც მკერდიდან ცეცხლს აფრქვევდა. სანამ ინსტრუმენტთან დაჯდებოდა, თავზე ცივ წყალს ისხამდა, რაც, მისი აზრით, ტვინის ფუნქციის სტიმულირებას ახდენდა. **ბეთჰოვენი** ერთ ბინაში დიდხანს არ რჩებოდა, ვენაში ორმოცი ბინა მაინც ჰქონდა გამოცვლილი, ზოგჯერ ერთდროულად ოთხ სხვადასხვა ფართს ქირაობდა. მოითხოვდა, რომ მისთვის ყავა მხოლოდ 64 მარცვლისგან მოემზადებინათ, არც მეტი და არც ნაკლები.

**მშვილდოსნის** ნიშნით დაბადებული **ჟან-ბატისტ დე ლულიმ,** რომელიც ორკესტრთან მუშაობისას ბატუტას ჯოხს იატაკზე ურტყამდა (რიტმის მიმანიშნებელი სპეციალური დიდი და მძიმე ჯოხი), ერთხელ ეს ჯოხი ფეხზე ჩაირტყა და განგრენა განუვითარდა. როცა ამპუტაცია შესთავაზეს, უარი განაცხადა, მეფის წინაშე როგორ ვიცეკვოო?



**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ მუსიკოსებს მათი მფარველი **პლანეტა სატურნი** მათ ნაწარმოებებს მონუმენტურობას ანიჭებს, მუსიკაში იცავენ კლასიკის ტრადიციებს, მათი გემოვნებაც საკმაოდ განსხვავდება სხვა მუსიკოსებისაგან. **თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით არიან დაბადებულნი ქართველი კომპოზიტორები: **მელიტონ ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი, არჩილ კერესელიძე, იონა ტუსკია, თენგიზ ჯაიანი.** ასევე **ჯაკომო პუჩინი, ალექსანდრე სკრიაბინი, პაბლო კაზალსი, დიმიტრი კაბალევსკი.**

**მელიტონ ბალანჩივაძემ** 1918 წელს ქუთაისში დააარსა მუსიკალური სასწავლებელი, მონაწილეობდა თბილისის კონსერვატორიის რეორგანიზაციაში, იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ საპატიო თავმჯდომარე, მონაწილეობდა ხალხური სიმღერების გუნდების დაარსებაში, მისი შვილები არიან ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი **გიორგი (ჯორჯ) ბალანჩინი** და გამოჩენილი კომპოზიტორი **ანდრია ბალანჩივაძე.**

**ჯაკომო პუჩინი** ქარიშხლიანი მოვლენებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, სადაც იყო ყველაფერი: ტრაგედიაც, კომედიაც, ველური ექსტრემებიც. დაპირისპირება ჰქონდა **ტოსკანინისთან.** ერთხელ კომიკური ფაქტიც მოხდა. **პუჩინიმ** მეგობრებს, ტრადიციისამებრ, საშობაო ნამცხვარი — „პანეტონე“ გაუგზავნა. დაავიწყდა სიიდან **ტოსკანინის** ამოშლა. სასწრაფოდ დეპეშა აფრინა: **„პანეტონე შეცდომით გამოგზავნეს. პუჩინი“. ტოსკანინიმ უპასუხა: „პანეტონე შეცდომით შეჭამეს. ტოსკანინი“.**



**მერწყულები** ცნობილები არიან ინოვაციური აზროვნებითა და თავისუფლებისაკენ სწრაფვით, არ ეშინიათ საზღვრების გადალახვის. **მერწყულის** ნიშნით არიან დაბადებულები ქართველი კომპოზიტორები **ნუნუ დუღაშვილი, შოთა მილორავა.** ასევე **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ფრანც შუბერტი, ფელიქს მენდელსონი, ალან ბერგი.**

პირველი ნაწარმოები — **„პატარა მწყემსის სიმღერა“ ნუნუ დუღაშვილმა** 5 წლის ასაკში შექმნა. **იოსებ ნონეშვილის** ლექსის მიხედვით, მისი შექმნილია შედევრალური სიმღერაც **„კახეთო, ჩემო კახეთო“.** დღეს ის 92 წლისაა, ამბობს, რომ სიკვდილის არ ეშინია და სჯერა უფლის.

**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს** მრავალი უცნაურობა ახასიათებდა, ჰქონდა ბავშვური ხასიათი, უყვარდა ხუმრობა. მუსიკალურ ნაწარმოებებს წერდა სწრაფად, 35 წლამდე 700-მდე ნაწარმოები შექმნა. იყო კონტრასტული და ხშირად ხმამაღლა გამოხატავდა თავის ნეგატიურ აზრს მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ. გარდაიცვალა 35 წლის ასაკში.



**თევზები** შემოქმედებითი და მუსიკალური ნიშანია, აქვთ ფანტაზიის საკუთარი სამყარო, მათი ხელოვნება გაოცებას იწვევს, მსმენელი ჯადოსნურად გრძნობს მუსიკალური ენერგიის დიდ ნაკადს. მათ მომენტალურად შეუძლიათ მუსიკის შექმნა.

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ქართველი კომპოზიტორები: **ალექსანდრე ბასილაია, ჯემალ სეფიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, არჩილ ჩიმაკაძე, გომარ სიხარულიძე, მერი დავითაშვილი, სულხან ნასიძე.** ასევე **ანტონიო ვივალდი, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი, ფრიდერიკ შოპენი, ჯოაკინო როსინი, ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვი, ბედრჟიხ სმეტანა.**

**ალექსანდრე ბასილაიას** პირველი სიმღერა **„სიყვარულის ზღაპარი“** მიეძღვნა მისი ბავშვობის სიყვარულს, მის მეუღლეს **ლუიზა კობალაძეს. მორის ფოცხიშვილის** ნაჩუქარმა წიგნმა, რომლის ბოლო ყდაზეც ეს სიტყვები ეწერა: **მერე ყველაფერი ნელდება, მერე ყველაფერი ძნელდება** — მუსიკის შექმნის შთაგონება მისცა. ახალშექმნილ სიმღერას პირველად მეუღლეს ასმენინებდა, შემდეგ კი, უკვე ემოციებისაგან, ორივეს თვალზე სიხარულის ცრემლი სდიოდათ...

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნით იყო დაბადებული ვენეციის პრინცი **ანტონიო ვივალდი,** რომელიც თავის შესანიშნავ მუსიკას მსოფლიოს ყველაზე მისტიკურ ქალაქში — ვენეციაში ქმნიდა. მისი ოთხი სავიოლინო კონცერტი — **„წელიწადის დროები“** ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებია, გარდაცვალებამდე, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ავსტრიაში, ვენაში ცხოვრობდა. დაიკრძალა საავადმყოფოს ეზოში, ღარიბთა სასაფლაოზე. იმ ტერიტორიაზე შემდეგ ვენის ტექნიკური უნივერსიტეტი აშენდა.



*მოამზადა ქეთევან ხამიცაშვილმა*

## საეკლესიო კალენდარი

✝ **16 ივნისი. ორშაბათი.** მოწამეთა: ლუკილიანესი, კლავდისა, იპატისი, პავლესი, დიონისესი და ქალწულმოწამისა პავლასი; მღვდელმოწამეთა: ლუკიანე ეპისკოპოსისა, მაქსიანე ხუცისა, ივლიანე დიაკონისა, მარკელინესი და სატურნინესი, ბელგიაში ვნებულთა.

✝ **17 ივნისი. სამშაბათი. მიტროფანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამეთა: ფრონტასისა, სევერინესი, სევერიანესი და სილანესი; მოწამისა კონკორდისა; მღვდელმოწამისა ასტისა, დურაჰის ეპისკოპოსისა; ღირსისა ზოსიმესი, ეგვიპტის ბაბილონელი ეპისკოპოსისა; წმიდათა მენელსაცხებლეთა დედათა მართასი და მარიამისი, მართალ ლაზარეს დათა.

✝ **18 ივნისი. ოთხშაბათი. მღვდელმოწამისა დოროთესი, ტვირელი ეპისკოპოსისა;** მოწამეთა: მარკიანესი, ნიკანდროსი, იპერიქესი, აპოლონისა, ლეონიდესი, არიოსისა, გორგისი, სელინისა, ერინისა და პამბოსი; ღირსისა თეოდორე სასწაულმოქმედისა; ღირსისა ანუბისა, ეგვიპტელი მეუდაბნოისა; ილარიონისა, დალმატის მამასახლისისა.



**21 ივნისი — ხსენება დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა**

✝ **19 ივნისი. ხუთშაბათი. ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა;** ღირსისა ილარიონ ახლისა; ღირსთა ქალწულმოწამეთა: არქელაისი, თეკლასი და სოსანასი; მოწამეთა: მამელხთასი და ზინაიდასი.

✝ **20 ივნისი. პარასკევი. მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა;** მოწამეთა: ვალერიასი, კვირიაკიასი და მარიამისა; მღვდელმოწამისა მარკელე რომის პაპისა და მოწამეთა: კლავდისი, კვირინესი და ანტონინესი; მოწამეთა: სისინი და კვირიკე დიაკონთა, სმარაგდისა, ლარგისა, აპრონიანესი, სატურნინესი, პაპიუსისა და მავროს მხედართა და კრისკენტინესი.

✝ **21 ივნისი. შაბათი. დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა;** მღვდელმოწამისა თევდორესი, კველთელი მღვდლისა; ეფრემისა, ანტიოქიელი პატრიარქისა; ღირსისა ზოსიმე ფინიკიელისა; მოწამეთა: ნიკანდროსი და მარკიანესი; ეპისკოპოსისა აკვილიანესი.

✝ **22 ივნისი. კვირა. ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, ათონის წმიდა მთაზე და რუსეთს განბრწყინვებულთა;** კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა იოანე შავთელ-განათელისა; წმიდისა დედისა პელაგიასი, რომელი ოდესმე იყო მეძავი ანტიოქია ქალაქსა შინა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

ფირმა „იადიგარ დაუდის“ (დავით ბაგრატიონი) დირექტორი-მკურნალი-პარაფსიქოლოგი მკურნალობს 50-წლიანი გამოცდილებით და განკურნების სრული გარანტიით

**1. ფუტკრის პროდუქტებით** — კუჭ-ნაწლავის წყლულებს და ეროზიებს, შებერილობას, ფაღარათს, ბუასილს, ქოლეცისტიტს, ჰაიმორიტს, პირიდან სუნს, პირის ღრუს, ენურეზს, ცისტიტს, პიელონეფრიტს (შარდში ცილები, ლეიკოციტები). მოზარდებში პენისის განუვითარებლობას, წვრილ ჭიას, კანისა და ფრჩხილების სოკოს, საერთო სისუსტეს, ბრონქიტს, ელენთას, კლიმაქსს.

**2. მამაკაცებში** — პროსტატიტს, სქესობრივ სისუსტეს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, სპერმის უხარისხობას, პენისის ანთებას, კონტაქტის შიშს.

**3. ფოტოსურათით** — ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, შებოჭილობას, გაუმართლებლობას.

თბილისი, წერეთლის 57.

მიღება წინასწარ ჩაწერით სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ.

599-49-84-23 ცირანანა

იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სისტოლა; 7. ღლავი; 12. ჯეოსელი; 13. მლაშე; 14. მორიელი; 15. მძიმე; 16. კადრილი; 17. რკინა; 18. ატაკამა; 22. ლეონე; 23. მერანი; 26. თვალი; 27. კინოლოგი; 28. დასი; 30. სადგისი; 31. ჯიგა; 33. ბოლივარი; 34. მანტუ; 35. ალონიმი; 39. კივილი; 42. ტიტანია; 46. მაკიაველი; 47. ბარტერი; 48. ბარენცი; 49. ნეო; 50. დღე; 51. აპოლინერი; 56. რაი; 58. ტიტრი; 59. მის; 60. პინო; 61. ნარ; 63. სპირიტიზმი; 64. რაინი; 65. კალამი; 66. ბალტონი; 67. იგი; 68. არმია.

შვეულად: 1. სამბა; 2. სირმა; 3. ოპერა; 4. აჯიკა; 5. ლონდრე; 6. თემიდა; 7. ღიმილი; 8. არიზონა; 9. იმერეთი; 10. კაპიტანი; 11. კერამიკა; 19. ტეილორი; 20. კაოლინი; 21. მგოსანი; 23. მისია; 24. რადიო; 25. ნაიკი; 28. დიმი; 29. სანდი; 31. ჯუჯა; 32. გაზი; 36. ლიკანი; 37. ნიამორი; 38. მკერდი; 39. კობრა; 40. ბარდო; 41. ლიეჟი; 42. ტიბეტი; 43. ტერიტორია; 44. ნანკინი; 45. ალიყური; 46. მილე; 52. პეპია; 53. ლორია; 54. ნოტიო; 55. რაზმი; 57. ასაკი; 59. მიკი; 60. პელე; 62. ანტი.

ტორიჩელინისანიტარიელიტაროსინინიავისლალომი
სინდისიტროპარიკითარაზოსიმეტრიადარაბატიალი

| იტალიელი ფიზიკოს-მათემატიკოსი | იაპონური ავტო | შოთას „უცხო მოყმე“ | ამინდი | კოლუმბის ხომალდი | მდინარე პოლონეთში | ნადირთა „მეფე“ |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნადირის თათი | იტალიელი მოქანდაკე | უმცროსი მედმუშაკი | რჩეული საზოგადოება | იტალიელი კომპოზიტორი | სიო | სპორტის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 7. ლოქო (კუთხ.); 12. მობილური კავშირგაბმულობის სატელეფონო ქსელი; 13. ზედმეტად მარილიანი; 14. ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი, ღრიანკალი; 15. სასვენი ნიშანი; 16. ერთგვარი ცეკვა; 17. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 18. უდაბნო ჩილეში; 22. იტალიელი რეჟისორი („ერთხელ ამერიკაში“); 23. ტატოს ცხენი; 26. მხედველობის ორგანო; 27. მეძაღლეობის სპეციალისტი; 28. თეატრალური კოლექტივი; 30. დიდი ნემსი; 31. ირლანდიური ეროვნული ცეკვა; 33. ვენესუელის ფულის ერთეული; 34. სინჯი ტუბერკულოზზე; 35. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი; 39. მუნტის ცნობილი ტილო; 42. პლანეტა ურანოსის თანამგზავრი; 46. იტალიელი პოეტი, დიპლომატი; 47. საქონელგაცვლა; 48. ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 49. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს; 50. დროის მონაკვეთი დილიდან საღამომდე; 51. ფრანგი მწერალი; 56. იტალიის ტელეკომპანია; 58. წარწერა ფილმის კადრზე; 59. მიმართვა გაუთხოვარი ქალისადმი ინგლისსა და აშშ-ში; 60. ფრანგული ვაზის ჯიში; 61. ქართული ასო ნ-ს სახელი; 63. ცრურწმენა, რომლის მიხედვით ვითომ შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება; 64. მდინარე გერმანიაში; 65. მელნით საწერი საგანი; 66. ტბა უნგრეთში; 67. ნაცვალსახელი „ის“; 68. ჯარი.

შვეულად: 1. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 2. ოქრომჭედი; 3. ხელოვნების დარგი; 4. მწარე საწებელი; 5. ფილმი გივი ბერიკაშვილის მონაწილეობით; 6. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. უხმო სიცილი; 8. აშშ-ის შტატი; 9. საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი; 10. სამხედრო წოდებულება; 11. თიხის ნაკეთობანი; 19. ამერიკელი მსახიობი ელიზაბეტ ...; 20. თეთრი თიხა; 21. გამოჩენილი პოეტის ეპითეტი; 23. საგანგებო დავალება; 24. მაუწყებლობის საშუალება; 25. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 28. სოფელი ბაღდათის რაიონში; 29. ფრანგი მწერალი ქალი; 31. ძალიან დაბალი ტანის ადამიანი, ლილიპუტი; 32. აირი (ზოგად.); 36. ქართული მინერალური წყალი; 37. კლდის თხა, ჟურციკი; 38. სხეულის წინა ნაწილი ლავიწიდან მუცლამდე; 39. შხამიანი გველი; 40. სოფიკო ჭიაურელის მრეცხავი პერსონაჟი; 41. ქალაქი ბელგიაში; 42. ჩინეთის ავტონომიური რაიონი; 43. რაიმე საზღვრით შემოფარგლული მიწა-წყალი; 44. ქალაქი ჩინეთში; 45. სილის გაწვნა; 46. ფრანგი ფერმწერი; 52. თამროს მამა („გლახის ნაამბობი“); 53. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 54. ნესტიანი; 55. ჯარის ნაწილი; 57. წლოვანება; 59. მულტპერსონაჟი თაგუნა ... მაუსი; 60. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 62. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს საწინააღმდეგოს.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნამუსი | სალოცავი ლექსები მართლმადიდებელ ეკლესიაში | ძველი ბერძნული სამოსი | მე-10 საუკუნის ქართველი მწერალი იოანე ... | სამება, სამეული | მაროკოს დედაქალაქი | ამერიკელი მოკრივე |
|---|---|---|---|---|---|---|

| მოდელი ... კროუფორდი | გაზიანი ტკბილი წყალი | თმის გამზადებული ვარცხნილობა | ვატერპასი | რისამე თანაბარზომიერი განლაგება | ფანჯრის ხის საფარი | ოხერი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2025 წლის 16 – 22 ივნისი №25 (1596)

გამოდის ორშაბათობით

2009882637296

მეცნიერობია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol